# ცისკარი

# ცისკარი.

ქართული

სალიტერატურო ჟურნალი.

გამოცემის ივ. კერესელიძისა-გან.

იანვარი.

წელიწადი მეშჳდე.

«თუ შეიყვარო სმენად,—მიიღოგალე, და უკეთუ მოუპყრა ყური შენი,—ბრძენ იქმნე» (წიგ. ისო ზირ. თავი 6. მუხ. 34.)

---


ტფილისს.

კერესელიძის ტიპოგრაფიაში.

1865

Одобрено цензурою. Тифлиссъ 15 Геанваря. 1863.

# სიტყუა

## ოცდა მეოთხესა კჳრიაკესა ზედა, თქმული ქუთაისს გაბრიელ ეპისკოპოზისამიერ.

«ხოლო იესო რქჳა მას: ნუ გეშინინ ასულო, სარწმუ-
«ნოებამან შენმან გაცხოვნა შენ. ვიდოდე მშჳდობით.
ლუკ. ჱ. მჱ.

ოდეს მაცხოვარი, გარემოცული უმრავლესითა ერითა, მიდიოდა სახლსა შინა იაიროსისა, მაშინ დედაკაცი ვინმე, რომელი იყო დიდის ხნიდგან სნეული და რომელმან წაავო ყოველი თჳსი ქონება ექიმთა და ვერ მიიღო მათგან კურნება, მიეახლა მას დაფარულად და შეახო ჴელი შესამოსელსა მისსა. ესოდენ მტკიცე სარწმუნოება ჰქონდა

მას, რომელ ფიქრობდა, საკმაო არს რათა ჴელი ვახლო შესამოსელსა მისსა, და უეჭჳელად მივი-ღებ კურნებასა. მართლა, რომელ იმავე წამს შეა-ტყო მან თავის თავს მორჩენა. მაცხოვარმან, წი-ნაშე რომლისა არა რაჲ იყო დაფარულ, იცნო საკჳრველი სარწმუნოება დედაკაცისა ამის, და განკურნება მისი; მას უნდოდა გამოჩენილიყო სარწმუნოება დედაკაცისა მის, მაგალითად სხჳათა თჳს. მობრუნდა რა ჭკითსა მო-წაფეთა თჳსთა: ვინ შემომეხო მე? მაშინ იხილა დედაკაცმან, რომელ ვერ დაეფარა, დავარდა მუხლ-თა თჳსთა და გულწრფელად აღიარა ყოველი; ხოლო მაცხოვარმან უთხრა მას: «ნუ გეშინინ ასუ-ლო! სარწმუნოებამან შენმან გაცხოვნა შენ. გვალე სვიდოდე მშჳდობით!»

აჰა ვითარი უეჭჳელი და შეურყეველი სარწმუ-ნოება უნდა ჰქონდეს ყოველსა ქრისტიანესა!სარწმუ-ოება არის საფუძჳელი ქრისტიანობისა;სარწმუნოებით დაიწყება და განათლდება ქრისტიანობრივი სწავ-ლა. ყოველ კაცს უნდა ჰქონდეს სრული მინდო-ბილება და გულითადი დარწმუნება მასზედა რაჲცა-ესმის საღმრთო წერილისაგან; ყოველი ქრისტია-

ნობრივი საზოგადოება, ყოვლის ღონისძიებით უნდა ცდილობდეს, რომელ იყოს მას შინა შეურყეველი და დაუსუსტებელი სარწმუნოება.ვიდრემდის სარწმუნოება მტკიცედ სდგას რომელსამე ქუეყანასა შინა, ის ქუეყანა არა დავარდება, თუმცალა იხილოს მრავალნი უბედურებანი და მძიმენი შემთხვევანი. ეს ჭეშმარიტება მტკიცედ ახსოვდა ჩუენთა წინაპართა: იგინი ყოველთჳს იდგნენ სარწმუნოებასა შინა. მრავალი იყო მათ შორის უწესოება, განხეთქილება, შური, ბრძოლა, თუმცა ყოვლის მხრით მრავალნი ავიწროებდენ მათ მტერნი, გარნა, ვინაჲდგან იყვნენ შეურყეველნი სარწმუნოებასა შინა, სარწმუნოებამან დაიცვა და შეინახა იგინი. მე ესრედ ვგონებ, რომელ, უკეთუ წინაპართა ჩუენთა მრავლითა ჭირითა და განსაცდელითა არ შეენახათ მართმადიდებელი სჯული, ახლა არ იქნებოდა ქუეყანაზე არცა სახელი ჩუენი არცა ენა; ახლა ჩუენ ვიქნებოდით დამდაბლებულნი და დავარდნილნი, ვითარცა ვხედავთ რომელთამე, შთამომავლობით ჩუენთა მონათესავეთა, ტომთა, რომელთა დაივიწყეს მართმადიდებლობა და მიიღეს მახმადიანობა, დავარდნილთა

და პირუტყვებთ დამსგავსებულთა. აჰა ვითარ დაგვავალა ჩჳჱნ ჩჳჱნმა სჯულმან და სარწმუნოებამან! სხჳა მიზეზი რომ არა გვქონდეს, მარტო ამ მიზეზმან უნდა შეგვაყვაროს ჩჳჱნი სარწმუნოება. გარნა განსაცჳფრებლად ჩჳჱნდა ამ მოკლე დროებაში, გამოჩნდენ აქაცა ამ ჩჳჱნ ქალაქშიც, რაოდენიმე პირნი, რომელნი არა რათ რაცხვენ სარწმუნოებასა, თჳთქმის ცხადად უარ ყოფენ ყოველსა სჯულსა, გამოგვიცხადებენ ჩჳჱნ, რომელ კაცს არაფერი არ უნდა სწამდეს, არცა ეკკლესია, არცა სახარება, არცა სიტყჳა ღჳთისა და არცა სხჳა რაჲმე. ამაზედ არის ერთი ლაპარაკი და დრტვინვა საზოგადოებაში. ამისთჳს არ შეგჳძლია ჩჳჱნც დავდუმდეთ, არამედ ვალისამებრ ჩჳჱნისა ცხადად უნდა გამოვსთქჳათ ჩჳჱნი აზრი:

პირჳჱლად, ვკითხოთ, რისგან წარმოსდგა ურწმუნოება მათ პირთა, რომელთათჳს ჩჳჱნ ვლაპარაკობთ: დიდისა ჭკუისა, სწავლისა და გამოცდილებისა მათისაგან, ანუ გამოუცდელობისა და სუსტი ჭკუისაგან? ამას ადჳლად შევიტყობთ, როდესაც ვიფიქრებთ, ვინ არიან იგინი, რომელნი გამოგჳცხადებენ ჩჳჱნ ახალთა ამათ და საკჳრვე-

ლთა ჰაზრთა; იქნება იგინი არიან კაცნი აღვსე-ბულნი წლოვანებითა, დასელოვნებულნი სწავლასა და ცხოვრებასა შინა? ვინაჲდგან იგინი გვეტყჳან ჩუჱნ რომელთამე უცნაურთა ახალთა და სამძიმო-ჰაზრთა, მაშასადამე ისინი უნდა იყვნენ კაცნი ფრიად პატივცემულნი, გამოცდილნი, ჰასაკოვანნი და სარწმუნონი. არა! უმეტესი ნაწილი მათგან, გასაკჳრვებელად ჩუჱნდა, არიან თჳთქმის მცირე-ნი ჭაბუკნი, გამოუცდელნი, რომელთა კაცი ვერ მიენდობა არათუ ესრეთსა მძიმესა, არამედ თჳთ მცირესა საქმესა შინა. ან იქნება, თუმცა იგინი არიან რეგვენნი, გარნა სწავლასა შინა არიან ზედ მიწევნილნი, რომელთა მიიღეს სრული განა-თლება და მეცნიერება? არც ეს არის ესრედ! ვგო-ნებ, არ იქნება ნამეტანი, თუ ვსთქჳთ, რომელ უმეტესთა მათგანთა ჯერეთ ანბანის მეტი თჳთქმის არაფერი იციან ზედ მიწევნილად. ცხად არს ახ-ლა რას უნდა მივაწეროთ მათი ურწმუნოება, ანუ რისგან გამოვიდა მათი ჰსჯულის წინააღმდეგობა, ჭკუისა და განათლებისაგან, ანუ ჭკუა ნაკლულე-ვანებისა, ზედა პირისა, სუსტისა და უსაფუძვლო ჰსწავლისაგან? დიდი ჭკუა და ზედ მიწევნილი

სწავლა არ გააჩენს კაცის გულში სახარების წინააღმდეგობასა. არამედ უმეტესად დაამტკიცებს მას ზედა, ერთი მხოლოდ დაუმწიფარი, მკვახე, ნედლი ჭკუა და უსაფუძვლო, აღვრეული სწავლა განაშორებს გულსა კაცისასა სახარებისაგან.

მეორედ, ვიფიქროთ თჳთონ მოიგონესაა ამ პირთა, რომელთათჳს ჩუენ ვლაპარაკობთ, ეს წინააღმდეგობა სარწმუნოებისა, ანუ სხუათაგან გაიგონეს? არა! მათ ესმა სხუათა კაცთაგან რაოდენიმე წინააღმდეგი ჰაზრი და ახლა ისინიცა განიმეორებენ იმას, ვინაჲდგან ჭკუა მათი სუსტი არის, არ შეუძლიანთ განარჩიონ ჭეშმარიტი ჰაზრი ცრუ აზრისაგან, ამისთჳს რაც ესმის მას იმასვე განიმეორებენ. ამასთანავე არიან იგინი ნამეტნავად თავის მომწონნი, და ჰგონიათ, რომელ ამით თავს გამოიჩენენ. ეს არის ერთი ნიშანი აღვრეულისა და ცრუ განათლებისა, რომელ იგი გაბერავს და განალაღებს გულსა კაცისასა. ოდეს ჭეშმარიტი და ღრმა სწავლა და განათლება კაცს მისცემს სიმდაბლესა, ცრუ და უსაფუძვლო განათლება გაუჩენს გულში ამპარტავნებას. იმ საწყლებთ და საბრალო რეგვენთა ესრეთ ჰგონიათ,

რომელ სარწმუნოების წინააღმდეგის ლაპარაკითა დაამტკიცებენ თჳსსა სწავლასა და დიდსა განათლებასა, რადგანაც მათ ძლიერ სურთ თავი გამოიჩინონ და ცხად ჰყონ მათი განათლება და სხუა ვერარა მოიგონეს და არც შეუძლიათ სხუაში როგორმე თავი გამოიჩინონ, სოლო სჯულისა წინააღმდეგი ორიოდე სიტყუა უსაფუძვლო ყოველ კაცს შეუძლია სთქუას, ამით ფიქრობენ გვაჩუენონ მათი დიდი განათლება; მაშინ, როდესაც ყოველი გამოცდილება და კეთილ გონიერი კაცი შეიტყობს მათსა შერყეულსა და აღრეულსა ჭკუასა; შეებრალება იგინი, და თჳთ იგინიც, ოდეს დამწიფდება მათი გონება, უკეთუ ოდესმე იგი დამწიფდა, შეწუხდებიან, წარმოიდგენენ რააწინდელსა თჳსსა უგუნურებასა.

ბოლოს, ფრიად შესანიშნავი და საგულისხმო არს, რომელ ესრე ვითარნი ურწმუნოების გამომაცხადებელნი ნაყოფათგან მათთა, ესე იგი მოქმედებათა და ყოფაქცევათა გამოაჩენენ, რა მეუდგება მათსა ურწმუნოებასა? ვითარცა სიტყუანი მათნი, ეგრეთვე საქმენი მათნი! პირისა მათისაგან ისმის უგუნური და სჯულის წინააღმდეგი ლაპა-

რაკი და იმავე დროსა, ყოფაქცევა მათი შეაგინებს კეთილსა და წმინდასა ზნეობასა; ვინაჲდგან ესმა ყოველთა რომელნიმე მათნი უშჳერნი და უსახონი საქმენი, მაშასადამე მეორე წყარო მათისა ურწმუნოებისა, სამწუხაროდ ჩჳენდა, არის, განხრწნილი გული და ხასიათი მათი.

იქნება ვინმემ სთქჳას, რომელ, არა მხოლოდ ჭაბუკნი გამოუცდელნი და უასაკონი, არამედ ზოგნი დიდის ჰასაკისა, და სწავლაში გამოცდილნი არიან სჯულის წინააღმდეგნიო. რა არის ძმანო ამაში გასაკჳრვებელი! ყოველთჳს და ყოველგან იყვნენ და არიან სჯულის წინააღმდეგნი ურწმუნონი კაცნი; სრული და მტკიცე სარწმუნოება, ძმანო ჩემნო, არის ნიჭი ღჳთისა, ისმინეთ რასა იტყჳს უფალი ჩჳენი იესო ქრისტე: «აღგიარებ შენ მამაო, უფალო ცისა და ქჳეყანისა, რამეთუ დაჰფარე ესე ბრძენთა და მეცნიერთაგან და გამოუცხადე ჩჩჳლთა! ჰე უფალო, რამეთუ ესრეთ სათნო იყო შენ წინაშე.» განა ვის მისცემს ღმერთი ერთსა ნიჭსა? ამაყსა და გაბერილსა თჳსითა სწავლითა და განათლებითა, ანუ კაცსა მდაბალსა და გულწრფელსა? რა საკჳრველია,

რომ მეორესა. წმინდა მოციქული პავლე გვეტ-
ყჳს: «არავის ძელ ეწიფების თქმად უფალი იესო,
გარნა სულითა წმინდითა,» ესე იგი: ვერავინ კაცი
ვერ აღიარებს იესო ქრისტესა ღმერთად, უკეთუ
სული წმინდა არ შეეწია მას; გარნა სული წმი-
ნდა ასწავლის მხოლოდ კაცსა მდაბალსა და კე-
თილსა.

და ესრეთ, ძმანო ჩემნო, ნუ გიკჳრნ, ოდეს გე-
სმის ურწმუნოება და სჯულის წინააღმდეგობა
რომელთამე პირთაგან. აქ მხოლოდ ეს არის სა-
მწუხარო, რათ გამოჩნდენ ჩუენ შორის ამისთანა
სჯულის წინააღმდეგნი, მაშინ, როდესაც არა ოდეს
განმავალობასა შინა ათას ოთხასის წლისა, არ
გაგონილა ამისთანა არაფერი ჩუენ ქუეყანაში?
მერმე როდის! ახლა, ოდეს ცოტაოდენი განათ-
ლება შემოვიდა ჩუენ შორის! რას იტყჳს უბრალო,
დაბალი და უსწავლელი კაცი, ოდეს გაიგონებს
სჯულის წინააღმდეგსა სიტყუასა სწავლულთაგან?
არ იფიქრებსა იგი, რომელ სწავლა მავნებელია,
და დაივიწყებს ღმერთსა? გარნა არა! არა სწავ-
ლამ ქმნა, ესე ვითარცა ვსთქჳთ, არამედ ცრუ
და უსაფუძვლო სწავლამ! შენ მხოლოდ ის ეცა-

დე, რომ გაამართლო მათ წინაშე სარწმუნოება შენი კეთილითა საქმითა შენითა, გახსოვდეს რომ ურწმუნოება არის ორ ნაირი, ერთი გამოჩნდება სიტყუათა შინა, მეორე საქმეთა შინა. მარტო ის არ არის ურწმუნო, რომელი სიტყვთა მხოლოდ იტყჳს: მე არა ფერი მრწამსო; არამედ ისიც ურწმუნო არს რომელი, ენითა აღიარებს სარწმუნოებასა, გარნა ყოველი საქმე მისი არის სჯულის წინააღმდეგი; ამისთჳს კვალად გეტყვი, გაამართლე სარწმუნოება შენი მშჳნიერითა შენითა ყოფაქცევითა, რათა თჳთ ურწმუნო იგი, მხედველი კეთილისა შენისა ცხოვრებისა, მოიქცეს და რწმენეს.

## ხაბრალონი.

(განგრძელება,)

იმავე ღამესა ქოვერმა დასწერა რაღაც წიგნი და მეორე დილას წაიღო თჳთონ ფოჩტაში. წიგნი იყო პოლიციის პრეფეკტის მაბუიეს საჴელზედ. პოჩტმეისტერმა და სხჳებმა იცნეს მაშინვე ჴელი ქოვერისა და იფიქრეს, რომ ის უნდა ყოფილიყო არზა დათხოვნაზედ თანამდებობისაგან.

მადელენმა მეორეს დღესვე იმ ისტორიის შემდგომ, გაუგზავნა ტენორდიებსა სამასი ფრანკი და შეუთვალა, რომ იმ ფულიდამ აელოთ მათ რაც ერგებოდათ, გაესტუმრებინათ ვალი კაზეტტასი და დანარჩენი მოესმარებინათ კაზეტტას დედასთან მოყვანაზედ.

ამას რას ჳსედავ? სთქჳა ავაზაკმა ტენორდიემ

როდესაც ნახა იმდენი ფული. ეს კომბიო ჩუენ-თჳს ჩინებული მწველელი ძროხა გამოდგა. და კელახლათ შეადგინა მან ანგარიში. იმ ანგარიშში ეწერა: «ლეკარსა და აპტეკარს კაზეტტას წამლობისათჳს ხუთასი ფრანკი. იმ ხუთასს ფრანკში მივიღეთ სამასი ფრანკი, დარჩა კიდევ ფანტინაზედ ორასი ფრანკი.»

მადელენმა გაუგზავნა მაშინვე კიდევ სამასი ფრანკი და მისწერა სასტიკად, რომ კაზეტტა უთოვოთ მოეყვანათ დედასთან.

როდესაც მიიღეს ეს ფულიც' ცოლ ქმარში ჩამოვარდა რჩევა: გაეგზავნათ თუ არა კაზეტტა დედასთან, და გარდასწყჳტეს, რომ არაოდეს არ გაუშვან კელიდამ ის საუნჯე, რომელიც აძლევს იმათ იმდენს შემოსავალსა.

ფანტინა იყო ისევ ავათ და დარდობდა მხოლოდ თავის საყვარელს ბავშვზედ.

ექიმმა, რომელიც სწამლობდა ფანტინას, სთხოვა მადელენსა დეეშურებინა ბავშვის მოყვანა და ჰგონებდა ამას პირველ საშუალობთ იმისის მორჩენისას.

მაშინ მადელენმა სთქუა: «თუ აგრეა საქმე რა

გაეწყობა, მე თითონ წავალ და მოვგვრი ბავშვსა საცოდავს დედასა.

## XII

მადელენი იჯდა თავის კაბინეტში და საქმობდა, იმ დროს მოახსენეს, რომ ინსპეკტორს ჟოვერს უნდა ნახვაო.

შემოვიდეს, სთქუა მოსვენებით მადელენმა.

ჟოვერ შევიდა და პატივისცემით დაუკრა თავი. მერი განაგრძობდა საქმობასა. ჟოვერმა გადასდგა წინ ორი სამი ნაბიჯი და გაჩერდა ჩუმათ.

ბოლოს მადელენმა დასდო სტოლზედ კალამი, მიუბრუნდა ჟოვერსა და ჰკითხა: რა ანბავია უ. ჟოვერ?

ჟოვერ იდგა მცირე ხანს ჩუმათ, თითქო აგროებდა თავში ფიქრებსა, და მერე დღესასწაულისა ხმით მიუგო მას:

უ. მერო, ერთი დიდი დანაშაული მოხდა.

--აბა რა მოხდა?

--ქუეშევრდომმა აღმოაჩინა თჳთ უმლიერესი უპატივცემულობა იჳსის უფროსისა, ვალისებრ ჩემის თანამდებობისა მე გამოვცხადდი თქუენთან

ამის მოსახსენებლათ.

ვინ არის ის უფროსი, რომელსაც თქვენ
ანბობთ და რომელსაც აღმოუჩინეს უპატივცემულობა?

--ის უფროსი ბრძანდებით თქვენა. მერო.

მადელენი მიბრუნდა კვერდზედ.

ქოვერმა იმავ მტკიცის ხმით განაგრძო: უფა-
ლო მერო, მე მოვედი თქვენთან სათხოვნელათ,
რომ მე წარმადგინოთ თანამდებობიდამ დათხოვნაზედ.

მადელენს, რომელიც იყო განკვირვებული ამ
ლაპარაკით, უნდა ეთქვა რაღაც სიტყვა, მაგრამ
ისევ ქოვერმა წაართვა.

--თქვენ მეტყვით უ. მერო, რომ მე თითონ
შემიძლიან ვითხოვო ჩემი დათხოვნა, მაგრამ
ეს არა კმარა. თანამდებობიდამ დათხოვნის
თხოვნა ეს პატივსაცემი საქმეა; არა უ. მერო,
მე ღირსი ვარ დასჯისა,--სამსახურიდამ გამოგ-
დებისა. უ. მერო უკანასკნელის ისტრიაში, იმ ქალის
საქმეზედ, თქვენ მე მრიელ სასტიკათ და უსამა-
რთლოთ მომეპყარით; დღეს თქვენ უნდა გაისარჯ-
ოთ ჩემზედ უფრო მართლმსაჯულათ.

--რა გინდათ სთქვათ უ. ქოვერ? მე არ მესმის
ეგ ბროდვა. რა დანაშაულობაზედ ლაპარაკობთ,

რაში იმტყუნებთ თავსა და რისთჳს გინდათ, რომ გაკჳგდონ სამსახურიდამ? ამისსჷნით ღუთის გულ-სათჳს ყოველივე; მე არაფერი არა მესმის რა თქუჱნის ლაპარაკისა.

--თქუჱნ მალე მისვდებით ჩემს ლაპარაკსა უფა-ლო მერო.

შემდგომ ამოიოხრა ღრმათ ყოველმა და სევ-დიანის ხმით განაგრძო; შემდგომ იმ ისტორიისა, იმ ქალზედ რომ მოხდა, მე ვიყავი თქუჱნზედ ისე განბოროტებული, რომ გავგზავნე თქუჱნზედ დაბეზღება.

--მაშ თქუჱნ, დამასმინეთ? სადა? ვისთანა?

მადელენი მოჰყუა ხარხარსა, დიდი ხანია იმას ისე გულით არსად გაეცინა.

--მერე რაზედ დამასმინეთ, უთოვოთ იმაზედ რომ იმ ქალის საქმეზედ ვითომც მე გადავაბიჯე ჩემს უფლებასა?

--არა, მე დაგასმინეთ თქუჱნ ვითარცა (კატო-რჟნიკი) ტუსაღათ მეოფი.

--მადელენი აჱთო, აღელვდა მრისხანებით. ყოველმა ეს შენიშნა და თავ დაღუნული განაგ-რძნობდა:

--მე ისე მქონდა გამოხატული, ისე ვფიქრობდი რომ თქვენ სწორეთ ის ტუსაღი იყავით. მცირედი მსგავსება, მცნობეები, რომელიც მე შევკრიბე საიდუმლოთ ფავერალლეში, თქვენი ცხენის მსგავსი მალა, თქვენგან მარჯვეთ თოფის სროლა, აი ესენი იყვნენ მიზეზნი, რომ მე თქვენ მიგიღეთ იმ კაცათ, რომელსაცა ჰქჳან ჟანვალჟანი.

---რა ჰქჳან, რა სთქვით? ჰკითხა მერმა.

--ჟანვალჟანი. ესე იგი ტუსაღი, რომელიც მე ვნახე ამ ოცის წლის წინეთ ტულონში. როდესაც ის ვალჟანი განათავისუფლეს მადნებიდამ, იმან გაჰქურდა ეპისკოპოსი, მერე პატრა სავოიარი ჟერვე. აი რვა წელიწადია რაც იმისი ვეღარა გაიგეს რა; დაიკარგა მისი კვალი, ის დიდ ხანს ეძებეს, მაგრამ ამაოთ. მე წარმომიდგა საუბედუროთ, რომ თქვენა ხართ ის კაცი და გაბოროტებულმა გავგზავნე პარიჟში დასმენა.

--მერე რა პასუხი მოგცეს მაგაზედ? ჰკითხა სრულებით მოსვენებულმა.

--მომწერეს, რომ ვითომც მე ჭკუაზედ შეშლილი ვიყო.

--მერე? მართალია ეგ პასუხი?

--სწორეთ მართალია.

--ეგ საქებია თქვენის მხრით, რომ აგრე ეთანხმებით მართებლობის პასუხსა, უთხრა მას მერმა.

--როგორ არ დავეთანხმები, როდესაც ნამდვილი ჟანვალჟანი კიდეც დაუჭერიათ?

მადელენმა აიღო მაღლა თავი, შეხედა თვალებში სასტიკათ ჟოვერსა და უთხრა:

--რა სთქვით ეგა, ჟანვალჟანი დაუჭერიათ? აბა რა რიგათ, მიამბეთ.

--აი რა რიგათ: აინლეგო კლოშეში სცხოვრებდა ერთი კაცი, რომელსაც უძახდენ შანმატიეს. იმას თჳთქმის ყურს არავინ არცკი უგდებდა, მაგრამ ერთხელ, შემოდგომაზედ, შანმატიე ჩასვეს ტუსაღათ ვაშლის მოპარვისათჳს. ეს სულ არაფერია, ვსთქვათ, მაგრამ საქმე მდგომარეობს იმაში, რომ კვალი დანაშაულობისა გამოსჩნდა, და შანმატიე იყო დაჭერილი. ის გაგზავნეს არრასის საპყრობილეში. იმავ საპყრობილეში იჯდა ძველი კატორჟნიკი სახელათ ბერვე. როგორცკი შეიყვანეს ის საპყრობილეში, ბერვემ მაშინვე შესძახა იმას:

კარგათ ვიცნობ ამ კაცსა; ესეც კატორჟნიკია ჩემსავით. აბა შემამხედე თვალებში, შენ ჟანვალ-ჟანი ხარ.»

—-ვინ ჟანვალჟანი ვარ, მიუგო მას უალბის განკვირვებით შანმატიემ, «კმარა მაგდენი ფარისევ-ლობა, უთხრა მას ბერვემ, გახსოვს ჩჳენ ერთათ რომ ვიყავით ტულონში. შანმატიე უარზედ იდგა. თქჳენ მიხჳდებით უ. მერო, თუ რათ დადგა ის ისე უარზედ. მაგრამ წინდაწინ იყო იმაზედ შეკრებული გამოკითხვა და აი რა აღმოს-ჩნდა: ოცდა ათის წლის წინეთ ის შანმატიე იყო ხეების მსხვლელი სხჳა და სხჳა ადგილსა და გან-საკუთრებით აბეროში. მერე იმისი კვალი დაიკა-რგა სადღაც.

შემდგომ დიდის ხნისა, ის ენახათ ოვერნაში, მერე პარიჟში, სადაც ის მუშაობდა ერთს მეურმესთან. თუმცა ეს გარემოება არ არის კარგათ დამტკიცე-ბული, მაგრამ საქმე მაინც ცხადია, არ იყო ტუსაღო-ბამდინ ჟანვალჟანი? ხეების მსხვლელი. სადა? ფავეროლში. მეორე დამტკიცება არის ისა, რომ ვალჟანს ერქვა თავისი სახელი ნათლიაობით ჟანი, და დედას იმისას ერქვა მატიე. მერე ის მისულიყო

ოვერნში. იქაურს ადგილობითის ენაზედ ჟან გამო-
ითქმის როგორც შან, და ამისთჳს იმას და-
რქვა შანმატიე. თქუენ უურს მივდებთ განა უ.
მერო? მოასდინეს გამომიება ფავეროლში; აღმოს-
ჩნდა რომ ჟანვალჟანის სახლობა იქ არ არის, და
სად არის სწორეთ არა ვინ იცის. ეძებეს კიდევ
სხვაგანაც, მაგრამ ვერა გაიგესრა. გამოიძიეს ტუ-
ლონში და ბრევეს გარდა გამოჩნდა კიდევ ორი
ტუსაღი, რომელნიც იცნობდნენ ჟანვალჟანსა--ისინი
იყუნენ კოჰშალი და შენილდე; ისინი დაიბარეს
ტულონიდამ, წაუყვნეს პირში შანმატიეს და მათ
სცნეს იმაში ნამდვილი ჟანვალჟანი.

სწორეთ იმ დროს მეც გავგზავნე თქუენზედ
დასმენა. მე მომწერეს პასუხათ, რომ მე ვარ ჭკუაზედ
შეშლილი და ნამდვილი ჟანვალჟანი იმყოფება
მართლა მსაჯულების ხელშიაო. მე კიდევ მივსწერე
წიგნი მსაჯულსა,მეც დამიბარეს და მაჩვენეს შანმატიე.

--მერე? ჰკითხა მას საჩქაროთ მადელენმა.

--უფალო მერო, ჭეშმარიტება უნდა ჭეშმარიტებათ
დარჩეს ყოველგან, მე თუმცა ძალიან მეჯავრა, მაგ-
რამ უნდა გამოვსტყდე, რომ ის კაცი სწორეთ
ჟანვალჟანია, მე მაშინვე ვიცანი ისა როგორცკი

შევხედე,

--მაშ თქჳენ სწორეთ დარწმუნებული ხართ, რომ ის კაცი ნამდვილი ჟანვალჟანია? ჰკითხა მას წუნარის ხმით მადელენმა.

--სრული დარწმუნებული ვარ. და ახლა, როდესაც მე ჩემის თვალით ვნახე ნამდჳლი ვალჟანი, მიკჳრს რა რიგათ ვიყავი მე თქჳენზედ ისე შემცდარი, ისე დაბრმავებული. გთხოვთ მომიტეოთ უ. მერო ის ჩემი შეცთომილება.

ამ თხოვნაზედ მადელენმა ჰკითხა ჟაველსა: რას ანბობს ის კაცი?

--იმისი საქმე ცუდი არის. გადასვლა ღობეზედ. მოტეხა ტოტისა, მოკრეფა ხილისა, ბავშჳსთჳს ეს არის სიცელქე, სრულის კაცისთჳს ეს არის გარდახდომილება, ხოლო კატორჟნიკისათჳს ეს არის ორ ნაირი სჯულის გარდამავლობა. იმ დანაშაულობის განხილვაში შევა ახლა არა პოლიცია, არამედ სისხლის სამართლის სამსჯავრო; სასჯელი მისი იქნება არა საპყრობილე, არამედ სიკჳდილამდის მადნებში მუშაობა, ამას ყოველსავე ემატება კიდევ გაქურდჳა მისგან პატარა ბავშჳს სავოიარისა; იმ დანაშაულობით

წინააღმდეგ მნელია თავის მართლება. მაგრამ უნდა გითხრათ, რომ ჟანვალჟანი მრიელ ეშმაკი კაცია. სხუა იმის ადგილს იწყებდა ყურილსა, ჩივილსა, ისკი სჩანდა განკურებულათ, თითქო არ ესმისო რასაც სწამებენ; იმის სათქმელი ყოველს კითხვაზედ აი რა არის: «მე ვარ შანმატიე, და დავრჩები შანმატიეთ, სხუა არა ვიცირა!» ის თუმცა აჩუენებს თავსა ისე განკურვებულათ, მაგრამ ეს სულ ერთია. დამტკიცება ბევრია, რომ არ არის ჟანვალჟანი? ის იცნა ოთხმა მოწამემ, მაშასადამე გზა არა აქუს, ის მველი ჴლუტი უნდა დაისაჯოს. საქმე სწარმოებს იმაზედ ესლა არრასაში და მეც უნდა დავესწრო იქა მოწამეთ.

--ახლაკი კმარა უ. ჟოვერ, უთხრა მას წყნარის განსვენებულის ხმით მადელენმა. ჩუენ მაგ გრძელს ანბავში ვჰკარგავთ ბევრს დროსა, უნდა სწორე გითხრა მე ძალიან ბევრი საშური საქმეები მაქუს.

და მადელენმა მისცა ჟოვერს რამდენიმე სხუა და სხუა ბმანება შესახებ ქალაქისა და ხალხისა.

თქუენ სთქჳთ, რომ ერთს კჳრეს უკან უნდა წავიდე არრასაშიაო, განა? ჰკითხა მას მადელენ-

მა კიდევ.

--არა, უ. მერო, მე გითხარით თქვენა, რომ ის საქმე უნდა განისილონ მეთქი ხვალე და მე უნდა წავიდე ამეღამვე.

--დიდ ხანს გასწევს ის საქმე, როგორა ფიქრობთ უ. ჟოვერ?

--ერთს დღესა. განჩინება შესდგება ვგონებ ხვალ საღამოსა. მაგრამ მე არ მოუცდი ბოლომდის იმ საქმესა; მე დავბრუნდები მაშინვე, როგორცკი ჩამომართმევენ ჩვენებასა.

--კარგი, ეხლაკი შეგიძლიანთ წახვიდეთ, უთხრა მადელენმა.

ჟოვერი არ იცვლიდა კიდევ ფეხსა.

--უკაცრავათ უ. მერო, უთხრა მან.

--რა გნებავთ კიდევა?

--იმისას რაღას მეტყვით მე რომ გთხოვეთ? სამსახურიდამ გამორიცხვისას?

მადელენი წამოდგა ფეხზედ.

--უ. ჟოვერ. უთხრა მან, თქვენ ერთობ პატიოსანი კაცი ხართ, და ამისთვს მეც ვაფასებ თქვენში მაგ პატიოსნებასა, მაგრამ უნდა გითხრათ თქვენ ერთობ ადიდებთ თქვენს დანაშაულო-

ბასა. მე დარწმუნებული ვარ, რომ თქუენ არ დასტოვებთ თქუენს თანამდებობასა.

--უფალო მერო, მაშ მე დავრჩები კიდევ იმ დრომდის ვინემ იშოვნიდეთ ვისმეს ჩემს მოადგილეთ; სთქუა ესე, და გავიდა კიდეც გარეთ მერის კაბინეტიდამ.

## XIII

უეჭუელია, მკითხველი დიდი ხანია მიმხვდარია, რომ მადელენი იყო ჟანვალჟანი და არა სხუა ვინმე.

როდესაც ის უგდებდა ყურსა ჟოვერსა, გრძნობდა, იმის თავზედ გროვდებოდა ნისლი, რომელიც სასტიკათ ემუქრებოდა მას. პირველი ფიქრი, რომელიც მაშინ მას მოუვიდა იყო ისა, რომ მან დაიხსნას უბრალო შანმატიე და გამოიცხადოს თავი, მაგრამ ეს ჭაზრი, როგორც გალესილი დანა, სწყლავდა იმის გულსა. ვნახოთ კიდევ რა იქნება. სთქუა თავისთჳს ჟანვალჟანმა, და დააყრუა დროებითათ გმირული გრძნობა თავის თავში.

იმან გაატარა ერთი დღე ისე რომ, ვერ ამ-

ლევდა ანგარიშსა თავის თავსა, თუ რა იფიქრა ანუ რა გარდასწყვიტა. გრძნობდაკი ამღვრეულად, რომ ამისთჳს საჭირო იყო წასვლა არრასაში; ჯერ თუმცა არა ჰქონდა კიდევ გარდაწყვეტილი წასვლა, მაგრამ იმან მაინც იქირავა ტრიულბარისაგან ეკიპაჟი, რომ მზა ყოფილიყო ყოვლის შემთხვევისათჳს.

ჟანვალჟანი შეუდგა განხილვას თავისის მდგომარეობისას და ჰპოვა, რომ ის იყო საშინელი. მიეცა რა რაღაც უანგარიშო შიშსა და სევდიან ფიქრებსა, მან ჩაიკეტა მაგრათ კარი კაბინეტისა. ეშინოდა, რომ კიდევ არა მომხდარიყო რა ახალი. თჳთ სინათლეც სამთლისა აწუხებდა იმას. მაშინ იმან გააქრო სამთელი და დარჩა ღრმას სიბნელეში.

იმას ეშინოდა რომ ის არავის დაენახა. მაგრამ ვისი ეშინოდა საკუთრად? ეს თითონაც არ იცოდა. ის ემალებოდა იმ დროს საკუთარს სინიდისსა. თავი აუსურდა; გააღო ფანჯარა, ცა იყო ბნელი, მოღრუბლული, როგორც იმ დროს იმისი სული. ჟანვალჟანი მიუჯდა სტოლსა, ამ სახით განვლო ერთმა საათმა. ჟანვალჟანი ვერ ამლევდა

ვერა ვითარს ანგარიშსა თავის თავსა. ბოლოს იმის ფიქრებიდგან გადიყარა ღრუბელმა, და მაშინ უფრო და უფრო ცხადად წარმოუდგა თავისი მდგომარეობა. წარმოუდგა თვალწინ კაცი, რომელიც განგებულებამ დაადგინა იმის ადგილზედ. ხედავდა, რომ აუცილებლათ ერთი იმათგანი უნდა დაცემულიყო, ან თჳთ ის, ანუ უბრალო კაცი. ეჰ, მოხდეს რაც მოხდეს, ჰფიქრობდა ის იმ დროსა, იტანჯოს ჩემ მაგიერათ სხუა კატერგაში, და მე დავრჩები ისევ მადელენათა. და რისა უნდა მეშინოდეს? მე დიდი ხანია გადავრჩი ხიფათსა; მე ვსდგევარ საშიშროების გარეთ. ერთი მხოლოდ ჟოვერია ქუეყანაზედ, რომელსაც შეეძლო ჩემი დაღუპუა, რადგან ის მე მიდგა კვალში, როგორც მაღლი ნადირსა; და აი იმანაც დაჰკარგა ის კვალი, დაჰკარგა საუკუნოდ. ახლა ის დამცხრალია, დაჯერებულია, იმას უჭირავს ახლა კელში სხუა ჟანვალჟანი და ის იმით არის სრული კმაყოფილი. ჟოვერ უტევებს ქალაქსა, ესე ყოველივე სრულდება უჩემოთ; მე ხომ არაფერში ვერევი? და თუ ვისმეს ეწევა ჩემს მაგიერათ უბედურება, მე ხომ არ ვერევი იმ საქმეში. ეს ყოველივე მო-

ხდება განგებულების ნებით. მე რა უფლება მაქვს დავარღვიო გზანი განგებულებისა?

რა არის ჩემთვს საჭირო? განა განზრახვა სრულის ჩემის სიცოცხლისა, რომელზედაც მე ვფიქრობდი დღე და ღამ, რომელზედაც მე ისე მხურვალეთ ვლოცულობდი, ესე იგი უშიშრათ ყოფნა ჩემს კელში არ არის? ეტყობა თუ ღმერთს ნებავდა, ყოველივე ასე მომხდარიყო, და მე რა უფლება მაქვს, რომ დავაბრკოლო იმისი წმინდა ნება. გათავდა, მოხდეს რაც მოხდეს.

მერე ადგა და დაიწყო სიარული.

ასე, ამით უნდა დავაბოლოვო ჩემი ფიქრები, საქმე კიდევ ქანვალეანმა!

მაგრამ იმის სევდიანს სულს ამით არაფერი უმსუბუქდებოდა; ის ვერა გრძნობდა სულში ვერა ვითარს სიხარულსა. მაშინ სინიდისმან დაუწყო მას საზარლათ ღრღნა. მან განაგრძო:

— იმე მართლათ ვეწევე ჩემს განზრახვასა; მაგრამ რომელს განზრახვასა? იმას, რომ დავფარე ჩემი ნამდვილი სახელი? რომ მოვატყუე პოლიცია? განა არ არის სხუა განზრახვა უმეტეს ჭეშმარიტი და უმაღლესი? დაცვა სულისა და არა

სახელისა, პატიოსან კაცათ ყოფნა დამივდო მე ანდერძათ დაუვიწყარმა, განსვენებულმა ეპისკოპოსმა. თუ დავასრულო ჩემი წარსული? მაგრამ რა გათავებაა, როდესაც მე ვიქ საქმესა საზარელსა; როდესაც შევიქნები უმაგალითო ქურდი, მით რომ წავართმევ სხუას მისს არსებობასა, სიცოცხლესა, იმის განსვენებასა, იმის ადგილსა ამ ქუეყანათ, განა ეს არა ნიშნავს კაცის კვალსა? კვალსა ზნეობითად, სხეულით, საპყრობილეში თუ საუკუნოთ მადნებში ჩავდებითა? არა, მე ასე ვფიქრობ, რომ როდესაც მე მივსცემ თავსა მართლ-სამჯულების ხელში, შევიქნები ისევ ჟანვალჟანათ და იმით დავიხსნი კაცსა, აი ეს იქნება ნამდვლი გათავება ანგარიშებისა წარსულს ჩემს ცხოვრებასთან; იქნება ნამდვლი დაცუა სულისა; თუ ასე არა ვიქ, მაშინ ყოველივე ჩემი სინანული, სულ ამაო იქნება. არა, საჭიროა, მიუცილებელია ჩემი წასვლა არრასაში, გამოხსნა მოგონილის ჟანვალჟანისა და გამოცხადება ნამდვილის ვალჟანისა! ეს იქნება, უეჭველია, უკანასკნელი განსაწმენდელი, უკანასკნელი მსხუერპლი, უკანასკნელი განსაწმენდელი მსხვერპლი, უკანასკნელი ძლევა თავის თა-

ვზედ, უკანასკნელი ნაბიჯი, მაგრამ რა გაეწყობა, ეს აუცილებელია, თუმცა მხვედრი ჩემი ვიცი იმიერიდგან იქნება ისევ სამწუხარო!

უეჭველია, შევასრულებ ამ უკანასკნელს ვალსა და გამოვიხსნი უბრალო სულსა, სთქვა ბნელაში ჟანვალჟანმა მაღალის ხმით, რომელიც თითონ მოცულმა იმ ფიქრებით, ვერ შენიშნა.

იმის შემდგომ მან აიღო საანგარიშო წიგნები, მოიყვანა წესში ანგარიშები; დასწვა რომელნიმე ვექსილები, რომლითაც ზოგი ერთს ღარიბს ვაჭარს უჭირდა გარდასხდა იმის ვალებისა, დასწერა წიგნი ბანკირს ლაფოშთან, როდესაც გაათავა წიგნი, დაჰკეცა, ჩაიდო ჯიბეში და ისევ ოთახში სიარული დაიწყო.

«იქნება მე შემცდარათ უყურებდე საგანსა, ფიქრობდა კიდევ ის. ვსთქვათ, რომ სწორეთ შანმატიემ მოიპარა რამდენიმე ვაშლი; რა არის მერე აქ ისე სამძიმო? ამაზედ იმას მიელის ვსთქვათ ერთის თჳს საპყრობილე, მეტი ხომ არაფერი. მერე ესეც ვინ იცის მართლა მოიპარა თუ არა? იქნება იმას არ მოუპარავს? დამტკიცებული ხომ არ არის იმისი ქურდობა? მეორეს მხრით,

რომ ვსთქუათ, მე რომ გამოვცხადდე, იქნება პატი-ვი სცენ ჩემს გმირულს ქცევასა, ჩემს პატიოსანს ცხოვრებას შვიდის წლის განმავლობაში, ყოველ-სავე, რაც მე შევასრულე სასარგებლო ქვეყნი-სათჳს, და იქნება მაპატიონ.

მაგრამ, როდესაც მოაგონდა გაქურდვა პატარა ჟერვესი, წართმევა იმისგან ათ შაურიანისა, მოუვიდა მას ტუჩებზედ მწარე ღიმილი; წარმოიდგინა რომ ის დანაშაულობა წინააღმდეგ სჯულისა არის ისე დიდი, რომ ტყუვილათ მოელის ის დაზოგვას; რომ მას მიელის აუცილებელი მადნებში ტუსაღობა.

ჟანვალჟანი ცდილობდა განთავისუფლებულ იყო ბოლოს იმ საშინელის ფიქრებისაგან, და შესდგა იმ გარდაწყვეტილებაზედ, რომ ის ვალდებული იყო შეესრულებინა თავისი საღმრთო ვალი. გამოეცხადე-ბინა თავი, დაეხსნა უბრალო სული. ის არა ჰკარგავდა იმ ფიქრების ღელვაში მხნეობასა, მაგ-რამ გრძნობდაკი ცხადად, რომ ტვინი ელალებოდა.

შესრულდა თორმეტი საათი შუაღამისა და ჟან-ვალჟანი ისევ დადიოდა ოთახში წინ და უკან; ბოლოს აიტანა კანკალმა. იმან მაშინ აანთო ბუხა-რში ცეცხლი, ფანჯარაკი დარჩა მიუხურავი.

მერე მიეცა კიდევ კელახლათ ფიქრებსა და აღარ ახსოვდა კარგათ თუ რით გარდასწყჳტა, რომელს აზრზედ გაჩერდა.

«მე წავალ და გამოვაცხადებ თავსა» სთქჳა ბოლოს მან მტკიცეთ.

«მაგრამ იმ საწყალს დედაკაცს რაღა ეშველება? სთქჳა მან, მოაგონდა რა საცოდავი ავათმყოფი ფანტინა.

ჟანვალჟანს ეჩჳჱნა იმ დროს, რომ ახლის ნათლის შუქმა გაუნათლა მას სული.

«აქამდის ვფიქრობდი სულ მარტო ჩემს თავზედ. გავჩუმდე თუ გამოვცხადდე, სთქჳა ჟანვალჟანმა; ვიყო შეურაცხყოფილი, გარნა პატივცემული კაცი, თუ პატიოსანი კატორჟნიკი. მაგრამ სულ ჩემზედ, სულ მარტო ჩემზედ მქონდა ეს ლაპარაკი. ამას ჰქჳან ეგოიზმი, თავის მოყვარება. აბა ახლა ვიფიქრო სხჳჱბზედაც. აბა ვნახოთ რა გამოვა, როდესაც ლაპარაკიდამ გამოვრიცხავ ჩემს თავსა. თუ რომ მე გამოვცხადდი, უეჭჳჱლია მე დამიჭერენ, მე გამგზავნიან მადნებში, შანმატიეს გაუშჳჱბენ,—ეს ყველა კარგი ვსთქჳათ, მაგრამ მერე? შემდგომში რაღა იქნება? აქ რაღა მოხდება?

აქ არის ქალაქი, აქ არიან ფაბრიკები, აღებ-მიცემობა, მუშები, ქალები, კაცები, მოხუცნი, ბავშვნი, ღარიბნი! ისინი ყველანი ჩემგნით სცხოვრებენ, მე შევქმენ უხვება,--როდესაც მე აღარ ვიქნები აქა ესე ყოველივე განქრება; ახლა ის საწყალი ქალი; განა მე არ მაწევს ვალი, რომ გარდუხადო კეთილი იმ ბოროტებისათჳს, რომელიც მას ჩემგან მიადგა? თუ მე დამკარგვენ, მაშინ დედა უეჭუელია მოკუდება, იმის უმანკოს ბავშვს ვინ იცის რა დაემართოს? ახლა ვნახოთ რა იქნება მაშინ თუ რომ მე არ შევიტან ჩემზედ დასმენასა?

--მართალია შანმატიეს გაგზავნიან მაშინ მადნებში, მერე რა უყოთ, განა ის ქურდი არ არის? მე რომ ვსთქუა, იმას არაფერი მოუპარავს მეთქი, იმით ხომ არ იქნება; იქნება მართლათ მოიპარა საჭმელი. მე დავრჩები აქა, განვაგრძობ ჩემს საქმობასა; ათს წელიწადში მე მექნება ათი მილიონი, მე იმას სრულათ დაურიგებ სხვებსა, ასე რომ არაფერს დავიტოვებ ჩემთჳს; მაშინ გაიშლება, გავრცელდება აღებ-მიცემობა, ასი ათასი სახლობა, შეიქნება ბედნიერი, გაქრება სიღარიბე, და იმას-

თან ყოველი ბიწიერება: ქურდობა, მტაცებლობა, კაცის კვლა, და სხჳა ყოველი გარდასდომილება. მაშ რიღასათჳს მინდა მე უგუნურსა დასმენა თავის თავზედ? რისთჳს? რისთჳს ვაპირებ განსაკიცხავის კამედიის წარმოდგენას? რა სარგებლობისათჳს? და მან დაიწყო კელახლათ სიარული. მაშინ ეჩჳცნებოდა მას თავის თავი დამშჳდებულათ, კმაყოფილათ.

აი ასე, ასე დამიბოლოებია; ასე, სრულიად აღარას შევცვლი ჩემს უკანასკნელს გარდაწყვეტილებაში. ამას ითხოვს არა ჩემი საკუთარი სარგებლობა, არამედ სხვებისა. მე ვარ მადლენი და დავრჩები მადლენათ ბოლომდის. დეეხსენ დაისაჯოს ჟანვალჟანი. მე დიდი ხანია გამოვედ ჟანვალჟანობისაგან. მე ველარ ვიცნობ ვერა ვითარს ჟანვალჟანსა, და თუ ვინმე ამ წამში გამოჩნდა. ჟანვალჟანი, როგორც იცოდეს ისე იზრუნოს თავის თავისათჳს, მე აღარაფერს ვინაღვლი იმისთჳს?

მერე მივიდა, ჩაისედა სარკეში და სთქჳა:

--«მე ეხლა სრულებით გამოვცვლილვარ; ეს ძრიელ მანუგეშებს მე. მაგრამ არის კიდევ ძაფი;

რომლითაც მე კიდევ შეკრული ვარ უწინდელს ჟანვალჟანთან; თჳთ ამ ოთახში არიან ნივთნი, რომელთაც შეუძლიანთ ჩემი გამტყუვნება, ჩემი პირის დაყოფა; საჭიროა აღმოფხვრა იმ მუნჯის მოწმებისა.»

მერე ამოიღო ქისიდამ პატარა გასაღები, გააღო დამალული კედელში შკაფი, ამოიღო იქიდამ ლურჯის მაუდის ბლუზი, ძველი შალვარი, პარკი და მსხჳლი ჯოხი და ესე ყოველივე ჩაჰყარა ცეცხლში, რამდენსამე წამის შემდგომ ოთახი განათლდა წითელის სინათლით; ჯოხი იწოდა ტკაცატკუცით და ჰყრიდა შუა ოთახში ნაპერწკლებსა; პარკიდამ დაეშვა ბუხრის პირზედ ნაცარში, რაღაც ელვარე ნივთი; ის იყო ის ათშაურიანი, რომელიც ჟანვალჟანმა მოჰპარა ანუ წაართვა პატარა სავოიარსა.

ჟანვალჟანიკი იმ დროს დადიოდა წინ და უკან და არ უგდებდა ცეცხლს ყურსა, უცებ შეხედა ბუხარსა და შენიშნა იქ ვერცხლის შანდნები. საჭიროა, რომ აღარც ესენი იყვნენ, სთქჳა ვალჟანმა, მერე მივიდა ბუხართან, შეუკეთა კიდევ შეშა, გაქექა ნაკვერცხლები და ჩაჰყარა შიგ შანდნები.

იმ დროს თითქო საიდღამაც მოესმა მას ხმა «ჟანვალჟან, რას შვები მაგასა?»

ჟანვალჟანს თმა აუდგა კალხზედ და ათრთოლდა მთელის ტანით.

ხმა განაგრძობდა: «კარგი, აღმოფხარ მანდნები, მაგით დაასრულე წარსული! დაივიწყე ეპისკოპოზი! დაივიწყე ყოველივე! დაჭლუპე შანმატიე!—მალიან კარგათ გიფიქრია! კარგათ გარდაგიწყვეტია! მოხუცი, რომელსაც არ ესმის თუ რა უნდა იმისგან, კაცი უბრალო, რომელზედაც, როგორც გარდახდომილება, სმევს შენი სახელი, უნდა დაიღუპოს და დაიკარგოს შენის გულისთჳს, და შენკი ფიქრობ დარჩე კეთილ კაცათ, დარჩე უფალ მერათ. დარჩი, გაამდიდრე ქალაქი, გამოჰკვებე ღარიბნი, აღზარდე ობოლნი, იცხოვრე ბედნიერებაში, სათნოებაში და პატივისცემაში. მაგრამ ერთი რამ გახსოვდეს რომ, როდესაც შენ იქნები აქ დამტკბარი სიცოცხლით, მაშინ შორს განდევნილებაში, შენს ჯაჭვებში, შენს სატუსაღო ტანისამოსში იქნება მჯდომარე ტყვეთ სხუა კაცი უბრალო, მქონი შენის განსაკიცხავის სახელისა. სულ ყოველივე კარგათ გიფიქრნია, უბედურო! გარეშემო

შენსა იქნება მრავალი. მაკურთხეველი და მლოცველი შენის სახელისა, მაგრამ დარჩება კიდევ ერთი ვინმე, რომელსაც არავინ რას გაუგონებს, რომელიც ნიადაგ სწყევლის შენს სახელსა. მაშინ ვერც ერთი კურთხევა ვერ აანწევს ცამდინ, მხოლოდ ის წყევა მიაწევს პირდაპირ ღმერთამდინ. ეს ყველა კარგათ გახსოვდეს!»

ქანვალქანმა საჩქაროთ გამოიღო ბუსრიდამ შანდნები, და დასდგა, რა ისევ ბუსარზედ, იწყო კვლახლავ სიარული წინ და უკან; კვლახლათ საშინელნი ბნელნი ფიქრნი დაიძრნენ სიღრმისაგან იმისის გულისა, და კვლახლათ მივიდა ისევ უწინდებულს კითხვებთან: თუ რა ქნას? დაასმინოს თავი, თუ გაჩუმდეს?

დაჰკრა შუაღამიდგან სამმა საათმა და ქანვალქანი დადიოდა ისევ ოთახში: ბოლოს მოსწყდა დაღალვით, დაეშვა კრესლაში და მიეძინა. და ნახა მან სიზმარი, რომ ვითომც ის იყო მინდორში, დიდს სამწუხარო, უმწვანო შიშველს მინდორში. დღე იყო მაშინ, თუ ღამე ისკი ვერ გაიგო, ის დადიოდა ვითომც თავის მმასთან. იმათ ნახეს, რომ ერთმა კაცმა გაუარა იმათ ცხე-

ნით გვერდზედ. ის კაცი იყო სრულებით შიშვე-ლი, თავზედ არა ჰქონდა თმა, მხოლოდ სისხ-ლოვანნი ძარღვნი სჩანდნენ იმის თავისს სარქ-ველზედ. მან გაუარა იმათ გვერდზედ მდუმარედ..

მაშინ ძმამ უთხრა ვალქანსა: ძმაო, გადუსვიოთ გზასა, და მათ გადუხვიეს. მაშინ ძმა მისი სადღაც გაქრა უცეფ.

ქანვალქანი შევიდა სადღაც სოფელში. პირვე-ლი ქუჩა იყო იქ ცარიელი. ქუჩას იქით იდგა კაცი. ეს რა სოფელია, სადა ვარ მე? ჰკითხა იმას ვალქანმა, მაგრამ კაცმა არ გასცა ხმა,

მერე ნახა ვალქანმა ერთი სახლის კარი ღია და შევიდა შიგა. პირველი ოთახი იყო ცარიელი. ის შევიდა მეორეში. იმ ოთახის კარს უკან იდგა კაცი. ვალქანმა ჰკითხა იმას: ვისია ეს სახლი? სადა ვარ მე, თუ იცი? კაცმა არ გასცა ხმა. იმ სახლის წინ იყო ბაღი. ვალქანი შევიდა ბა-ღში. ის იყო ცარიელი! მაგრამ ყოველს ხეს უკან იდგა თითო კაცი. იმან ჰკითხა თჯთოეულს იმათგანსა: ვისია ეს ბაღი, სადა ვარ მე? მაგრამ არცა იმათ გასცეს ხმა.

შევიდა მერე სოფელში და ნახა რომ ის იყო

ქალაქი. ქუჩები იყო ცარიელი, სახლების კარებე-
ბი ღია. არა ვითარი ცოცხალი არსება არ და--
დიოდა ოთახებში, არ სეირნობდა ბაღებში: ყო-
ველს კარის უკან, ყოველს ხეს უკან იდგა კაცი
მდუმარეთ.

მაშინ ის გავიდა ქალაქიდამ ისევ მინდორში,
იქ ნახა ხროვა ხალხისა, რომელიცა მისდევდა მას.
მან სცნო იმათში ყველანი, ვინც ნახა ქალაქში.
ისინი თუმცა არსად მიეშურებოდნენ, მაგრამ უსწ-
რებდნენკი წინა. მალე დაეწია მას ის ხროვა და
შემოეხვია გარსა. სახე მათი იყო მიწის ფერი.

მაშინ პირველმა, რომელსაც ჟალჟან გამოელაპარაკა, უთხრა, მას: სად მიხვალთ ეხლა თქუ̂ენა?
განა არ გახსოვსთ, რომ თქუ̂ენ დიდი ხანია
მკუ̂დარი ხართ?,

ჟანვალჟანმა თუმცაკი მიუგო მას რაღაც, მაგ-
რამ მიიხედა გვერდზედ და ნახა, რომ ის ხალხი
მიიმალა სადღაც და დარჩა ისევ მარტო.

იმ დროს ჟანვალჟანს გამოეღვიძა. ცეცხლიც
და სამთელიც გამქრალი იყუ̂ნენ. წამოდგა ფეხზედ
და მივიდა ფანჯარასთან; ცა იყო ბნელი, არა
სჩანდა არც ერთი ვარსკვლავი. იმ დროს ვიღა-

ცამ წუნარათ მიურახუნა კარი.

ქანვალქანი ათრთოლდა და შესმახა რაღაცნაირის ველურის ხმითა:

--ვინ არის?

--მე ვარ უფალო მერო, მისცა მას პასუხი ხმამ.

ვალქანმა იცნო მოახლე.

--რა მოხდა?

--უფალო მერო, ხუთი საათი შესრულდა.

--მერე რა უყოთ? იყოს ხუთი საათი?

--ეკიპაჟი მოიტანეს.

--რა ეკიპაჟი?

--ტიულბერისა.

--ვინ ტიულბერია?

--განა თქუენ არ გიბრძანებიათ იმისი მოტანა უ. მერო?

--არა.

--კუჩერი ამბობს, რომ ვითომც თქუენ დაგე-ბარებინოსთ სწორეთ ამდროსთჳს.

--ვინ კუჩერი?

--სკოფლერა კუჩერი.

--სკოფლერა! სთქვა ჩუმათ ვალქანმა; ამ სახელმა

აათრთოლა ვალქანი თითქო ელვამ გაიელვაო იმ დროს იმის თვალ წინა.

--რას გვიბრძანებთ მერო? რა უთხრა კუჩერსა? ჰკითხა კიდევ დედაკაცმა.

--უთხარით, რომ მე ეხლავ გამოვალთქო.

## XIV

ღამის რვა საათზედ ქანვალქან მიდიოდა ჰოჩტის გასტინნიცისაკენ არრასისა. დასტოვა რა ეკიპაჟი, ქანვალქანი წავიდა ქალაქში ქვევითათ, იმან არ იცოდა არრასი და ამისთჳს დადიოდა ალალბედზედ. ჯერ თითქოს უჭირდა ეკითხა ვისთჳსმე გზები ანუ ქუჩები, მაგრამ შემდგომ რაოდენისამე რყევისა ის მიუბრუნდა ერთს გამოვლელსა და ჰკითხა:

--ნება მომეცით გკითხოთ, სად არის აქ სამსჯავრო?

--ეტყობა თქუჵნ აქაური არა ხართ, მიუგო. ხნიანმა კაცმა:--წამომყევით მე, მეც იქით მივდივარ. თუ რომ მსაჯულობის სანახავათ მიდიხართ სუდში, ვგონებ გვიან იყოს. ჩვეულებითად შეკრებილება თავდება ხოლმე ექჳს საათზე.

როდესაც მიაწიეს მეიდნამდინ, მგზავრმა შეასხედა

ოთახს მაღალს განათლებულს ფანჯარზედ და უთხრა: თქჳენ ბედნიერი ყოფილ ხართ: ჩჳენ მოვედით ძრიელ დროზედ; ხომ ხედავთ იმ ოთხ ფანჯარას? ის არის სამსჯავრო. როდესაც ფანჯრებში ისევ სინათლეა, ეს ნიშნავს, რომ საქმე ჯერ არ გათავებულა: აი, შედით ამ კარებში და იქიდამ მაღალის კიბით ახვალთ ზევით.

ჟანვალჟანი შევიდა კარებში და მალე ავიდა ზალაში, რომელიცა სავსე იყო ხალხით, სხვადასხვა ადგილს იდგნენ მოსარჩლენი (ადვოკატნი) და ჩურჩულობდნენ.

--ნება მომეცით გკითხოთ სად არის მსჯელობა? ჰკითხა მან ერთს მოსარჩლესა.

--გათავდა, მიუგო მოსარჩლემ.

--გათავდაა!

ეს ლექსი განამეორა ჟანვალჟანმა ისრეთის ხმით, რომ მოსარჩლე მიუბრუნდა მას და უთხრა: უკაცრავათ ნუ ვიქნებით ამ კითხვაზედ: იქნება თქჳენ ნათესავი იყოთ რამე იმისი?

--არა; მე აქ ვერავის ვიცნობ, უთხრა მას ვალჟანმა.

მერე ჰკითხა კიდევ მოსარჩლესა.

--მაშ განჩინებაც შეადგინეს?

--უეჭველია შეადგინეს. სხვა რიგათ არ შეიძლებოდა გარდაწყვეტა იმ საქმისა.

--მაღნებში ტუსაღობა ხომ არ გადუწყვიტეს? ჰკითხა კიდევ ვალქანმა.

--სიკუდილამდის, მიუგო მოსარჩლემ.

--ეტყობა რომ მსგავსება დამტკიცებული ყოფილა, უთხრა კიდევ ქანვალქანმა მლივს გასაგონის ხმით.

--რა მსგავსება? არა ვითარის მსგავსების დამტკიცება არ იყო საჭირო. საქმე იყო ცხადი. იმ ქალს მოუკლავს თავისი შვლი; ეს შვლისკვლა იყო ცხადად დამტკიცებული, და ამისთჳს სჯულმა გადუწყვიტა მას სიკუდილამდის მაღნებში დაკარგვა.

--მაშ ქალზედ იყო საქმე?

--მაშ ვისზედ იქნებოდა.

--თუ რომ საქმე დასრულდა, სამთლები რაღათ ანთია სამჯავროში?

--ეს იმისთჳს, რომ ახლა მეორე საქმე დაიწყეს. ორი საათი იქნება, რაც დაიწყო მეორე საქმემ.

--მეორე საქმე ვიღაზედ არის?

--ის საქმეც ცხადია. ის საქმე არის ვიღაც მოწანწალე, კატორჟნიკსა და ქურდზედ. მე არ მახსოვს იმისი სახელი, მაგრამ მარტო იმის ტუჩებისთჳს გავგზავნიდი მე იმას საუკუნოთ მაღნებში.

--შეიძლება შესვლა ზალაში?

--სინჯეთ,--აი ამ კარებში უნდა შეხვიდეთ. ადვოკატი გამორდა, ჟანვალჟანი მოუბრუნდა კარის მცველსა, (შვეიცარსა) მაგრამ იმან უთხრა, რომ ყველა ადგილი დაჭერილია და ამისთჳს არ შეიძლება შეშვებაო.

--არის ორი თუ სამი ადგილი, კიდევ პრეზიდენტის უკან, დაუმატა შვეიცარმა, მაგრამ ის ადგილები არის კაცთათჳს, რომელნიცა არიან სამსახურში.

ჟანვალჟანმა დაჰკიდა თავი, გავიდა ზალიდამ, დაეშვა მირსა კიბით და შევიდა სხვა და სხვა ფიქრებში, მერე უცეფ გაიხსნა ღილები პლაშჩისა, ამოიღო ჯიბიდამ ბუმაჟნიკი და დასწერა ქაღალდის ნახევზედ: «მადლენი, მერი მარსელის ქალაქისა.» მერე ავიდა ისევ საჩქაროთ ზევით, გააპო ხალხი, მივიდა შვეიცართან, მისცა მას ბარათი და უბრძანა მას მიეტანა ის პრეზიდენტისათჳს.

მადელენი იყო განთქმული კაციპრეზიდენტსაც ბევრი კარგი რამ გაეგონა იმაზედ, და ამისთჳს, როდესაც შვეიცარმა მისცა პრეზიდენტს ის ბარათი დაუმატა, ვიღაც დიდკაცსა სურს დასწრება ამ საქმეში. პრეზიდენტმაც მაშინვე დასწერა პატარა ბარათი, მისცა შვეიცარსა და უთხრა: სთხოვე იმ უფალს შემობრძანდეს.

იმ ბარათზედ ეწერა: «პრეზიდენტი სისხლის სამართლისა განუცხადებს თავისს პატივისცემას უ. მადელენსა.»

რამდენისამე წამის შემდგომ ვალჟანი იყო ზალაში: როდესაც შევიდა, შეიხურა კარი და გაჩერდა. იმ მხარეზედ, საიდამაც ის შევიდა, ისხდნენ მსაჯულები, მეორეს მხარეს ხალხი. არავინ არ მიაქცია ვალჟანზედ ყურადღება; ყველას ყურადღება და თვალი იყო მიქცეული ერთს მხარეს—ხის სკამისკენ, რომელიც იყო მიდგმული კარებზედ. იმ სკამზედ, ორს ჟანდარმს შუა, იჯდა ტუსაღი. ჟანვალჟანის ყურადღებაც იმ ადგილმა მიიტაცა. მაშინვე, როდესაც შესედა, მას წარმოუდგა, რომ ის ხედავდა თავის თავსა, მხოლოდ უფრო ხანში შესულსა: სრულიად ის სახე და ის ხასიათი მთელის სახის

მეტყველებისა წარმოუდგა მას, რომელიცა თითონ ჰქონდა, რამდენისამე წლის წინეთ.

—ოჰ ღმერთო! სთქვა შემრწუნებით ჟანვალჟანმა: ნუ თუ მე იმ მდგომიარებაში უნდა შევიდე ისევა?

როდესაც ჟანვალჟანი შევიდა ზალაში, პრეზიდენტმა გადახედა მას, და დაუკრა თავი, ეგრეთვე ღენერალნის ადვოკატმა, რომელსაცა ენახა მადელენი. ვალჟანმა ძლივს შენიშნა იმათი თავის დაკვრა:ის იყურებოდა წინ; მსაჯულები, ჟანდარმები, ხროვა სალხისა,ესყოველივე ენახა მას ოცდაშვიდის წლისწინეთ, და ხედავდა კიდევ ეხლაც, მაგრამ ეს არ იყო არც სიზმარი, არც ოცნება, ეს იყო ნამდვილი, ცხადი საქმე; ის მოიცვა შიშმა, მან დახუჭა თვალები და გულის სიღრმეში სთქვა: «არაოდეს.» მერე ცოტცოტათ მოეგო თავსა, დამშვიდდა და დაუგდო ყური მსჯელობასა.

ბამატაბუა იყო რიცხვთა შორის დაფიცებულთა. ჟოვერკი ვერსად ვერ შენიშნა, ანუ იმისთჳს, რომ სკამი მოწმებთა იყო მისგან მიფარული,ანუ იმისთჳს, რომ ზალა არიყო კარგათ განათლებული.

როდესაც ჟანვალჟანი შევიდა, მოსარჩლემ ტუსაღისამ გაათავა თავისი სათქმელი. ის ლაპარაკობდა

საკმაოთ კარგათ;ის ამართლებდა ტუსაღსა საქმეში, რომელშიაც ძნელი იყო იმისი გამტყუნება. მართალია შანმატიეს უპოვნეს ტოტი ხისა, მაგრამ სად იყო დამტკიცება, რომ ის მოსტეხა თჳთ იმან და არ აიღო მოტეხილი? დამტკიცება ქურდობისა ანუ საბუთი, არსებობდა, მხოლოდ არ იყო არავითარი საფუძველი, რომელსაც შესძლებოდა გამტყუნება შანმატიესი, რომ ქურდი არის ისა, და არა სხვა?

იმ მოსარჩლეს აძლევდა მშვენიერ მეტყველებით, პასუხსა ღენერალნის ადვოკატი.

როდესაც ის ლაპარაკობდა, შანმატიე უგდებდა ყურსა პირღია და განცვიფრებული. იმას არ ენახა კაცი იმ გვარი მშვენიერ მეტყველი.

იმ ლაპარაკის დროს უბრალო მოხუცი ხანდისხან გაიქნევდა ხოლმე თავსა, და ეს იყო იმისი მხრით სამწუხარო და მდუმარე თავის მართლება.

შემდგომ ღენერალნის ადვოკატისა, რომელმაც გაამტყუვნა შანმატიე; რომელმაც იმის დანაშაულობათ შერაცხა თჳთ მისი მდუმარება, და ჰგონებდა ეს იყო იმისის მხრით მცბიერება, რომლითაც მას სურდა მოტყუება მართლ მსაჯულებისა, იწყო ლაპარაკი

ისევ იმისმა მოსარჩლემ, მაგრამ ამ უკანასკნელს შემთხვევაში იმას აღარა ჰქონდა უწინდელი ძალი ლაპარაკისა; საგანი მისის დასაცველის ლაპარაკისა დაიცალა.

ბოლოს მოახლოვდა დრო საქმის დაბოლოებისა.

პრეზიდენტმა უბრძანა შანმატიეს ფეხზედ ადგომა; მერე ჰკითხა მას კიდევ: აბა რას იტყვით თქჳჱნ თავის გასამართლებლათ?

ტუსაღი ატრიალებდა კელში თავის ქუდსა და არ აძლევდა პასუხსა.

პრეზიდენტმა განუმეორა კითხვა: მაშინ ტუსაღი მოეგო უცებ გონებასა, როგორც კაცი გამოღვიძებული ძილიდამ, გადახედა ხალხსა, ჟანდარმებსა, თავის მოსარჩლეს, დაფიცებულთა, და მერე გააჩერა რა თვალი პრეზიდენტზედ დაიწყო ლაპარაკი: მაგრამ ის არა ჰგავდა კაცურს ლაპარაკსა. ის იყო ნაღმი უთავბოლოთა, უაზრო სიტყვებთა.

––ხი რას დავმატებ ჩემს ლაპარაკსა, სთქვა იმან; მე ვაკეთებდი ურმებსა პარიჟში და ვმუშაობდი ბალუპთან. ეს ურმის სამუშაო ძრიელ ძნელი ხელობაა, ამიტომ რომ ვმუშაობდი სულ გარეთ გადახურვილს ქვეშ, იფიქრეთ ზამთარში გარეთ

მუშაობა რა უნდა იყოს. ისე გამიშეშდებოდა ხოლმე ჴელები, რომ უკრავდი ხშირად და დიდხანს ტაშსა, რომ იმით როგორმე გამეტფო ხოლმე ჴელები; მაგრამ ძნელი ეს იყო, რომ ალები ამის ნებასაც არ მაძლევდენ, მეუბნებოდნენ, რომ მაგით ბევრი დრო იკარგებაო. ალება რკინისა, მაშინ, როდესაც ყველაფერი გაყინულია, იფიქრეთ რა ძნელია. ეს ძრიელ აუძლურებს კაცსა. იმ ჴელობის კაცი ძრიელ მალე ბერდება. ორმოცი წელიწადი თუ გასძლო: მერე მშჯდობით! მე ვიყავი ორმოცდა ცამეტის წლისა მაშინა. იმას გარდა მუშები იქ იყვნენ შეუბრალებელნი, როდესაც კაცი დაბერდება იმას უმახიან ბებერს ჩიტსა, ბებერს ცხოველსა. დღეში მე ვშოულობდი ოცდა ათს კაპეიკსა, ამისთჳს, რომ რადგან მე ვიყავ ხნიანი, მაძლევდნენ ყველაზედ ნაკლებს ქირას. გარდა იმისა მე მყავდა ქალი, რომელიც იყო მრეცხელათ. ისიც შოულობდა ცოტაოდენ ფულსა ასე რომ ჩუჱნ გამოვდიოდით დღიურათ როგორც იყო. მაგრამ არც იმისი მხვედრი იყო ჩემზედ უკეთესი. მთელი დღე წჳმაში, თოვლში, რაც უნდა ყინვა ყოფილიყო, იმას უნდა უთოვოთ

ერეცხა სარეცხი; ზოგს ჰქონდა ცოტა საცვალი და ამიტომ აშურებდნენ, ჩქარა ელოდნენ სარეცხსა. თუ რომ დროზედ არ მოუსწრებდა ყველასა, მაშინ ის ადგილსაც დაჰკარგავდა. მობრუნდებოდა ხოლმე შინ ღამით რვა საათზედ და მოწყვეტილი ჯაფით დეეგდებოდა ლოგინზედ და იმავ წამს დეეძინებოდა ხოლმე ხშირათ პურ უჭმელსა, ქმარი ჰყავდა იმას ავი, ხშირათ სცემდა ხოლმე. ბოლოს მომიკვდა ის მჳლი, აი ჩჳჱნ, როგორც ხედავთ არ ვიყავით სრულებით ბედნიერი. ის იყო მალიანი კარგი ქალი, წყნარი, მშჳდი, არ უყვარდა სტუმრად თრევა. ახლა ჰკითხეთ თუ ვსტყუოდე, მაგრამ ადგილი სათქმელია, ჰკითხეთ, სად? პარიჟში. ოხ, რა სულელი ვარ, ეს რა ვსთქვი, პარიჟში ჰკითხეთ მეთქი. აბა ვინ იცნობს იქ ბებერს შანმატიეს. ბალუპთან კი შეგიძლიანთ შეიტყოთ ჩემი ანბავი, თუ ინებებთ. ამის შემდგომ მე სწორეთ არ ვიცი, რაღა გინდათ ჩემგან.

ბოლოს გაჩუმდა მოხუცი. ყოველივე, რაც იმან სთქჳა, წარმოსთქჳა ხმა მაღლა, ჩქარა, ხრინწიანის ხმით, გადარეულის და ველურის სიმარტივით. მხოლოდ ერთხელ შესდგა იმ ლაპარაკში, იმ

დროს ვიღასაც თავი დაუკრა. ყოველივე ლექსი ამოდიოდა იმის გულიდამ, როგორც სლოკინი. როდესაც გაათავა ლაპარაკი, ყველა მოჰყვა სარხარსა. შანშატიემ შეხედა რომ ყველა იცინის, და მოჰყვა თითონაც ველურს ხარხარსა.

პრეზინდენტმა, კაცმა ყურადმღებელმა და ქეთილმა, ჯელ-ახლათ აღიმაღლა ხმა.

უ.უ. დაფიცებულნო! შანშატიემ უჩვენა მოწამეთ უწინდელი მეურმე, ბალუპი; მაგრამ ის, ვითარცა გალარიბებული, ვერსად ვერ იპოვნეს. მერე მიუბრუნდა კიდევ ტუსაღსა და უთხრა: თქვენ კარგათ დაფიქრდით თქვენს საქმეზედ; თქვენ საქმეში იპოვებიან საკმაოდ დიდნი საბუთნი თქვენის გამტყუვნებისათჳს, რომელთაც შეუძლიანთ მოგიყვანონ საქმე სამწუხარო დასასრულამდინ. თქვენის საკუთარის სარგებლობისათჳს უკანასკნელათ გთხოვთ ამიხსნათ კარგათ ორი შემდგომი საბუთი: პირველათ, მართლათ გადახვედით ბაღის ღობეზედ, მოსტეხეთ ტოტი და მოიპარეთ ის ტოტი ნაყოფით, თუ არა? ესე იგი, თქვენ მართლა ჰქენით ქურდობა ღობეზედ გადაპარვით თუ არა? მეორეთ: თქვენა ხართ სწორეთ განთავი-

სუფლებული კატორჟნიკი ჟანვალჟანი თუ არა?

ტუსაღმა გაიქნია თავი, მიუბრუნდა პრეზიდე-ნტსა, შესედა იმასა, მერე, თავის ქუდსა, მერე აისედა ჭერში და გაჩუმდა.

--უ. მანმატიე, უთხრა მას სასტიკათ ღენერალ-ნის ადვოკატმა: ეს რას ნიშნავს, რომ თქვენ არ აძლევთ კითხვაზედ პასუხსა, როგორც რიგია; ეს თქვენი შეძრწუნება, თქვენი არეულობა გამტყუვ-ნებსთ თქვენა. ცხადია, რომ თქვენა ხართ ჟანვა-ლჟანი, რომ თქვენ იწოდებოდით მანმატიეთ რომ თქვენ იყავით ოვერნეში და დაბადებული ხართ ფავერლოში, სადაც თქვენ იყავით ხეების მსხვლელათ. უეჭველია, რომ თქვენ გადასრულ ხართ პიერონის ბაღში და მოგიპარავსთ ვაშლი.

როდესაც ადვოკატმა გაათავა, მანმატიე, უცებ წამოხტა სკამიდგან და ხმა მაღლათ დაიწყო.

--არა, თქვენ ბოროტი კაცი უნდა იყოთ რო-გორც მე ვხედავ, აი ეს უნდა მეთქვა წაღანაც, მაგრამ დამავიწყდა, მე გეუბნებით არაფერი არ მომიპარავს მეთქი. მე ვიყავი ერთხელ უჭმელი, მოვდიოდი ალიდგან, იმ დროს, როდესაც იყო ძლიერი ქარი, რომლისაგანაც მინდვრები გაყვით-

ლდნენ, მაშინ მე ვიპოვნე ტოტი ხისა, რომელ-
საც ესხა ვაშლი და ავიღე; რა ვიცოდი თუ ის
ტოტი მომაყენებდა მე ამდენს მწუხარებასა. აი სა-
მი თვეა მე ვზივარ ამაზედ საპყრობილეში, მათ-
რევენ სხუა და სხუა სასამართლოებში, მე რაღა-
შიაც მამტყუვნებენ, მე მიბმანებენ სთქუ რამეო.
ჟანდარმი მამტვრევს გვერდებსა და მიმახის მიუ-
გეო. არ ვიცი რა გინდათ ჩემგან? მე არ ვიცი
ამაზედ მეტი ლაპარაკი, ერთი საწყალი უსწავლე-
ლი კაცი ვარ. ძნელი ის არის რომ, სხვები ვერ
მიმხუდარან ამ ჩემს მდგომიარებასა. მე გეუბნებით
არა მომიპარავს რა, მე მხოლოდ შევცდი და ავი-
ღე ის, რაც ეგდო მიწაზედ. მე თქუენ მეუბნებით
ვიღაც ჟანვალჟანზედ, ჟანმატიეზედ! მე იმათ ვერ
ვიცნობ. ისინი უთუოთ სოფლის კაცნი უნდა
იყვნენ. მე, როგორც გითხარით ვმუშაობდი ურმე-
ბსა ბალუპთან, მე მიმახიან შანმატიეს? მე თქუენ
მეუბნებით სადა ვარ მე დაბადებული, ეს თქუენ
გცოდნიათ, რადგან თქუენ ყველაფერი იცით. მე
რა ვიცი, სადა ვარ დაბადებული. ყველამ ხომ
არ იცის სად არის და რა ალაგს არის დაბა-
დებული. დედმამა არ მახსოვს, არ ვიცი ვინ იყვ-

ნენ. როდესაც პატარა ვიყავი მე მიმახსდნენ ბაშვსა, ახლა მიმახსიან ბებერსა. აი ჩემი სახელები. თუ გინდათ დამიჯერეთ, რასაც ვანბობ, თუ გინდათ ნუ. ვსთქჳათ, რომ სწორეთ ვიყავი ოვერნაშიაც, ფავეროდშიც, მერე რა უყოთ, რა გამოდის აქედამ? განა არ შეიმლება ვყოფილვიყო იქ და მადნებიკი არ მენახოს თვალით, არც ვყოფილვიყო იქ ტყ-ვეთა. განვიმეორებთ კიდევ და კიდევ, რომ მე არაფერი არ მომიპარავს და მქვიან ბებერი მან-მატიე. ვმუშაობდი ბალუპთან და ვცხოვრებდი ჩემის სახლობით ცალკე. უნდა გითხრათ სწორე, რომ მე თქჳენ მომამაგეთ თავი თქჳენის სულელურის კითხვებით. როგორც ცოფიანნი ისე მახვევიხართ გარშემო და არ ვიცი კი რა დანაშაულობისათჳს.

ბ. დიდებულიძე.

(ზოგი იქნება შემდგომ ნუმერში.)

## თურქმენული ცხენი.

ანბავი.

მართლა დიდი ხანია ერთმანერთს აღარ გამოველაპარაკებივართ, ჩემო თეიმურაზ! შენ კარგი ყმა და მამულის პატრონი, სასოფლო მომჭირნეობაში გართულხარ და წელიწადში ერთხელ ძლივს მომაწჳდენ შენს ამბავსა;—მე, საწყალი აზნაურშვილი ნებსით თუ უნებლიეთ, ხან ერთს საქმეს წავაწყდები სხჳსას და ხან მეორეს. შენ, შენის კეთილ-მდგომარეობით ყოვლადვე დამშჳდებული, სხჳა და სხჳა სამეცნიერო წიგნების კითხვით შენს გონიერებას ამდიდრებ და შენს გრძნობას ასახიერებ;—მე, მართალია მოყჳასთათჳს, მაგრამ მაინც უცხოთათჳს მაშჳრალი, ვეღარც რასა ვჰკითხულობ გონების მომასჳენებელსა, ვეღარც რასა ვჰსწერ გამოსადეგს ან შენთჳს საამოსა. შენ ამ ორს წელიწადში შენი საოჯახო ეკონომიის საქმეები ყოველივე ისე კეთილად წარგიმართავს, რომ გულ დამშჳდებული მოელი შენს მომავალსა;—მე, ტანჯული კაცი

რომ იტყჳს, «წისქჳლი არ დაბრუნებულა ჩემს თავსა, თორემ სხჳა არა დამკლებიარაო», მეც ისე ათასნაირს გაჭირვებაში ვჰტრიალებდი და ახლაც იჭჳნეულებით შევჰ-ყურებ ამრეზილს მოსავალსა. მაგრამ შენ მაინც არ მომშვებიხარ,—ამბავი, ამბავი რამე ღჳთის გულისათჳს ამბავი მომწერე რამეო.

რადგან ვეღარ მომითმინე, რადგან გეტყობა ჩემი მო-ნათხრობი მართლა ისე გწყურებია, რომ «მოამბის» გამოსვლასაც აღარ აცალე, მეც მოვაკელ ჩემს მოუცლე-ლობას რამდენიმე საათი და, აჰა! მომირთმევია ერთი ამბავი. ვიცი არც აციებ, არც აცხელებ და მაშინვე «ცისკარში» უკრავ თავს ამ ამბავსა, აქაო და «ცისკარს» საქმე უჭირს და ეგების კელი გაუმართოთ როგორმე, რომ არ წაიქცეს, არ დაეცეს ეს ჩჳჱნი ძჳჱლი სჳნდისი-ანად ნაღჳაწი ჟურნალიო; მაგრამ რადგან გამოცდილი მყავხარ და რასაც ერთხელ ამოიჟინებ, ვიცი იმას აღარა ეშჳჱლება რა,— მეც ვეღარ გაგინაზდი, შენთჳს დავჰსწერე ეს ამბავი და სრული ნება გაქჳს როგორც გინდა ისე მოიხმარო. თუ დაბეჭდინებ, იქნება წასაკითხავად გამო-დგეს და იქნება ზოგმა საქმითაც გამოიყენოს; ესკი იცო-დე, რომ თუ ამისს ბეჭდვაშიაც იმდენი შეცთომა შეეპა-რა სტამბასა და იმდენი სიტყჳს გადასხჳაფერება გამო-ვიდა, როგორც, მაგალითად, «ღარიბი ყმაწჳლი კაცის» რომანში «გაფთხილების» მაგიერად ზოგან «გაფლიდება» გამოსულა და სხუანი, პირობას გაძლევ, რომ დასაბეჭდად მე შენ აღარა გამოგიგზავნო რა.—ახლა ამბავი.

## 1 ნასრულლა.

სამარყანდი, მოგეხსენება, განკერძოებული სახანო არის თურქისტანში, ან თურქმენთ ქუეყანაში, როგორცა ვთქუათ, იმერეთის ქართველთ ქუეყანაში; და, მართალია, მზე იქ უფრო ჴმგზნებარეობს, არდადეგების პაპანაქება იქ უფრო გაუსაძლისად მიაჩნია კაცსა;—მაგრამ ადგილ-მდებარეობითაცა, ნაყოფიერებითაცა და კაცის გამსჯელობითაც მშუენივრად არის ის ქუეყანა შემკობილი, მეტადრე ქალაქი სამარყანდისა. სათათრო ქუეყნებში მთა-მინდორი რაც უნდა მწირი და განხრეკილი იყოს, სოფლებისას და მეტადრე ქალაქებისას მაინც იტყჳს კაცი, ბაღებში ყოფილან ჩაფლულნიო. ტრიალს მინდორში ნამგზავრისათჳს მეტად სასიამოვნოა აქაიქ დანახვა ამ შეჯგუფებულისა და გაწქლებულის მწუანობისა. მაშურალს თვალს მეტად ანებივრებს ეს მოჭიქებული ზურმუხტის ფერი; საჩალთუსო ჭაობებისგან შეწუხებულს საყნოსველს მეტად ამხნევებს, მეტად ატკბობს სუნნელება სამარყანდის ყუავილებისა და თუ მართლმორწმუნე მაჰმადიანმა,—ხომ მოგეხსენება, რომ მართლმორწმუნოებას ითჳსებენ მაჰმადიანნი,—და თუ მართლმორწმუნე მაჰმადიანმა იქაურს გათქმულს ვარდებში ქალსაც მოჰკრა ვისმე როგორმე თვალი,—სამოთხე თუ არის სადმე, სწორედ აქა ყოფილაო, ასე იტყჳს.

მშუენიერია, სწორედ მშუენიერია ბუნება სამარყანდისა,

გარეგანი შესახედაობა მაინცა! შიგნით შეხედვა ხომ, — ქებების სადერეფნო ანბავიც არის შევიტყოთ რამე, — არას გზით არ შეიძლება უცხო კაცისათჳს: ყორულ-დურ, დესტურ დეგულ!

მაგრამ ამ მშჳენიერს ბუნებას ისეთის მშჳენიერებისა-თჳს არსად უალერსებია, როგორიც მშჳენიერება ნურ-ადა იყო, პირმშო ქალი ერთი იქაური ვაჭრისა.

აღმოსავლეთის მხარეზედ სათათრო ქჳეყნებში, ქალები შეკეტილში სცხოვრებენ, ან უფრო სწორე ვთქჳათ, ტალავრ-ქჳეშ მცენარებენ; თუ არ უმახლობელესი ნათე-სავისათჳს, დიდად გასაჭირია ნახვა იმათი, მაგრამ ნასრ-ულლამ როგორღაც მოჰკრა თვალი ნურ-ადასა და მას აქეთ აღარც სად ნეტარება ჰრწმენია ნასრ-ულლასა, აღარც სად სხჳა სურვილი ჰქონია რამე; ასე გაჰხსინჯე, ქეიფსაც აღარ სად მიჰნებებია ამ ტკბილს სულისა და ხორცის მიღულებასა, ამ საქმითსა და გონებითს უქმო-ბასა, ამ გნებითს ჩჳეულებას, სადაც ყოველს მსოფელიო-ზრუნვას, ჭმუნვას და მწუხარებას დროებით მაინც მი-ვიწყებენ ხოლმე ეს საპატიო მართლ-მორწმუნენი.

ნასრ-ულლა იყო წამოსადეგი ყმაწვილი კაცი, თვალ-ტანადი და გონიერი; გონიერება იქამდინ მიუწჳდებოდა, რომ, ბედს რომ იმისთჳს ხანობა განეწესებინა, არაფერში არ ჩამოუდგებოდა იმ თავისს სეხნია ნასრ-ულლა-ხანსა, მაშინ რომ იქ საკელოვანად ჰხანობდა; მაგრამ ღარიბი იყო ნასრ-ულლა და სიღარიბე დიდ-რადმე საკლულევა-ნებად მიაჩნდათ ნურ-ადას საქმროსათჳს.

ამ მიზეზით სხჳას გააჭრევინეს ქებინი, ერთს შეძლებულს

ვიდასაც აბრეშუმის მოვაჭრე ყიზილბაშს ალდაიარსა მზადებაში იყვნენ და ქალს ისტუმრებდნენ.

იმდენი სიცოცხლე მოგვცეს, რამდენმა ცრემლმა ნურ-ალას გასტუმრების დღეს იმისს სამშობლოში იდინა! ვინ იცის, იქნება სხვაგანაც ჰსტიროდნენ სადმე; მაგრამ ალდაიარი, კანონიერი მეუღლე ნურ-ალასი, თვითონ ბედნიერი და სანეტარო ტვრთით შინისაკენ გასამგზავრებელი, დედაჩემს მალე მივჰგვარო ეს მშვენიერი ვარდიო და ამისი განმასახიერებელი კეთილ-სუნნელებაო ჩემს სახლ-ში ვავშიო საყვარელითა მაჭმადისათაო, — ვის რაღას დასდე-ვდა ალდაიარი; ან რა ენაღვლებოდა, ჰსწუხს სადმე ვინმე თუ არაო!

სასიქადულო არაბულს ტაიჭზედ შემოისვა თავისი საუნჯე, თავისი არვათი ნურ-ალა და ადრბაჯანის გზას დაადგა რეშტისაკენ.

იმას წინეთ, იმავე დღეს გამგზავრდა სამარყანდიდამ ნასრულლაცა და შინ ამბავი დაუგდო, ხივას მივალო. ამათი მგზავრობა სწორეთ ისე გამოდიოდა, როგორც გჰთქვათ, ქალაქიდამ ერთი ერევანს მიდიოდეს და მეორე ქუთაისსა.

ალდაიარს ახლდნენ ერთი მეჯინიბე და ერთი ნოქარი. ერთი დღის გზაღა რომ დაჰრჩათ, საფიქრებელი აღარა ეგულებოდარა და ეს გაცები წინ გაისტუმრა, თვითონაც კი არც ისეთი იყო ალდაიარი, რომ ადვილი შესაბედავი ყოფილიყო ვისთვისმე, ძალიანაც რომ მოენდომებინა ვისმე შოვნა ან იმისი ფულისა, ან იმისი ცოლისა. მართალია, ეს ახალი შეძინებული საკუთრება იმისი ისეთი

რამ იყო, რომ ბევრს აფიქრებინებდა წინდაუხედავს გამბედაობასა; მაგრამ ალლაიარმაც კარგად იცოდა, რომ მეტად სატროფო რამ ჰყავდა ცოლი და სადაც საფიქრებელი ადგილი ეგულებოდა რამე, ან სადაც თხრილი და რუ დაჰხჳდებოდა ხოლმე, ისეთი სიფთხილით მიჰყავდა და ისეთი მზრუნველობითა, რომ მგზავრობაში ამის უკეთესი გამოცდილება კაცს არა ჰქონია, ასე იტყოდით. აქ რუ გახსენეთ,—სპარსეთში და ყოველს აღმოსავლეთის მხრის ქუეყნებში, მრავალია რუ. მზე ისე ჰმგზნებარებს და ისე ჰსწუავს იქაურს ნიადაგსა, რომ კაცს თუ სარწყავი წყალი არა აქუს, ჯაფა სულ ამაოდ ჩაუვლის და ჭირნახულს სულ ვეღარას მოიყვანს; წყალია იმ ქუეყნის მაცოცხლებელი და გამანაყოფიერებელი. სარწყავი რუ, რა საკჳრველია, ისეთი განიერი არ იქნება, როგორც ევროპიული რუები არის, ნავების სავლელად და გზის შესამოკლებლად გაყვანილი; მაგრამ აქაცკი გასაჭირი არის ხოლმე ხანდახან რუებს გასვლა. ხიდები და ბოგირები ზოგან სულ არ არის; გადახტომა აუცილებელია ხოლმე და ეს გადახტომა ზოგჯერ არაბულს ცხენსაც გაუჭირდება.

ერთს ამისთანა რუს მიადგა ალლაიარმა; ბოგირი რომ აშლილი დაჰხჳდა, განს თვალი გადაავლო, ახლაკი დრო არისო ჰსთქუა და გადააჲარა ცხენს ალჳრი. ალჳრის გადაყრა და იმწამსვე ფრინველივით გადაფრინა ამ ცხენი-საგან თხრილზე თუ რუზე ერთი იქნებოდა ხოლმე; მაგრამ აქ როგორღაც ცოდვა ეკითხა და ნაპირს რომ წაადგა, თითქო იქავე დაჰლურსმესო; ცოტას გაწყდა, ცოლ-ქმარიც კინაღამ რუში გადაცჳვდნენ. ცხენოსნობაში რომ ალლაიარი

ცოტა ნაკლებად ყოფილიყო გაკარჯიშებული,—შენი მტერი ნუ შემაგრებულა, როგორც ის კედარ შემაგრდებოდა. შერჩნენ ცხენზედ და ცხენიცკი შერჩა გამოღმა ნაპირზედ გაჩერებული, მუხლებ ათრთოლებული. გაიხედეს გაღმა და ვიღაც ცხენოსანი დაინახეს იქიდამ მომავალი, თურქმენულს ცხენზედ მჯდომი.—ვნახოთ ერთი ეს რაღასა იქსო, ჰსთქჳა ალდაიარმა თავისს გუნებაში. მოატანა იმანაც იქითა ნაპირსა და სულაც არ შეფერხებულა, რომ რუს ქარივით გადმოევლო.—სალამ ალეიქუმ!

ალდაიარ გაშტერებული, თავბრუდასხმული შეჰყურებდა ამ თურქმენულს ცხენსა და, თჳთან კარგი ცხენოსანი, განცჳფრებული იყო იმის სიმარდისაგან.

—ალეიქუმ სალამ!—უპასუხა თურქმენელსა;—ვალლაჰი, ბილლაჰი, ჩემს სიცოცხლეში არსად მენახოს ამისთანა ცხენი! სალამი შენდა, კაცო პატიოსანო!

—სალამ ალეიქუმ,—უთხრა კიდევ თურქმენელმა; გეტყობა, ამ გადმოხტომით გაგაკჳრვა ჩემმა გრიგალმა, მაგრამ ეს რა არი? ალლასა ვჰფიცავ უფსკრულმაც ვერ შეაფერხოს, გინდ ოთხი ამ რუს სიგანე ჰქონდეს.

—ჩემო სულის უფალო! მე რომ ვჰზივარ, ეს არაბი პირუმლი ჯინშისაა. ამას მოგცემ და ათასს ბაჯაღლუს კიდევა, ოღონდ მე დამითმე ეგ შენი თურქმენი, შენი მამა-პაპისა და ყოველი შენი წინაპარის სულის საოხათა, სანი ჯანი იჩუნ, სანი ალლაჰ იჩუნ!

—ამ ჩემ გრიგალს აგრე ადჳლად როგორ გავჰსცემ, ბაშნდადონიმ! შჳლივით გამომიზდია,დუნიას მირჩევნია. მაგრამ გეტყობა კაი კაცი ხარ და შენი ნება იყოს,

დავიომობ, თუ ფასი მეტად არ დაგიმძიმდა, რასაცა გთხოვ.

ალლაიარის ცოლი ამ სიტყვაზედ თითქო როგორღაც შეთრთოლდაო; მაგრამ ქმარს იმისი აღარა ჰსცხედოდა, თურქმენული ცხენისაგან ისე იყო აღტაცებული, რომ აღარა გაეგებოდარა.

—მითხარ რა გნებავს და, ინშალლაჰ! იქნება შევიძლო!

—ვერა, ვერ შეიძლებ! შე შენი ჟიყო, ვერც მე შევიძ-ლებდი. ამ ცხენს, უნდა გითხრა, სხჳა ცხენი ჯერ წინ არსად უნახავს; დაბრკოლება გზაზედ ჯერ არსად რა შეჰხჳდრია; დაღალვა რა არის არ იცის, გინდ ქუშიანი არაბეთის მინდჳრები მოარბენინო. მაგრამ ფასი შენ მა-ინც ძვირად გეჩჳენება და მეცა სხჳა ფასად ვერ გავჰსცემ, თუნდა ნახევარ სპარსეთიც შემომაძლიონ, ისპაჰანი და შირაზიც რომ ზედ დაადვან.

—მახლასი! რა უნდა იყოს, რას ითხოვ, რაგინდა?

—მე ვითხოვ.... მე მინდა...ერთი,ერთად ერთი კოცნა მაგ ქალისა!

სისხლი თავში ეტაკა ალლაიარს; მარჯჳენე ჴელი ხანჯალს იტაცა და თურქმენელი ამ ფოლადს სწორეთ ვეღარ გადურჩებოდა, თუ რომ ერთს ჩაფიქრებას უეცრად არ შეეყენებინა ალლაიარი.

«გასაბრაზებელი ვითამ რა არის აქაო, იფიქრა. ჩჳენს მეტი სხჳა ხომ არა ვინ არის აქა! ეს ჩჳენ ვერ გვიც-ნობს, ჩჳენ ამას ვერ ვიცნობთ; ვინ რას გაიგებს!.. ჩემი ცოლი?.... მაგრამ ცოლი რა?... რა უნდა გაბედოს?... ერთი იმისი კოცნა და ეს საოცარი ცხენი, ეს საზღაპრო

რაში!... ერთი კოცნა!... ვითამ რა უნდა იყოს ერთი კოცნა!... რა უნდა გამოვიდეს ცალიერი კოცნიდამ?... ვისი. უნდა მრცხჳენოდეს!... ერთი ამ კაცისა, და ეს კაცი ხომ, ინშალლაჰ! მე ამას იქით აღარსად შემხჳდება... ეჰ! აგოცოს და მერე ჯაჰნაბამდინაც უვლია!»

—აგრე იყოს, აგოცე და გადმოჰხტი მაგ გრიგალიდამ!!

—უბძანე პირბადე გადიხადოს, თორემ შალის კოცნაზე ხომ არ გაგრიგებივარ.

ცოლს უბძანა ალლაიარმა პირბადე გადიხადეო და ისევ შეაქცია ზურგი, თვალით მაინც არ დავინახო ჩემი სირცხჳლიო!

თურქმენელი დაუახლოვდა; გადაჰსწჳდა ქალსა; აჲ, ჰკოცნის მგონია.

ალლაიარმა რომ იფიქრა ახლაკი მივიხედოო, ამ დროს ცხენები შეჰხტნენ, შეჭიხჳნდნენ და მანამდისინ ქმარი გაიგებდა რა მოჰხდაო. ცოლი თურქმენელმა გადიტაცა და თავისი გრიგალით თხრილს იქითვე გადაევლო. ამ საქმეს თვალის დახამხამებაც აღარ მოჰნდომია.

ალლაიარ დარჩა აქეთ ნაპირზედ მარტო, უაზრო, უგონო; პატარა ხანს ისა და იმისი არაბი სულდგმულებს აღარა ჰგავდნენ; —გადისვა მერე თვალებზედ ჴელი და იგრძნო თავისი მწულულაკი მდგომარეობა. რომ შეჰსძლებიყო, აჰკუწავდა თურქმენელსა; რომ შეჰსძლებიყო დაჰფშვნეტდა, დაჰფლეტდა და გაანიავებდა ნურ-აღას, რატომ თუ არ ეწინააღმდეგა თავისს მომტაცებელსაო; რომ შეჰსძლებიყო მთელს ქჳეყანას დაამსხჳრევდა, რატომ თუ ეს ზენაარსისაგან წყეული და სასოწარსავჳე-

თად გრულვილი არის აქ ჩჳენშუაო.

წყალწაღებული ჩალას ეკიდებოდაო, ალლაიარიც ისევ თავისს არაბს ატანდა ძალასა; მაგრამ, რა შენი საკად-რისია, ყურიც ველარ გაანძრევინა. გადმოხდა, გამწარებუ-ლი და ამას წინეთ რომ თურქმენელი გადურჩა, ის ხან-ჯალი ორჯელ-სამჯერ შიგ მკერდში ჩაუფლა ამ ბედკრულს ოთხფეხსა, თითქო განზრახჳთ დაეშავებინა რამეო.

დარჩა ალლაიარ ნაპირზედ მარტოდ-მარტო, უცოლო, უცხენო, მოუგესლავი, მომწამლავი იყო ახლა ეს წამი ალლაიარისათჳს.

გაღმა ნასრ-ულლა და იმასთან იმისი სანეტარებელი ნ-ურ-ალა, ამ ერთს წამს წინეთ ცოლი ალლაიარისა, ზნეობითად დათრგუნვილისა და ყოვლად გაუქმებულისა, იქავე იდგნენ, იმ საჯოჯოხეთო თხრილის ნაპირზედ და იქიდამ შემოჰყურებდა ნასრულლა მკჳდარივით დადუმე-ბულს, სისხლ-გამშრალს ალლაიარსა.

— რაო ალლაიარ!... ცუდ გუნებაზედა ხარ, განა? ვერც მე ვიყავ უკეთესს გუნებაზედ, ყარდაშ! სამარყან-დიდამ რომ ეს შენ მოგყავდა. თქჳენსავე საადის უთქჳ-ამს, რაც მაშინ მე მემართებოდა:

«კაცი რომ ჰკჳდება, ვერა ჰგრძნობს,
«ხორციდგან სულის განსვლასა;
«უგონოდ მყოფი ყოვლად ჰსთმობს
სიცოცხლეს თჳსსა მაშჳრალსა.
მეკი თჳთ ვჰხედავ ჩემს სულსა,
«მიამგზავრებენ, მტაცებენ,
«და მე ცოცხალსა, ბედ-კრულსა

«აღარც მკუ̂ლენ. არც მიწყალებენ.»

შენ თჳთან იფიქრე, ყარდაშ, როგორ შეიძლება რომ უსულოდ იცოცხლოს კაცმა? ჩემი სული აქამდინ შენს ჴელში იყო და ახლა ჩემთანვე არის. შენთან საქმე აღარა მაქუ̂ს რა.—ინშალლაჰ! იმედი მაქუ̂ს მე ეს სხუ̂ას არა ვის დავაჴოცნინო.

—იყავნ ნება უფლისაო, მიუგო ალლაიარმა სიმწარით, ყოველს სიმწარეზედ უარესითა, რადგან ცხადათა ჰხედავ-და, რომ აღარა ეშუ̂ელებოდა რა.—იყოს, შენი იყოს!.. მაგრამ ერთი ვედრება, ერთი ვედრება გამაბედვინე... ეგ ცხენი როგორ გამოგიზდია მითხარი და... იქნება ცოლი დაგილოცო კიდეცა.

—ოჰ! ეგ დალოცვა ისეთი რამ ახირებული დალოცვა იქნება. რომ სწორეთ უნდა აგისრულო სურვილი. მაშ ყური დამიგდე:

«როგორც კაცი, ისე ცხენის მრავალი ქუ̂ეყანაზედ, რომ პირველის შეხედულობით თითქო მარდიც იყოს და ფიცხელიცა; სიცოცხლე და ღონე ამაში ყოფილაო რომ ითქმოდეს; და რა რომ საქმით გამოჰსცდი, უღონოც გამოდის და არც ხანგრძლივი ჯაფის ატანა შეუძლია. მაგრამ შეიძლება ვარჯიშით ჯაფას შეაჩჳო, სიმარდე ასწავლო; სიფიცხეც შეიძლება დაუწყნარო, კჳცი რომ ორი კჳრისა იყოს დედას მოვაცილე და ერთ კჳრას ზროხის ძუძუ აწოვნინე. ამითი მგზნებარე სისხლი დაუწყნარდა.—როდესაც დაიბადა, ესეცა და ამისი დედაც ბალახზედ გავიყვანე; ერთი პატარა ადგილი შემოვჰფარ-

გლე და ჩალა გადავჴურე, რომ წჳმაში შესაფარებელი ჭქონიყოთ; სიგრილისათჳსცა არ მომირიდებია; ამ მოფარგლულ ადგილს პატარა თხრილი შემოვავლე; ჭაგს ხან შიგნით დავაბამდი, ხან გარეთა; ვჳცი, რა საკჳრველია, გაჴტოდა და გამოჴტოდა და დედასთან მისასვლელად ამ ვიწრო თხრილზედ ადვილად გადაჴტებოდა ხოლმე; — ამ თხრილის განს თითქმის ყოველდღე ცოტ-ცოტას ვუმატებდი; წლის თავზედ ისევ ისე ადვილად გადასჴტებოდა ხოლმე ვჳცი, როგორც პირველ ვჳრეში, თუმცა დედისათჳსცი გასაჭირი შეიქნა ამ რიგად თხრილს სიგანე ემატებოდა და ემატებოდა ხუთ წლამდინ; ბოლოს ისეთი განი მიეცა, რომ, სულ რო ცოტა ვსთქჳა, ერთი ოთხად მაინც მეტი იქნებოდა ამ რუზედა, შენი მაღალ-ყინშიანი არაბი რომ აგრეთი მოწიწებით შეუშინდა. — მაგრამ თხრილზედ გადახტომა ჯერ მაგდენი არა არის რა. საქმე ცხენი ის არის, რომ მაღლობზედაც შეჴტებოდეს და დაბლობსაც დაეშჳებოდეს, ესეც გაუადვილდეს მეთქი, თხრილს შიგნიდამ ხარიხეები შემოუვლე და ცოტცოტად იმდენს სიმაღლეზედ ავსწიე, რომ სამ ადლამდინ ავიყვანე. რამდენიც თხრილის განს ემატებოდა, თითქმის იმდენი ბაგის სიმაღლესა და ეს გრიგალი ბაგსაცა და ბაგს გარეთ თხრილსაც დაუფიქრებლად გადაევლებოდა ხოლმე, ხუთ წელიწადს იყო ამ ვარჯიშში ჩემი გრიგალი. ახლა იმის ჯანისა და სიმარდისა უნდა გითხრა კიდევა.

«იმთავითვე პატარა ჩული გადავჴხურე, ჯერ ძალიან მსუბუქი და თხელი ნაბადი, — მერე უფრო და უფრო სქელი

და მაგრად მოთელილი, მანამდისინ მეოთხე თუ მეხუთე გამოცჳლაზედ კარგა მძიმე ქეჩის ნაბადი არ გადავაფარე. ამ ჩემს ხანდახან ვასჳჱლებდი, რომ სიმძიმე მოჰმატებიყო; მერე უფრო დასამძიმებლად ქჳშას ვაყრიდი და ბოლოს ქჳჱბსაც შევუწყობდი ხოლმე, ასე რომ, მეხუთე წელიწადში რომ ჩადგა ორი კაცის სიმძიმე ტჳრთი ჰქონდა ყოველთჳს ზურგზედა, მაგრამ მაინც ისე მსუბუქად იყო და ისე ადჳლად დაჰხტოდა და დაჰქენებდა, თითქო ზედ არა ჰქონიყო რა. ასე გამოიწჳრთნა ეს ჩემი გრიგალი, ულალავი და უშიშარი.»

—ბარექ-ალლაჰ! ახლა დაგილოცოს ეგ ჩემი ნაცოლარი. თუ ვიცოცხლეთ, ალბათდა, მაგიერსაც გადაგიხდით, უთხრა ალლაიარმა. დაუკრეს ერთმანერთს თავი და გაჰშორდნენ.

ნასრულლამ გასწია სამარყანდისაკენ თავისი ახალი ნაშოვნი ცოლითა; ალლაიარ, მარტო, დაადგა რეშტის გზასა; მაგრამ ბეჯითადკი ვერ ვიტყჳთ, შინ მივიდა—თუ არა.

ეს მოჰხდა ჩუკ-სა ზოგი სპარსეთში და ზოგი თურქმისტანში. ახლა ამ მოთხრობაში მეორე კარია შესაღები. მანამდისინ ამ კარს შევაღებდეთ, როგორ მოითმინოს კაცმა, რომ პატარა ხანს არ შეფიქრდეს. ასაღებდასაღები, გამოსარკჳჱვი და კაცობრივის მსჯელობით შესაწონი საგანი ყოველს საქმეში ურიცხჳ არის ხოლმე და ამ მოთხრობაშიაც არის, რა საკჳრველია. ამბავი რაც უნდა შემოკლებული იყოს, კაცი თუ ყოველსავე გამოსაკიდებელს გამოეკიდა, შეიძლება ყარამანიანის ოდენი წიგნი დაიწეროს. მაგრამ მე რომ შენი ხასიათი ვიცი, აქ შენს ყურადღებას მარტო ორს საგანზედ მოვითხოვ:

უფლება და სამართალი არის რამე იმ ქჳეყანაში თუ არა? რომ ალლაიარის მდგომარეობაში მყოფმა კაცმა მთავრობას მიჰმართოს და იმისგან ითხოვოს სამართა-ლი ამ გჳარის მტაცებლობისა?—ეს ერთი.

ნურ-ალასაგან რომ აქ კრინტი არა ამოღებულარა, სხჳა ქალებიც ამ მდგომარეობაში არიან იქა, თუ მარ-ტო იმას დაემართა, რაც დაემართა?—ეს მეორე.

დიაღ მართალია, რომ ამ ორი საგნის გამოძიება მაგდენად არაფრად არის საჭირო არც შენთჳს, ჩემო უმჯროვასულო თეიმურაზ, და არცა ჩემთჳს; მაგრამ ცოდ-ნა ვის მოჰკიჭარბებია და აქ რომ ცოტაოდენი ვილა-პარაკოთ რამე, ზარალი მაინც ვის რა მოუვა.

ზართვა და მსჯელობა უეჭველია ყოველს ქჳეყანაში არის, მაგრამ იმდენ-ნაირი, რამდენ-ნაირიც ხალხი და საზოგადოებაა ქჳეყანაზედ. სხჳა და სხჳა ტომისა და სხჳა და სხჳა ჰსჯულისა.

ალლაიარს სპარსეთში მოსტაცეს ცოლი და თურქის-ტანში გაიყვანეს. სპარსეთში და თურქისტანში, მოგეხ-სენებათ, თემის მმართველნიც არიან, მაზრისაცა და სოფლისაცა; იმათი დაწყობილებაც ისე არის შეთანხმე-ბული იქაურს ადგილ-მდებარეობასთან, ქჳეყნის ჩჳეუ-ლებასთან და საზოგადო მსჯელობასთანა, როგორც ყოველგან სხჳაგანა. იმათი ჴელმწიფობითი წესდებულე-ბა და იმათი სამართლის კანონები ქართულს ენაზედ რომ გადმოთარგმნილი წინ მიდევს და გულისყურით წავიკითხე, ასე იტყჳ, რას ემართლებიან იმ ქჳეყნებსა, ყოველივე დაწყობილება დიაღ კარგი ჰქონიათო. მაგრამ

საქმით კანონი უღონოა და ბოროტ-მოქმედება იქაურის მმართებლობის მოსამსახურეებისა იქამდის არის გავრცელებული, რომ თჳთ მნებელობა უძევს საფუძვლად ყოველს მმართველსა და მსაჯულსა. ქუეყნის სიკეთისა და მშჳდობიანობისათჳს რომ იქ გულით ჰზრუნავდეს ვინმე, თჳთანვე იტყჳს: «ერთი კაცმა მკითხოს, მე რაღაზედ ვიცივებ თავსაო.»—ასე იტყჳს კაცი, თუ რომ სჳნიდისი, ეს ზეციერისაგან მიჩენილი მოსამართლე, არ დაჰსდუმებია და გული არ გაჰქუავებია. მანამდისინ საზოგადო თჳსება არ მოგვაგონდება ადამიანის ხასიათისა, ასე უნდა ვიტყოდეთ: ქუეყანაზედ არა იქნება არც სახიერება და სათნოება ისეთი, არცა სიჩიღუე და სიმყრალე ზნეობითი, რომ კაცს იმისი შეჩუევა გაუჭირდებოდეს. საოცარი ქმნილება არის კაცი: მფლობელი არის აუარებელის ნიჭისა და, თუ მოიწადინა, შეუძლია ძლიერება უძლეველი და სიწმინდე ანგელოზის შესადარებელი შეიმოსოს; თუ არა და შეუძლია დამდაბლდესცა სულითა თუ ხორცით უმდაბლეს ყოვლად საზიზღარის ქუეწარმავალისა.

თურქისტანშიაც ისეა ხალხი შეჩუეული მმართველების უსჳნიდისოებასა და ბოროტ-მოქმედებასა, რომ, ზემოთ რო ვჰთქჳთ—«მე რაღაზე ვიცივებ თავსაო,»— ამასკი აღარავინ იტყჳს, სხუა რასმე ღონისძიებას მოიზმარს თავისის წადილის შესასრულებელსა, ისეთს ღონისძიებასა, რომ საზოგადო ზნეობის გარყუნილებას შეეფერებოდეს.

აღსაიარს რომ თურქისტნის მთავრობისათჳს მიე-

მართა, მოურავებისა, დივანბეგებისა, ბეგლარ-ბეგებისა, მსაჯულებისა და მსაჯულთ უხუცესების კარებების ცჳე-თას მოუნდებოდა თჳთანაცა და ყოველი იმისი საცხოვ-რებელიცა; ამიტომ რომ,—აღორძინდით და განმრავლ-დითო,—ამის მაგიერად სხჳა სიტყჳა არის ჩჳეულებით ჴსჯულად დადებული იქაურს მოკელეებში: «ისარგებლეთ და იცხოვრეთ, გვასარგებლეთ და გვაცხოვრეთო»—ალლაიარმა კარგათ იცოდა ეს ჩჳეულება ჴსჯულთუმ-ტკიცესი და მიანება ჯრომდის თავი გულის დამჩაგვრელს თავისს საქმესა.

ახლა, ნურ-ალამ რატომ ხმა აღარ ამოიღო ნასრ-ულ-ლა რომ იტაცებდაო.

ნურ-ალა, ნუ დავივიწყებთ ამასა, ქალი იყო და სა-დაცვი კაცის ბუნებაზედ ყარამანიანის ოდენი წიგნი და-იწერება, იქ ქალის თჳსებასა და ქალის მნიშჳნელობას არც ერთი წიგნი ეყოფა ასაწერად და განსამარტებლად.

რაც ამაზედ სხჳა და სხჳა საქჳეყნო ჩჳეულებაში სხჳა და სხჳა აზრი არსებობს, რამდენსამე უმთავრესს აქ მოგახსენებ და იმედი მაქჳს, რასაც აქ სხარტულად გამოგიხატავ, ისიც საკმაო იყოს ფილოსოფიურის მს-ჯელობის შესაფიქრებელად.

სადაც წარმართება და კერპთ-თაყჳანის-ცემა არსებო-ბს, იქ ქალისას იტყჳან, იმისთჳს არის გაჩენილიო, რომ გულის-თქმა მამრისა, ან ასე ვთქჳათ, ბუნებითი მიზიდულება სქესებრი მოიოხებოდეს და შესრულდებოდე-სო. სხჳა არცარა მნიშჳნელობა აქჳს იმათში ქალსა და არც-არა ღირსება კაცობრივი. ზოგან ისეა ქალი ჴსჯულით

დამდაბლებული, რომ დაქჳრივებული ცოლი სახმილში თან უნდა ჩაჰყვეს ცოცხალი მიცჳალებულს ქმარსა და იმასთან ერთად უნდა დანაცრდეს.

მაჰმადიანები ცოტა უფრო მაღალს ხარისხზედ აყენებენ ქალის მნიშვნელობასა. მართალია, ქალს იმათში არც საზოგადო საუბარში გარევა შეუძლიათ, სამსჯელო თუ სამეცნიერო ბაასში, და არცარა ქჳეყნის გამოსადეგი მოქმედება რამე, რადგან ჭკუა მოკლე აქჳსო, ასე ამბობენ და ჰსჯერათ კიდეცა რასაც ამბობენ; მაგრამ შინაობაში სახლის მართჳა და ბატონის ქმრის სიამოვნება ქალსა აქჳს მითჳსებული. კანონი აღიარებს ქალსა საშინაო მომსახურედ და მემცხედრედ ქმრისათჳს, ან ასე ვჰსთქჳათ ცოლად (თანაწოლად, თანმწოლად) და კაცს ნება აქჳს სამი ერთად იყოლიოს ამ გჳარი ცოლი კანონიერად და რამდენისაც რჩენა შეეძლოს, იმდენი უკანონოდ. არც კანონიერთაგანსა და არც უკანონოთაგანს ქმართან ხმა სულ არა აქჳს არც შინ და არც გარეთ; ბრძანება ქმრისა უცჳალებელი არის.

ქრისტიანენი, სწორეთ ღჳთიურის ჰსჯულის აღმსარებლები, ვამბობთ, რომ სული ქალისა თანაჰსწორ არიანო ღჳთისა წინაშე, ქალი არის მეუღლე, შეტოლებული მეგობარი კაცისა, იმდენად პატივცემული, რომ ზოგიერთს საქჳეყნოს ჩჳეულებაში უწინ ისინი იხსენებიან; დედ-მამა, ცოლ-ქმარი, ცოლ-შჳლი, ქალ-ვაჟი. ვაღიარებთ, რომ ქალის ნიჭიერება ხან და ხან გადააჭარბებს კიდეცა კაცის ნიჭიერებასა, და ქალი არის ის ქჳა ოთხკუთხედი, რაზედაც ეფუძნება ამ წუთის სოფელში

სიამოვნება და ბედნიერება კაცისა და მეგობრობითად წარიმართება ჴელი სათნოდ ცხოვრებისათჳს.

ქალებზედ ეს არის უმთავრესი მოძღურება ჩუჱნი სარწმუნოებისა და სარწმუნოებაზედ დამყარებულის ჩუჱულებისა და სხუას არას ჰსჯულში არ არის ქალის მნიშუნელობა ამ სიმაღლემდის აყვანილი.

მაგრამ ჩუჱნს ქრისტიანობაშიაც რამდენ-ნაირად არის შეწროებული თუ გავჰრცელებული კაცობრივი სამართალი ქალისა, ამას ვინ მოჰსთვლის.

ზოგან პატივი შესაბამი ჰსძევს ქალსა; მაგრამ წრე იმის მოქმედებისათჳს არის სახლი, გათხოვებამდინ სამშობლო, და გათხოვების შემდეგ საქმრო.

ზოგან გათხოვებამდინ სრულიად არაფერი ნება არა აქუსრა ქალსა და რა რომ ქმარს შეირთავს, მაშინვი თავისუფალია და წევრი საზოგადოებისა.

ზოგან გათხოვებამდინა აქუს სრული თავისუფლება ქალსა; როგორც ჩუჱნში საცოლო ყმაწვილი კაცები, ისე იქ გასათხოვარი ქალები თავისუფლებით ჰმსვლელობენ და პატივი ჰსძევთ ისეთი, რომ, მაგალითად, მრთელი ამერიკა რომ მარტო შემოიაროს ერთმა ქალმა, ყოველი კაცი მოსამსახურეა იმისი და ჴელის გამმართავი და დიად ძჳრათ მოჰხდება შეგინება იმის პატიოსნებისა ან დარღუჱვა იმის კეთილ ზნეობისა, თუ არ შეამცნიეს გავარდნილთაგანი არისო; და რა რომ ეს ქალი, თავის ნებით და აღრჩევით, ქმარს შეირთავს, იმ დღეიდამ მოკიდებული თითქმის სულ ჴელ აღებულია ქუჱყნიერებაზედაცა და საზოგადოებაზედაც. ყოველი ზრუნვა და

ყურადღება მანაურს საქმეებზედა აქჳს მაშინ მიქცეუ-ლი და მჴლების აღზდაზედ. ევროპიულმა განათლებამ მხოლოდ ამერიკაში დააყენა ქალი ამ საპატიო ხარისხზედ.

ახლა მგონია ადჳლათ დავიჯეროთ, რომ ნურადა ვერცა რას იტყოდა და ვერცა რას გაჰბედავდა, სადაც ერთის მხრით ქმარი ეზულებოდა სრულის უფლების მე-ქონი და მეორის მხრით მეტოქე ქმრისა, კაცი რომ-ლისაგან, ვინ იცის, იქნება უფრო მეტს გამოელოდა ალერსსა და ფუფუნებასა.

კარგად დაემართა თუ ავად, ამას ახლა შევიტყობთ.

## Ⴁ ნაზიმათ.

საპოლიტიკო ქჳეყნის დაწყობილება კაცის საქმე არის და კაცის საქმე სრული ჯერ არსად რა გამოჩენილა. ბუნება ქჳეყნისა და ფიზიკური მოწყობილება არის შე-მოქმედის საქმე, ყოვლად და ყოვლითურთ სრული, იქა-მდის სრული, რომ ქჳეყნის დაარსებითგან კაცობრივს გონიერებას ჯერ ვერსად განუცდია და ამ მიზეზით ზოგიერთი ქჳეყნის თჳსება ზოგს მეტად მოგვწონს და ზოგიერთს ზოგნი დიდად ვიწუნებთ.

ავად შენი მტერი ავი რამ სამყოფი ზაფხულში სამარ-ყანდი იყოს.

და ნუ მოგიშალოს ღმერთმა ისეთი საცხოვრებელი, როგორც გაზაფხულზედ ის არის ნუ მომაგონებინებ, ნუ შემიყვან იქაური გაზაფხულის დაწჳრილებითს აღწერაში, თუ არ გინდა, რომ გული დაღონდეს იქ არ-მყოფობითა; იქაური მარტი, აპრილი და მაისის, აქაური მარტი, აპრილი და მაისის შედარებითა!—ცა მოცინარი; ქჳე-ყანა მოლხინარი; მზე ცხოველ-მყოფელი; მდელო, მცენა-რი, ყოველი არსი და სულდგმული, ახლახლად შემომსა-ვალნი ბუნების დღეობის ლხინში, სადაც მხიარულებით მაშჳრალნი ჯგუფად და ჯგუფად, წყვილად და წყვილად, ზოგნი აქ განისვენებენ, ზოგნი იქ მუსაიფობენ და ისევ ირევიან საერთო ფუფუნებაში, სიამოვნებაში და დაუცხრომელს სამუკლიმო მოძრაობაში.. როგორ გა-მოჰსთქჳას კაცმა თჳსება იქაურის გაზაფხულისა!! ... ხმოვანი ჰხმობს, მგალობელი ჰგალობს, ჰმეტყჳელი ჰმეტყჳელებს, მღაღადებელი ჰღაღადებს,—მდელონი ჰბიბინებენ, მდინარენი მჩქეფარებენ, ცხოველნი ჰმქშენა-რებენ, ჰსისინებენ, ჰსწიწინებენ, ჰსჭრიჭინებენ, ჰყიყი-ნებენ, ჰყაყანებენ, ჰფრიალებენ, ჰშრიალებენ, ღრუტუნე-ბენ, ჰბუტბუტებენ, ჰგრგჳნვარებენ და ასე შეათანხმებს ყოველი ქმნილი და გაჩენილი ერთს საორატორიო ხმოვანებას ღჳთის სადიდებელსა და ჯჳრეთ საოცნებელ-სა მოცარტისათჳსაც, ჰეიდენისათჳსაც და სხჳათა ყოველ-თა საკჳრჳელ-ნიჭიერთა მოსაკრავეთათჳსაც!!!...

ასე გამინჯე. ერთმა იქაური გაზაფხულის მოგონე-ბამ ისე წამიტაცა, რომ თითქმის სამწიგნობრო კილო-თი ამალაპარაკა შენთანა.

«ნეტარ არს კაცი, რომელი არა მივიდა ზრახვასა უსჯულოთასა.»

ურჯულოს ვეძახით თათრებსა, თუმცა იქნება ჩჳენ-ზედაც უფრო მტკიცედ ადგნენ თავისს ჰსჯულსა და იქნება ზნეობითაც ბევრი იმათგანი ბევრს ჩჳენგანსა ჰსჯობდეს. მაშ იმ აზრით მივიღოთ ეს მეფსალმუნე წინასწარმეტყველის ლექსი, რა აზრითაც უთქჳამს, იმ-უსჯულოებზედ, რომელთაც კეთილი: ჭეშმარიტი და აღსაარებელი არა ჰსწამთ-რა,—და თუსდა ნუ მივალთ, ისე გაუაროთ, შევხედოთ და ყური დაუგდოთ აიმ ოთხიოდე კაცის საუბარსა, ცაცხჳ-ქჳეშ რომ დამსხდა-რან და თითქო ქჳეყნის საქმეებს არჩევენო.

მოგეხსენებათ, ახლანდელს მწერალს, მოამბეს, დიდი რამ უფლება აქჳს მიცემული: სადაც უნდა შეგახედებს, როდინდელიც უნდა იმ დროინდელს საქმეს თვალწინ წამოგიყენებს, რაც სივრცე უნდა ერთს წამს მოგატა-რებს. შეუძლია ახლავე, ამ ერთს წამს პეკინი გაჩჳე-ნოს, დიდა ქალაქი ცას ქჳეშეთის იმპერიისა; იქიდამ ლონდონს გადაგასკუპოს, სადაც რაც მთელს კავკასიას ხალხი ახჳვიას იმდენი მარტო იმ ქალაქში ჰსცხოვრებს, და იქ სამრთელქჳეყნო ბაზარი მოგატაროს; ამერიკას გადაგაფრინოს და იქაური უმაგალითო ჩხუბები გაჩჳე-ნოს, სადაც ათიათასობით ჰსწყდება განათლებული ხალხი. რომელიც ერთის მხრით იძახის—თავისუფლება უნდა მიეცეს თქჳენს ნასყიდს არაბებსაო და მეორეს მხრით—უიმათოთ თავი რაღათ გვინდა ცოცხალიო; მოგაფრინოს და რკინის გზით მოგახრიალოს პეტერ-

ბურღს და გაგაცჳფრობს ამ მეინჯარეს ქჳეყანაში და საფ-ლობბს ჭაობზედ აშენებულის ქალაქის ნახვით; აგიყვანოს დაგიყვანოს, სტამბოლს ხჳანთქრის (ხუნქიარ) საწოლში შეგახედოს, მართლა ერთი ცოლის მეტი აღარა ჰყავს, თუ ისევ ასეულად უსხედანო; თეირანში ყეენის ყალონი მოგაწევინოს, შირაზის ღვინო გასჳას, იქაური ქალებისა-თჳს გაალერსებინოს,—ნუ გენაღჳლება რომ მჳრისგან არის შირაზი დანგრეული —და ისევ ისე მიგიყვანოს სამარყანდსა, თითქო აინუმშიაც არა ვყოფილვარო. მეც, ეს ყარიბი ლიტერატორი, მაგრამ ამ საოცარის უფლე-ბით მოსილი, თვალწინ წარმოგიყენებ და შენის ყურით გაგაგონებინებ, რასაც ის ოთხი თათარი ცაცხ-ქჳეშ ლაპარაკობდნენ, წელსა **1823**-სა, თჳესა მაისის დამ-ლევსა.

—რა ვქნა, როგორდაც ის ყიზილბაშს მომაგონებს ეს ჭაჯი-ისქენდერა, ამ ხუთ-ექჳს წლიწადს წინეთ რომ აქ იყო და მაჭმად-უსეინას რომ აბრეშუმს ევაჭრებოდა.

—რომელ ყიზილბაშსა? აჲ. ქელბალაჲ-ჭასანას ქალი რომ ითხოვა, რა ერქჳა აღარ მახსოვს, ალლავერდის ემახდნენ, თუ ალლაიარსა....—ალლაიარსა, მგონია!

—დიაღ, მგონია ალლაიარს ემახდნენ.—სწორეთ იმას!

—დიდ-არს ალლაჭი და მაჭმად თჳნიერ წინასწარმეტ-ყჳელი მისი. აგი ხმა იყო მოკჳდაო, გჳელმა უკბინა, თუ ცხენმა დასწიხლა, მაგრამ მაინცკი მოკჳდაო, ამბო-ბდნენ. რომ არ მომკჳდარიყო, იმის ცოლს ეს ჩჳენი ნასრ-ულლა როგორ შეირთამდა?

—ეჰ! ვინ იცის, რამდენი რა მოხდება დუნიაზედა. ჩუენი ნასრულლასი არ იყოს: რა დიდი ხანია ისე ღარიბი იყო, რომ ზედაც არავინ შეაფურთხებდა!

—მახლას! მაშინ არავინ შეაფურთხებდა და ახლა? მე გითხრა იმისი სახლი და ბაღი, ხანს არ შეშურნის! მე გითხრა დუქნები არა აქუს სამარყანდში გამართული!

—კურთხეულიარს ცხრაასოთხმოც და ცხრამეტი სახელი ალლასი და მაჰმად მხოლოდ ფეხამბარი მისი! ფულიჰ? მამლებიც ველარა ჰკენკენ, იმდენი ექნებათ!

—ფული რა ფული! შენ სახელი თქუ იმისი, ხმა თქუ სად არ არი გავარდნილი? მოყურობა იკითხე ვის დაემოყურა!

—ვის დაემოყურა? ეგ არა შემიტყვია რა!

—როგორ არა! ხიველმა ულდუსბეგმა არ მიჰსცა თავისი ქალი, თავისი მზითუნახავი ნაზიმათი! საკჳრველს რასმე ამბობენ იმ ქალის მშუენიერებასა; ამ მხარეზედ ჯერ იმისთანა არა დაბადებულარაო. ნურალა იმას მოახლეთაც არ ეკადრებაო.

—ბაჲ, ბაჲ! ნეტა თუ აგრეთი რამ იყოს.

—ასე გამიგონია, იმისთანა ქუეყნიერი მნათობი ჯერ ცასქუეშეთში არა ნახულაო. ალბათდა, ბედნიერი კაცი ყოფილა ნასრულლა, ამას თქმა აღარ უნდა.—

—საბრალო ნურალა კი დაჩაგრული თურმე ჰყავთ!

—მაგასაც ამბობენ, ვითამ ნასრულლას ებძანებინოს ნაზიმათს უნდა ემსახურებოდე ხოლმეო და ამსახურებს თურმე კიდეც. მაგრამ, ეჰ! რა ჩუენი საქმეა ამისი

ლაპარაკი! გვეტყობა ცოდებიანები ვყოფილვართ ჩუენცა.
დაჰსწყევლოს!.. თითქო სუნით შეიტყობენ ხოლმე ჩუენ-
ნი ცოდები ამისთანა საქმეებსა.

— მე ისევ იქა ვარ, იმ ყიზილბაშთანა! ეტყობაკი
ალდაიარი არ არის; ალდაიარი რო ყოფილიყო, ამ ქა-
ლაქში ნაცნობი როგორ არავინ ეყოლებოდა! სწორეთ
ახალი მოსულია ვიღაც არის; ან აგრე რამ გაალარიბა!
ნასრ-ულლას ამბავსკი უფრო კითხულობს თურმე.

— ეგ რა გასაკჳრველია! ვინ არის ახლა, რომ იმისს
ამბავს არა კითხულობდეს.

— დიახ არავინ! კარგათკი ჩამოცხა დღეს თუ თქუენც
იტყჳთ

— რა მაგისი პასუხია და ახალი ამბავი შეგიტყჳათ
თუ არა? გურჯისტანი სულ დაუპყრიათ ყიზილბაშებსაო!

— ფუჰ! იქნება მართლა?

— მართალია თუ არა, სწორე არავინ იცის. ამბობენ,
ვითამ ერთი ვიღაც იარმალოუ მჯდარიყოს ბეგლარ-ბეგა-
თაო და იმის მაგიერათ ურუსთ ფაჰდიშას სხუა ვიღაც
ფესქოუჩი გამოეგზავნოსო. აზბას-მირზას რომ ეს მე-
უტყუა, დრო ახლა არისო უთქუამს, ფეთ-ალი-შაჰს
მაშინვე გამოსთხოვებია, გაუწევია და სამასიათასი რაზ-
მი ჯარით თავდაჰსხმია იმ ფესკოუჩსაო. ჩუენს დოსტ-
მუჰამედს არაფრად თურმე მოსწონებია ეს ამბავი; ერთი
კაცი იშტარხნისაკენ უფრენია, მეორე შაქი-შირვანისაკენა,
სწორე შემიტყუეთ რამეო და ჯერკი არც ერთი არ და-
ბრუნებულაო.

— ნეტა ან დოსტ-მუჰამედს რა ჰსცხელა, ან ჩუენა!

მე ეს ვიცი, რომ თუ უიზლბაშებმა ჩუჱნ ვერა დაგვა-
კლესრა, ვერცა გურჯებს დააკლებენ და ვერცა რა ურუ-
სებსა.

ჩუჱნ რაღა გვცხელა, ჩემო თეიმურაზ, რასაც ესენი მიედ-მოედებიან --ეს ხომ ვიცით რომ სწორე ამბავი არა ჰსცოდნიათ და დავანებოთ თავი; ახლა სხუაგან შევიხედოთ სადმე.

აგერ, ქალაქის ბოლოს რომ ბაღებია, იქ ერთ ბაღში,- კარების პირდაპირ, ვიღაც ქალი და კაცი სხედან ჩრდილში და მუსაიფობენ. მოდი ახლოს გაუაროთ და თუ გინდა შევჰხედოთ კიდეცა.

აცა-აცა! ეს ხომ ჩუჱნი ნასრ-ულლაა! ქალიჰ? ოჰ; ღმერთო! რა მშუჱნიერი რამ არის!! ღმერთო! შენ დაგვიხსენ განსაცთელისაგან! არა ძმაო, წამოდი, აქეთ წამოდი, თორემ რა ხუმრობაა! ვერ უყურებ? ნასრულლა ხომ ქმარია იმისი, მაგრამ თითქო ჭკუაზედ შემცთარიაო, თითქო გაგიჟებულიაო, ისე უალერსებს. გამოვეცალნეთ, თორემ აქაურს ჰაერს რაღა ეს უნდა, რომ სისხლი უდუღს კაცსა და გულის თქმა ცეცხლად ედება.

აგერ, ვიღაც გლახა მოდის ჩათლახი ცხენითა და იმას ვადევნოთ თვალი, ესა ჰსჯობია! უყურეთ ერთი; ესეც იქით იცქირება, იმ ქალისაკენა. ვაჲ! შენი ბრალი საცოდავო? მოდი ახლა და ნუ გაგიკჳრდება, რომ ღუთის გაჩენილი ჰქჳა იმასაც და ამასაც.

— ღუთის გულისათჳს, ბატონებო, ერთი წყალი მასჳთ გლახაკსა და მაშურალსა, თქუჱნის ღვთის გულისათჳსსაო, მიაძახა ბაღში ამ საწყალმა.

—მაცალე, ნაზიმა, წყალს მიუტან გლახასა და იმავ წამს მოვალ. მაგრამ არა! შენ მიუტანე ჩემო სალოცველო, შენ გაკურთხოს ჩემო კურთხევაო!

და ნაზიმათი, ეს საოცარი მშჳენიერება, ეს ნეტარსაყუნოსი ყვავილი აღმოსავლეთისა, სასუფეველური ოცნება მართალის მაჭმადიანისა,—ეს წარჩინებული მხატჳრობა უზესთაესის მხატურისა, მივიდა კართან, გაალო და მიაწოდა წყალის საცივი ქამანური გლახაკსა. ბედნიერი ქმარი ნეტარების თვალით შეჭყურებდა ამ ღვთის სათნო საქმესა.

—შენ გაკურთხოს ყოვლადძლიერმა ბედნიერებითა და ქმრის სიყჳარულითაო, უთხრა ქალს მთხოვარმა და დაჰსწჳდა ლიტრის გამოსართმევად. დაჰსწჳდა და ლიტრა ბაღის პატრონს შეჰსტყორცნა; დაჰსტაცა ნაზიმათს ყელი და უეცრებით შეშინებული, გულწასული, ცხენს შემოიგდო.

—სალამ-ალეიქუმ! ნასრ-ულლა-ალა! გმადლობ სწავლებისათჳსაო, მიაძახა და.... აბაჰა!!...

ნასრ-ულლას აღარა უნახავსრა.

ქჳეყნიერი რაგუნებაზედ დარჩებოდა, შენ იფიქრე. ბედნიერება აღარა აკლდარა და მეისად შეემუსრა, შემოებსხჳრა ყოველივე, შენს მტერსამც დამართვია, რაც იმას დაემართა მეთქი, ვიტყოდი, წყევლა რომ ჩჳენი შესაფერი ყოფილიყო.

იმისი თოთხმეტ-თხუთმეტის წლის თურქმენული ცხენი სადღა მოეწევოდა ალლაიარის ექჳსიოდე წლის ცხენსა, თურქმენულად გაწჳრთნილსა!

ალლაიარი ხომ, რაღა თქმა უნდა. სად ნურ-ალა, სად

ნაზიმათ! როგორ იფიქრებდა ნურ-ალასთან იმ ბედნიერებასა, რაც ნაზიმათთან მიეცა.

ეს რომ **1828**-ში მოხდა, **1838**-ში ვიყავით რეშტსა და იქ ვნახეთ სამივაჟი და ერთი ქალი, სპარსეთის მარგალიტები. ალაიარისა და ნაზიმათის შჳლები იყვნენ.

ის დაუფასებელი ცხენიკი აღარ ჰყავდა მაშინ. უპირველესს სამეჯინიბოში ება იმ ქჳეყნისაში.

კარგი, რომ სხჳა მაინც აღარ წაართვეს რა ალაიარსა და საშინაო ყოფაცხოვრებაში მაინც არავინ წაეცილა ძლიერთაგანი!

ამ დარიგებით ცხენის გამოზდა მართლა ადჳილი უნდა იყოს. მაგრამ ამ დარიგებით ცოლის შოვნაც ყოველთჳს ასე შეიძლება თუ არა, ამისიკი რა მოგახსენო; ანგი რაში გვეკითხება ეს ჩჳენა, ქრისტიანებსა?!

ბაქარ ქართლელი.

ნოემბერი **1862**-
სოფ. სჳმონჭახუ.

# შოთა რუსთაველი და იმისი ცოლი.

ძუჱლებური ლეგენდა.

უძღვნი ნიკოლაოზ ყიფიანს.

მრავალჯერ თხზულ შენ რუსთველის.
მოგგჳრიდა სურვილს მის ანბის ცნობის;
აჰა მოგითხრობ მისს ლეგენდასა,
თუ შეიჯერებს ესე შენს სურვილს.

---

## 1

ვინ იქნება ჩუჱნ—ქართველებში ისეთი, რომ რუსთაველის სახელი არ იცოდეს, და ვინ იქნება იმისთანა ქართული წერა-კითხვის მცოდნე, რომ არ წაეკითხოს იმისი მშუჱნიერი პოემა «ვეფხვის ტყაოსანი.»

ჩუჱნ მოთხრობიდამ ვიცით იმისი ანბავი მხოლოდ ესა, რომ ის იყო ერთი იმ ყრმათაგანი, რომელნიც იგზავნებოდნენ ქართველთ მეფეთაგან ათინაში სასწავლებლათ.

ამისი თხზულება—ვეფხვის-ტყაოსანი ცხადათ გვიჩვენებს, რომ ის უნდა ყოფილიყვეს დიახ მცოდნე, გავითარებული მწიგნობრობაში და დახელოვნებული თხზუ-

ლებაებში. ამას გარდა, არ არის დასაჯერებელი, რომ რუსთაველს ვეფხვის-ტყაოსნის წინათ არა დაეწეროს რა, ამიტომა რომ გამოუცდელი კაცი ვერას დროს პირველათვე, თუ ჯერ არ არის დახელოვნებული, ვერ დასწერს კარგათ თხზულებასა და მერე ამისთანა თხზულებასა, როგორიც არის ვეფხვის-ტყაოსანი; მაგრამ ჩჳჱნამდის აღარ მოუხწევია. ამასთანავე მოთხრობიდამ ვიცით, რომ რუსთაველს ვეფხვის-ტყაოსნამდინვე იცნობდნენ ჩინებულს მელექსეთ, და, რომლისაც გამოვიდა ქჳჱყანაში: შავთელისა, მოსე ხონელისა, და სხჳა, თამარის თანამედროვე მწერალთა თხზულებანი, მაშინ რუსთაველს დაწყობილი ჰქონია ეს პოემა. საგნათ, ცხადათ სჩანს, რომ რუსთაველს ჰქონდა თამარის სიმშჳჱნიერე და იმისი რომელიმე თავს გადასავალი. ვეფხვის-ტყაოსნის შესავალში ორგან სამგან სჩანს, რომ რუსთაველსკი მოზდებია, როგორც თითონ ამბობს, სახმილის ალი თამარის სიმშჳჱნიერისაგანა.

რუსთაველს სჭერია კარგი ალაგი თამარის სასახლეში და ყოფილა მიჩნეულიცა როგორც მეფესთან, ეგრეთვე კარის კაცებთან და გარეშე ხალხშიაც.

ლეგენდა ამბობს, რომ რუსთაველი ყოფილა ფრიად მშჳჱნიერ თვალად ტანადი, გამოჩენილი მხედარი. სცოდნია საუცხოვოდ საკრავების დაკვრა, და ჭკუა და ცოდნა ამისი ჩჳჱნ თჳთონ შეგვიძლიან ვსცნათ ვეფხვის-ტყაოსნიდამა, და აქა სჩანს, რომ არათუ ჭკჳანი, როგორათაც ერთი და ორი, არამედ ისა ყოფილა დიდი ფილოსოფოსიცა.

რა აკლდა! — ყოველივე ჰქონდა ღჳთისაგან მინიჭებული: სწავლა, ხელოვნება, ჭკუა, ხალხისა და მეფის სიყვარული, შეძლება, მშჳჱნიერება, ახოვნება და ყოფილა ჩინებული მეომარი.

მაგრამ არც ეს დამტკბარა ბოლომდინ სრულის ბედნიერებითა და აი რას ანბობს ლეგენდა, რა იყო ამისი უბედურება:

ამასა ჰყოლია ცოლი-—თავადისა თუ აზნაურისა ქალი ამას ლეგენდა აღარ მოგვითხრობს; — მხოლოდ ვიცით, რომ ამისი ცოლი ყოფილა კარგის ოჯახის ქალი და კარგის ძმის პატრონი, რომელიცა ყოფილა გამოჩენილი მხედარი და ყოფილა თანაშეზრდილი რუსთაველისა როგორათაც სიყრმიდამ, ეგრეთვე სასწავლებელშიაცა. ამას ჰრქმევია სახელათ ბაადურ.

რუსთაველს ჰყოლია ერთი შინამხლებელი, არაბი, სახელათ აბდულა.

## 2

ერთს კვირეს დღეს რუსთაველისათჳს იყო დანიშნული სადილი მეფის სასახლეში თამარისა და იმის მეუღლე დავითისგან. აქ იყვნენ მოწვეულ მრავალნი პოიტიკოსნი, ჩინებულნი კარის და სამეფოს კაცნი. რუსთაველს უნდა წაეკითხნა დასასრული თავის ახლად გათავებულის ვეფხვის ტყაოსანისა.

რუსთაველი იყო კარგს ქეიფზედ და კითხულობდა თავის ქმნილებას მშვენივრათ, სიმღერის ხმაზედ, რომე-

ლიცა იყო ჩუჱნში საბერძნეთიდამ შემოტანილი(*). თამარ, მეუღლე მეფისი დავით და ყოველნი იქ მყოფნი იყვნენ აღტაცებაში ამ მშვენიერის თხზულებისაგან და, როდესაც დაასრულა რუსთაველმა, გაისმა ყოველგან ტაშის კვრა, ძახილი ქებისა და შესხმა მის თხზულების სიკეთისა. თამარმა წაიძრო თავის ხელიდამ ძვირფასი ბეჭედი და უბოძა ნიშნათ წყალობისა და მადლობისა; მეუღლემ მისმა, დავითმა, აიყარა ხმალი და თავის ხელით შემოარტყა რუსთაველსა; საზოგადოებამ მოართვა ბრილიანტისა და სხვა ძვირფასს ქვებში ჩასმული კალამი ნიშნად მის კალმის მარჯვე ხმარებისა.

რუსთაველი მიეცემოდა შვებასა და სიხარულსა; მხიარული თამარი უძღვნიდა მრავალს ქებასა და საკრავნი უკრამდნენ რუსთაველის შესამკობელ ხმათა. სადილზედ ყოველნივე ლხინებდნენ და იყო ყოველგან ქება რუსთაველისა. ყველაზედ უწინ მიირთვა თამარმა რუსთაველის სადღეგრძელო და მივიდა აღავერდს თავის მეუღლესთან;

---

(*) უწინდელს დროში, როდესაც საბერძნეთი იყო თავის ყაიდაზედ და არ იყო წამხდარი მტერთგან, ათინის მსწავლულნი კითხულობდნენ თავის თხზულებაებს მეიდნებზედ საქუჱყნოდ სიმღერის ხმაზედა და ხალხი უსმენდა გულითა და შენიშნავდა ნაკლულევანებასა და სიკეთესა —მე ვგონებ, რომ ვეფხვისტყაოსნის სიმღერის ხმაზედ კითხუა. როგორც ეხლაც კიდევა კითხულობენ ბევრნი, იყვეს შემოღებული იმ დროდგან, თუმცა თავისი ლაზათი და სიტკბო დაუკარგავს.

მეუღლემ მიულოცა სტუმრებსა და სტუმრებმა სიხარულით მიიღეს სადღეგრძელო რუსთაველისა.

რუსთაველი იყო ამ ჟამად იმ დიდებასა და ნეტარებაში სადამდინაცკი კაცს მიუწვდება გონება, ან სადამდინაცკი ამ წუთის სოფელში გაიხარებს კაცი.

რუსთაველის გრძნობა და ლხინი ამ მდგომარეობაში, შეუძლიან წარმოიდგინოს ხოლოდ იმან, ვისოჲსაც ერთხელაც ირის ტაში დაუკრავს საზოგადოებას მის თხზულების საქებურათ და აქ, არა თუ ხალხი, თითონ ისა, ვისაც მოჰყვანდა ძლიერნი მეფენი თავის მშვენებით მონებაში და რომლისაც მაღალი სიტყვით არა დაბადებულა რა ცის ქვეშეთ, ის თჳთონ მოდიოდა ალტაცებაში და უმღვნიდა ქებასა, ამ ჩინებულის თხზულების ავტორსა.

სადილი გათავდა, საკრავები განავრცელებდნენ სასმენელად მშვენიერთ ხმათა. ლაპარაკი რუსთაველის ქების მეფეებიდამ დაწყობილი უკანასკნელს მესაკრავემდინ ისმოდა.

რუსთაველი, რომ ამ დიდებასა და ნეტარებაშ იყო, შემოვიდა ერთი ფრიად რიგიანათ ჩაცმული, და შეიარაღებული ყმაწვილი კაცი, რომელსაც მიმოხვრაში ჰქონდა უფრო ნაზი ქალის მსგავსება, მინამ ვაჟკაცისა.

ის მიუახლოვდა რუსთაველსა და უთხრა:

—ხარ ნეტარებაში და ნეტარება შენი უპყრიეს სხვასა.

რუსთაველი შეკრთა და არ იცოდა რა მნიშვნელობა მიეცა ამ სიტყვებისათჳს და ვერც ეფიქრებინა თუ ვინ უნდა ყოფილიყო ეს უცნობი კაცი. შემდგომ რამდენი-

სამე ფიქრისა: ჰკითხა:

—რას ნიშნავს ეგ სიტყვები, რომლითაც დამირღვიე მიწიერი წამის ნეტარება.

—თუ გინდა, უთხრა დაფარულმა ზღვამ:—გამომყე თანა და შეიტყობ მაგ სიტყვების აზრსა და თუ ეხლა არ მიხედე მაგ საქმეს, მაშინ ყოველივე შენი ბედნიერება იქნება დახშულბულ და ქუდი სინიდისისა და ვაჟკაცობისა მოგეხადოს შენ.

რუსთაველი აიტაცა რაღაცა იჭვნეულებამ და სურვილმა ამ საიდუმლო სიტყვების შეტყობისამ. ეს გამოუსალმა მეფეთა, მოითხოვა ბოდიში და მოახსენა; რომ ფრიად დიდი საჭიროება მოითხოვდა იმასა, და გამოჰყვა თან იმ საეჭვო მშვენიერს ყმაწვილს კაცსა.

იმან წაიყვანა რუსთაველი პირდაპირ იმის სასახლისაკენ.

რუსთაველს უკვირდა ეს გზევა თავის წინამძღომელისა და მაინც კიდევ უნებურათ მიზდევდა თანა.

ამ ახალ-გაზდა ყმაწვილმა აიყვანა რუსთაველი თავის სასახლეში, გაატარა რამდენიმე ოთახი, დააყენა თავის ცოლის საწოლის კარებთან და წასჩურჩულა:

—უგდე ყური რა მოგესმის მანდედამ.

რუსთაველი აიტანა კანკალმა და რაღასაცა უნებურად დაუგდო ყური.

საწოლიდამ გამოისმა ხმა კოცნისა და ალერსისა.

რუსთაველი განცვიფრდა, არ ერწმუნოდა თავის გონებას და ყურებსა;—შეიხედა ჭუჭუტანში; მაშინ დაინახა თავისი აბდულა არაბი, თავის ცოლის კალთაში: ცოლი ეხვეოდა, ჰკოცნიდა და მიიკრავდა გულში.

რუსთაველს აემღვრა სისხლი და მოიხედა თავის მომ-ყვანისაკენ, მაგრამ ის იქ აღარ იყო.

რუსთაველი როგორც შეჰხამს ჭკვიანსა და ნასწავლსა კაცსა, გაჩუმდა და დაბრუნდა; მაგრამ აიტაცა საშინელმა ფიქრმა და ათას ნაირი სინანული და სევდა შემოაწვა გულსა.

—ნუთუ მე, რომელსაცა მთელს სამეფოში იჳთონ უპირველესი მშვენიერს მეფა არავის შიდრის, მჯობდეს ეს საზიზღარი არაბი?!... ნუთუ მე ვიყავ ამის შეცდომის მიზეზი?!.. ოო! არა! მე ვიყავ მაგის ქმარი, სწორეთ იმი-სთანა ქმარი, როგორსაც დაგვიწერს საღმრთო წერილი!.. ო! დედაკაცის დაუდგრომლობავ! ო! ქალის მიუწდომე-ლო და გაუზომელო ზღვა გულო!... მე მაგის გული-სათჳს დავსთმე და უმტყუნე ჩემთჳს თავ გაწირულს და მშვენიერს ქალსა, რომელიცა ეხლაც არა ნდომულობს ჩემს შემდგომ სხჳა ქმარსა, და მაგან გამცვალა ერთს უბრალო მონაზედ—არაბზედ. შევსცდი და ქვეყანაზედ დამესხა ლაფი... რათ მაჩვენა ის ვიღაც იყო! რა ენაღ-ვლებოდა იმასა? იმას რომ ჩემთჳს არ ეჩვენებინა, მე ეხლა მოსვენებული ვიქნებოდი და ჩემს უცოდნელად რაც უნდა ექნა მაგასა. არა! ალბათ ისიც გულ დამწვარი იყო მაგისგნით, მაგისთჳსაც უმტყუნებია და ამიტომ გვიმტრო მეცა და მაგასაცა.

რუსთაველს აემღვრა სისხლი, აეშალა ნაღველი და საშინელის ფიქრებისაგან ატაცებული უგზო-უკვლოთ გავიდა ქალაქს გარეთა და წაადგა ერთს ხევს.

იქ უცებ მიეგება თავისი აღმაშფოთებელი ყმაწვილი

კაცი და უთხრა დაცინვითის ხმით:

—როგორ მოგწონს შენის ცოლის ერთგულება?...

რუსთაველმა შეიმაგრა თავი ცოლზედ თავის გონიერებით, მაგრამ იყო საშინელი აღშფოთებული ამ შენთხვევისგან და არ მოელოდა, რომ ის კაცი, რომელმაც თვალით ახვენა თავის ცოლის ორგულობა, ახლა კიდევ დაუწყებდა დაცინვასა და ისიც იქა, სადაც რუსთაველი სრულებით არ მოელოდა.

ამ სიტყვებით დაჰკარგა რუსთაველმა ყოველი ცნობა.

—შენა ხარ ყველას მიზეზი! შეჰყვირა რუსთაველმა, და ამ სიტყვებით გაუელვა ხანჯალმა ხელში და ტარამდინ ჩაურჭო გულში:—შენ დამირღვიე სიმშვიდე, არ დამაცადე, რომ დასრულებამდინ დავმტკბარიყავ ნეტარებითა და ესეც შენი სამახსრობლო!

—ოჰ ჩემო საყვარელო მოთავ! წარმოსთქვა მიკმენდილის ხმით საბრალო მსხვერპლმა:—მე რაც შენ გაგიცან მას აქეთის მინდოდა შენთან სიკვდილი; ჩემი ნატჳრა სულ ის იყო, რომ შენს ჴელში მომკვდარიყავ და ჩემი სურვილი ღმერთმა აასრულა. მოდი სიკვდილის დროს მაინც ვღირსო შენს მოხვევნას. ..

ამ სიტყვებით ქალი მოეშვა, "ჩაუვარდა ენა," დაეშვა ძირსა, მოეხვია რუსთაველს მუხლზედ, შეიქნა უგონო და რამდენისამე ფანთხალის შემდგომ განუტევა სული.

რუსთაველს ეცნო როგორღაც ეს ხმა და გაუხსნა მაშინვე ღილები, უნახა ქალის ძუძუები, რომელნიცა იყვნენ მთლად ტბა სისხლში მოსვრილნი, უნახა ჴელი და იცნა თავისი ბეჭედი. — ეს ქალი იყო რუსთაველის პირ-

ველის საცოლო, რომელსაცა უმუხთლა რუსთაველმა და მოწონებით შეირთო სხჳა ცოლათა, რომელმაცა არ დააფასა და გაცვალა უბრალო მონაზჳდა.

რუსთაველმა გასტყორცნა შორს ხანჯალი, მიეხვია სულ ამომავალს ქალსა და გამოუთქმელის სურვილით მიიკრა გულში და შესძახა:

—ოო! მე ახლა უფრო ვცან შენი სიყვარული. კიდევ უნდა ეთქვა რამე, მაგრამ ჩაუვარდა ხმა.

3

მას აქეთ, რაც რუსთაველს მიეცა ეს შემთხვევა, იმის შუბლი აღარ გახსნილა: საშინელი მწუხარება, შიში და მორიდება იყო იმის გამხდარს სახეზედ გამოსახული; მოუსვენრად, დადიოდა თუ იჯდა—სულ იყო დაფიქრებული; ფოთოლი გაინძრეოდა, თუ კატა გადმოხტებოდა საიდანმე, რუსთაველი შეხტებოდა საცოდავათ და დაიწყებდა კანკალსა; უცებ ჩრდილის დანახვა მოჰგვრიდა შიშის თრთოლასა, ღამე ფხიზელს, ერეოდა საშინელი ფიქრები თავში, აგონდებოდა თავისი უმანკო მსხვერპლი და ყოველი კუთხიდამ ეჩვენებოდა, თითქო აგერ მოდისო სისხლში შესვრილი აჩრდილი. ბუზის ბზუილი ანუ ერთი ბეწვა რისამე ფაჩუნი წამოახტუნებდნენ ზეზედ;—თუ ერთი ბეწვა ჩასთვლემამდა ჰხედავდა საწყალს ქალსა, იმისი წინ ხელებ გაშლილს და თითონ ტარამდინ ჩაერჭო შეუბრალებლათ ქალისათჳს გულში ხანჯალი, ცალის ჴელით ხვრეტდა იმის სისხლსა და მისძახოდა იმ უკანასკნელს სიტყვებსა: შენ დამირღვიე მშვიდობა! ესეც შენი სამახარობლო!,,—ან არა და ეჩვენებოდა ქალი იმის წინ,

დახოქილია, რომელზედაც რუსთაველს ჰქონდა ხინჯალი დაშვებული და ის ეხვეწებოდა საბრალოს ხმით «ნუ მომკლავ, ჩემო შოთავ! მე უბრალო ვარ; მე შენის სიყვარულით მომივიდა» და რუსთაველს თუმცა საშინელათ ებრალებოდა, მაგრამ მაინცა რაღაცა გამოუთქმელის ჯიუტებით ურჭობდა გულში ხანჯალსა; მერე ეხვეოდა, ჰკოცნიდა, ეძებდა წყალსა, რომ მოესულიერებინა, ეხვეწებოდა, რომ არ მომკვდარიყო, მაგრამ ის მლივსღა ჰფეთქავდა და ეუბნებოდა საბრალოს ხმით: ტყუილათ მომკალი!.. ღმერთი უსამართლო, არ არის!. » ან არა და კიდევ ეჩვენებოდა: თმა გაწეწილი, ქალი თავიდამ ფეხამდის სისხლში მოსვრილი და გულიდამ ამოსდიოდა ჩუხჩუხით შადრევანივით სისხლი;ის ხანჯალი, რომლითაც მოკლა, ეჭირა ხელში, საცოდავათ და შესაბრალებელის სახით უცქეროდა რუსთაველსა, თითქო უსაყვედურებდა «რათ მომკალო, მე ხომ შენის სიყვარულის მეტი არა ვიცოდი რაო!» ხან ეჩვენებოდა მთლათ სისხლით შესვრილი კუბო, რომელშიაც შოთას მსხვერპლი მიჰქონდათ დასამარხავათა; რუსთაველი ჰხედავდა ამასა, და უნდოდა დამალვა. მაგრამ სადაც დაიმალებოდა, ხალხი ყოველგან ჰხედავდა და იძახდა: «აგერ უბედური ქალის მკვლელი! ამან მოკლა, აი ამანაო!» და იმისი ნათესავები მოზდევდნენ რუსთველს მოსაკლავათ ხანჯალ ამოღებულები; რუსთაველი ჯერ აპირებდა დამალვასა, მაგრამ ვერც ემალებოდა რომ ყველგანა ჰხედავდნენ და მერე აღარც თოთონ ენანებოდა თავი, რადგანაც ტყუილათ შემოაკვდა ის ქალი, რომელიც ამისთჳსა ცდილობდა, და თითონ

ეხვეწებოდა მომკალიო, ისინი შემოერტყმოდნენ გარშემო და ყოველის მხრივ ჩაერჭმოდნენ ხანჯალსა და გადმოსდიოდა სისხლი; კუბოდამ მოკლული ქალი იწყვდა და უგებდა ნიშნსა: «ჰე ჰე! ვენაცვალე ღმერთისა!... და წამოვარდებოდა საწყალი რუსთაველი გულ გახეთქილი ძილიდამ და იყურებოდა თითქო მართლა მომხდარაო ესენი, რაც სიზმარში ენახა, და დაფეთებული აანთებდა სამთელს და დაუძახებდა თავის ერთ-ერთს ერთგულს ბიჭსა.

ამ გვარ ატარებდა საწყალი რუსთაველი თავის დღეს დიდს ხანსა, იმ უბედურების უკან, რომელიც გადახდა შემდგომ მეფის წვეულებისა.

ერთხელაც რუსთაველმა მოიწვია თავისი მეგობრები და დაიწყო ქეიფი.

მთელი კჳრე ისმოდა რუსთაველის სახლში ლხინი და მეჯლიში: საკრავების ხმა მშვენივრათ მოისმოდა გარეშე ქუჩებში და ხმა სიმღერისა მიდიოდა თითქმის მეფის სასახლემდინ.

უკანასკნელს დღეს ამ ქეიფებისა, რუსთაველმა მოიწვია მეფე თამარი თავისის მეუღლით და მრავალნი დიდი სამეფოსა და კარის კაცნი; ამათში თავის ცოლის ძმაცა.

სადილთუკან გაიწჳა რუსთაველმა სტუმრები ველათ ჯირითობის სასეიროთა; თავის ცოლს სთხოვა რომ თან ხლებოდა თამარ მეფეს;—არაბი იახლა ცხენების დასაჭერათ; თჳთონ შეიმოსა მშვენიერს ტანისამოსში, ჩაჯდა იარაღში, შემოსა ლახტით ცხენი და გავიდა საჯირითოთა.

რუსთაველს შვენოდა მშვენივრად ამ მოკაზმულობაში, და სხვათა დროთა უკეთესად ჯირითობდა. ეხლა ყოვლივე თვისი წინააღმდეგი ჯირითობაში დაამარცხა.

მეფეთა და საზოგადოებამ მიულოცეს გამარჯვება.

რუსთაველმა უცებ გაიხტუნა ცხენი, მოუშვირა ლურჯას ქუსლი და ერთს წამს როგორც ელვა გაჰქრა თვალთაგან. რამდენსამე ხანს უკან ისევ გამოჩნდა: ის იდგა ცხენზედა, ეჭირა თოფ-იარაღი ხელში და გაჭენებულს ცხენზედ ათამაშებდა.

მოვიდა მეფისა და ხალხის წინ, მიუბრუნდა და ჰკითხა:

—როგორ მოგწონვართ?

ქება ამისი ყოვლის მხრიდამ შემოისმა.

—მოხდენილობითაც ხომ არავიზედ ნაკლები ვარ?

—შენზედ უკეთესი არ იპოვებოდეს ორი ჩემს სამეფოში,—უთხრა თამარმა.

—ჭკუა და სწავლაც ჩემი მოგეხსენებათ!

—ჭკუამან და სწავლამან შენმან გაანკვირვოს წამკითხველი თხზულებისა შენისა.

—და არცა რა სხვა რაშიმე ვარ ნაკლები სხვათა?

—ჩვენ მაგაზედ იჭვ არა გვქონია.

—მაშ ამ ყოვლითურთ შემკობილს კაცს, რომ ცოლმა უღალატოს და გასცვალოს ამისთანა მონაზედა,— ამ დროს რუსთაველმა დაუძახა აბდულა არაბსა, გადმოხტა თვითონ ცხენიდამ, მისცა ხელში და უჩვენა ხალხსა ამაზედა;—ამისთანა მონაზედ, რომ ამისთანა კაცი გასცვალოს, ის ცოლი რის ღირსია?

—ყველამ გაოცებით შეხედა ერთ მანეთს.

ბაადურ თონესავით აენთო

—მაგ გვარი ცოლი ღირსია, სთქვა თამარმა;—ქმრის გაშორებისა და ქმარს ექნება ნება თავის სურვილისამებრ თავის საცოლოს გამორჩევისა.

—და თუ ქმარს მოეკლას ისა, ვინც უჩვენა თავის ცოლის ღალატი?

—მოკლული ღირსი ყოფილა თავის ხვედრისა, მაგრამ მკვლელმა უნდა თავის ცოდო უდაბნოში მოინანიოს, ვიდრემ გასწმენდს თავის სინიდისსა.

და მაშინ რუსთაველმა მოჰკიდა ხელი და გამოიყვანა თავისი ცოლი. სახალხოთ უთხრა:

—აი, ბატონი, ამან გამცვალა ამაზედ,—რუსთაველმა დაადო არაბს ხელი:—და გულ გამფოთებულმა მოვკალ მე ჩემი პირველი საცოლო, რომელმაც მიჩვენა მე ესენი ერის ქვეშაგებში.

რუსთაველმა, რა გაათავა ესა, სცა თაყვანი მეფეთა, გამოესალმა ხალხსა და წავიდა!...

ტიმოთე მიტროპოლიტი თავის მოგზაურებაში ამბობს და სხვა მოწმობითაც ვიცით, რომ ის შეზდგა, ბერათა და მარხია იერუსალიმში.

## ე პ ი ლ ო გ ი.

რუსთაველის ცოლი იქმნა ყველასგან გაკიცხული: საზოგადოება აღარ ეკარებოდა და აღარც აძლევდა ადაგს პატიოსანს ხალხში.

თამარ მეფე აღარ აძლევდა აღარავერს ყურადღებასა; ქმა ამისი ცდილობდა როგორმე დარწმუნებულიყო თა-

ვის დის შეცდომილებაზედ, და ყოველთჳს ადევნებდა თვალსა.

ერთიც გნახოთ მოასწრო იმას სწორეთ მაშინ, როდესაც არაბი უნდა გაეგდოთ საქართველოდამ და ის ჰკოცნიდა რა თავის შავის სხვილის ტუჩებით იმ მშვენიერს—გონებით ბრმას ქალსა, შესჩიოდა რომ ის დაშორდებოდა ამ ცოტას ხანებში იმას საუკუნოთ.

—შენს თავს მე ვერავინ დამაშორებს, უთხრა ტროფობით რუსთაველის ცოლმა:—სადაც შენ იქნები, მე ყველგან გიპოვნი; თუ ჯოჯოხეთის უბრსკულში ჩამოვალ, რომ შენს თავს არ დავშორდე.

ქმა ამისი დარწმუნებული ამ გვარისა შემოწმებითა და გამოსული მოთმინებიდამ, შევარდა უცებ დასთან ხანჯალამოღებული, მოსჭრა თავი არაბსა, ჩადო პარკში, მოჰკრა პირსა, დაჰკიდა დას ყელზედ და უთხრა:

—აბა! ბოროტო სულო! არ გინდოდა მაგ თავის დაშორება და გეკიდოს დღე და ღამ და ნუ დაიშორებ, სადაც გინდა წადი, ხოლოდ ჩვენს შესარცხვენელათ ნულარ იმყოფები სამშობლოს ალაგში.

ამ სახით გააგდო სახლიდამ. (*)

ანტონ ფურცელაძე.

---

(*) ეს ჯელ ნაწერს ჟურნალში «თაიგულში» იყო ჩემგან ჩატანებული, მაგრამ რადგანაც ის საჩქაროთ იყო დაწერილი და რადგანაც ჩვენ უპირებდით დაბეჭდვასა, ამის გამო იმაში ბევრი ნაკლებულება იყო და შეცდომილებაცა, რომელიც ეხლა შევასრულეთ.

## მუშური.

სიმიდსა თოხნა დავუწყოთ, ერთ-ხმათ დავსძახოთ მუ-
შური;
ეგებ მაშინ დაგვავიწყდეს, რომ გლეხნი ვართ უბედური.
მარტო ჩვენთვის არ ვმუშაობთ, სხვისაც გვმართებს სამ-
სახური,
ბატონი გვყავს ვართ საწყალი, უბატონო უბედური!
ყველა თავში გვიჩაჩქურებს გარეშე და შინაური.—
ცხელსა მიწას უხვად ალბობს ოფლი ჩვენგან მონაწური.
ჩვენი ჯაფით მონაყვანი სხვასთან მიდის საზრდო
პური,
შინ ცოლ-შვილს შიმშილი გვიკლავს, მაგრამ ვინ მი-
უგდოს ყური?
მათსა საზრდოს სხვა იტაცებს, სტირის ცოლი მემუ-
შური,
შიმშილისგან რძე უშრება, წივის შვილი უსუსური!
ღმერთს ბატონსათ მოუცია ჩვენთვის ერთი აზნაური,
მისთვის სულ-ყველა ჩვენა ვართ მებეგრეცა და მსახური
მისგან ტანჯვას რომ მოვრჩებით მაშინ გვტანჯავს
მისი ფური,

უპატრონოთ არ ვარგივართ, როგორც უმწყემსური ცხვარი:
მაშინ ყველა პატრონის! გამკითხავი სადღა არი!!...
მდივანბეგის ბოქაულებს გაუღებათ სახლის კარი.
სულ მათ მიაქვს რაც რომა გვაქვს: ქათამი, თხა, ძროხა, ცხვარი.

ჩუენ ყოველ დღე ტანჯვას ველით!.. გლეხებს რა გვაქვს გასახარი?

. . . . კოლოფში სძინავს ის არს ფულის მეგობარი,
არ იღვიძებს თუ უფულოთ მასთან მივიდა სტუმარი!—
შინდის წკნელებზედ სწერია ჩუენი სახელი და გუარი,
განვაგრძოთ ძმებო მუშური ჩუენი სევდის განმაქარი,
ნაღველთან ბანსა გვეტყვიან არე-მარე, მთა და ბარი.
ნუ თუ გულ-გრილათ უყურებს ჩუენს ტანჯუასა მაცხოვარი!!..

თ. აკ. წერეთელი.

---

## მუხამბაზი.

სულით ერთნო, მოლხინენო აწ შეკრბით
თასით, ჯამით, ყანწით, აზარფეშებით?
ლხინის სუფრა მოჰფინეთ ყვავილებით;
ალავერდა (1) დასვით თარით ნაქებით;
ყოჯა ბულბულ ტკბილის ჴმით იდუღუნეთ;

---

(1) იყო გამოჩენილი მომღერალი მეფეებისვე დროს.

დიმტლიპიტო დაჰკარ დაარაკუნეთ!!—
ლხინის პაპა სახით (1) არაბისტნელი:
ღჳნისა და ეშხისათჳს შექმნილი,
ტოლუბაშათ—დასვით ქუდ ჩაკეცილი?
მისს შკოლაში ვინ არავართ ნასწავლი?
ორმოცის წლის რომ შეიქნეს გააგდეთ:
დიმპლიპიტო დაჰკარ დაარაკუნეთ!—

სიჭაბუკე, ვით მაისი მშჳენიერად
აღყვავდების და მისებრ ჰქრება ჩქარად;
ვაჰ, ვისთჳს ეს დრო განვლის უგრძნობლად,
და ცის ალით,—ეშხით, არ ჰყოფს გულდამწვრად?
სიჭაბუკე არს ლხინის დრო, მერწმუნეთ:
დიმპლიპიტო დაჰკარ დაარაკუნეთ.

ვით ბაღი უყვავილოდ, უვარდოდ,
არა მიყვარს ლხინი უემუ უსატრფოდ?
მოდი მნათო! სავსე თასი სალხინოდ
ჩაგვირიგე, თუ გინდ ისე უპროშტოდ?
შენი თასი არს სადგური სიამეთ:
დიმპლიპიტო დაჰკარ დაარაკუნეთ!—

ვისთა დღეთა მწუხრამდის ნათლად განვლეს?
ვისი მზე არ ღრუბელსა მიჰფარვიეს?
ვისი ბედის კოშკი სულ ალჩუ დაჯდეს?
არ მიენდოთ დამღუპავს, წყეულს ხვალეს,

---

(1) მირზაჯანა.

დღეს მოხარულთ დღესვე ისიამოვნეთ,
დიმპლიპიტო დაჰკარ დაარაკუნეთ!

მიმოხედეთ: რავდენთ ვეღარ იპოვნით,
ერთად მსხდომთა, მოხარულთ თქჳენთან ყოფნით?
სად არიან?—ზოგნი შორს ვლენან ოხვრით,
ზოგნი უდროდ განვიდნენ სოფლის ლხინით!....
ამ თქმაში რად ცრემლნო თასში შთაცვინდით.
და ჭირთ მდევნი, ღვნო ტკბილო, დამწარნდი?
დიმპლიპიტო დაჰკარ დაარაკუნეთ!

თ. გრიგ. ორბელიანი.

---

## ჩემი ეპიტაფია.

როს ვიყავ ცოცხალ, ვითა შენა მკითხჳელო,
მეცა მიყჳარდა, მეც ვჰსტიროდი, ვილხენდი
და დაფიქრებით დავჰმზერდი ზოგჯერ საფლავთ;
მერგო რიგი და აწ ჩემს საფლავს დამზერ შენ.
ვერცა შენ აჰსცდე ამ რიგს ჩემო მოყჳასო,
ვერც მეფე შემძლე მის დიდების გვირგვინით,
ვერც შემოსილი ძონძით გლახა უღონო,
ყველა დამიწდეს, ყველა დალპეს, დაირღვეს,
და მღჳთად აღვიდეს სული წმინდა, უკჳდავი!

თ. გ. ორბელიანი.

---

(*) ეს ლექსი მეორედ იბეჭდება, რადგანც ავტორმა ინება გასწორება.

## ა) ანდერძი დავით აღმაშენებელისა. (*)

ანდერძი დიდისა მეფისა საქართჳლოჲსა და აფხაზეთისა, დავით აღმაშენებელისა პანკრატოანისა, რომელი წარმოუთხრა მოძღჳარსა თჳსსა არსენის, ჟამსა მიცჳალებისა თჳსისა, თქმად ყოველთა და განცხადებად სახლეულთა და დიდებულთა თჳსთა.

გიბრძანებს და მოგახსენებს მეფეთა მეფე დავითი დღეთა შინა სიკჳდილისა, და სოფლით განსლვისა

(*) ეს ნაწილი არის ჩართული საეკკლესიო წიგნში, რომელიც იპოვება ნესტორ წერეთლის სახლში, და რომელსაც აქუს ეს შენიშვნა: ესენი გარდმოვსწერე მე პროთოიერმან ოსე ზაქარია მოძღჳრის ძემან, მაისის კ. ჩყკბ. ესე ეთარგმნა რუსულით ქართულსა ენასაზედა სიბრძნის მოყჳარეს ქართველსა იოანეს ვისმე ბაზალაძეს, პორუჩიკსა, გარნა უჩჳეულებისათჳს ჩჳენ განვმართეთ ჩჳენისამებრ ენისა ქართველთა მე მდაბალმან არხიმანდრიტმან გაენა.

მისისათა, ჩემ მიერ უნდოისა, და უღირსისა მლოცველისა [illegible].

...იქმნენ ყოველთა დიდებულთა და წარჩინებულთა სამე-ფოისა მისისათა: კათოლიკოსისა, ეპისკოპოზთა, ერის-თავთა და ყოველთა შეწყალებულთა.

უკჳდავი და დიდებისა მოყუარე, და მეფობისა ტრფი-ალი მეფე ბუნებად. და არა მიდეს მოვიხსენებდი დღესა ამას სამარადისად; სათლავად მისვლად ჩემისასა, და [illegible], რადგან არა დამიტევა მე, ...ოიმან, და დამშვენებული ცოდვათა სიმრავლითა მწუ-რედ განმზადებან წინაშე მსაჯულისა, რამეთუ მრავალნი ...ჰქუნა ჩუენ სოფელსა ამას შინა, რამეთუ ...ა პირველად მჳილი ესე დიმიტრი სიბრძნითა სიწ-ყნარითა, ახოვნებითა, და სიმხნითა უმჯობესი ჩემსა — და ...ელი ესე ვითარი ჯერიყოს მეფე მოცემული ღმრთის მიერ, მკჳდრთათჳს სოფლისათა, მართალ მორწმუნე. მე წარვედი წინაშე მსაჯულისა მისისამებრ განმგებელი

---

...ისამან ზაქარიამ, რათა უცხადეს იყოს ცნობად ყოვე-ლთა მიერ წამკითხველთა და სწავლის მოყუარეთაგან. ...ლის ჩუენ, თთჳსა ნოემბერსა ა—სა ხოლო მე პრო-...ებმან ოსე ზაქარია მოძღჳრის ძმან გაბაონმან ...ოვსწერე, ვედრებით მოხოველმან აღმომკითხველთა ...სლობის მიერ, წელსა ჩუენ, თთჳსა მარტსა ით, ქრისტო-...ბისა შინა მეოთხმ ნ ქალაქსა ბელელოროდისასა, მო-ნასტერისა შინა წმინდისა და საკჳრველთ მოქმედისა ნი-კოლაოზისა. ბაქრაძე.

მეფობისა. რამეთუ მხიარული—ჰყოფდის ყრმაჲ ესე ყოვლად დაფარულთა გულისა ჩემისათა, და მენებაცა მოცლა საწვთოსაგან, მეფეთ ყოფითა მაგისითა, რომელი ესე ღმერთმან და მეფე და ორის წლითგან მოძღჳ̂არმან ჩემმან უწყით: გარნა მძლო საწვთომან და წაღმართ ქადებულნი ჟამნი მიმტყნავე, და მომაგო ჩემნი, და შამის ჩემისა ჭირნი, რომელთა მიმიქცევიან ამისგან პირნი, და თვალნიცა: გარნა განაბჭო მართლად მსაჯულობამან ღჳ̂თისამან, და ესერა მიწოდამე და უწოდა მაგას მეფობაჲ, მამული და ახლად მიგებულ ღვაწლითა ჩემითა, და თქჳ̂ენითა, ნიკოფსიდგან დარუბანდისა ზღვადმდე, და ოვსეთიდგან სპერად და არეგუაწადმდე: და მოვანდევენ შჳლნი, და დედოფალნიცა შუამდგომელობითა ღჳ̂თისათა, რათა ძმაჲ მისი გაზარდოს, და თუ ინებოს ღმერთმან, და კარგ იყოს, შემდგომად მისსა მეფე ჰყოს მამულსა ზედა და დათა მისთა პატივ ჰსცეს, ვითარ შჳლთა ჩემთა საყჳ̂არელთა.

ამას ყოვლითურთ წარუძღჳ̂ანე წმინდა გული ცხოვრებისა და მივეც დროშა ჩემი, აბჯარნი ჩემნი, სამეფონი და საჭურჭლენი ჩემნი, ზემონი და ქჳ̂ემონი.

ხოლო დრაჰკანნი კოსტანტი, ცჳ̂ატა და ჩემთა ალალი და თჳ̂ალ-მარგალიტნი ხახულისა ღჳ̂თის მშობლისად შემიწირავს. ხოლო დუკიტი და პოტანატი ატენისა საჭურჭლისა, იგიცა სისხლითა ჩემითა მოგებული, თუ ელეოდეს ვითა მეფე დიმიტრი, ყოველი მისცეს მოძღჳ̂არსა ჩემსა, თუ არა ნახევრისათჳს წინაშე ღჳ̂თისა. ვესაჯები, რათა რომელნი მონასტერნი მამუ-

ლისა ჩემისანი განმიმწარებიან, მოძღუარმან ჩემმან უკუნ ცემითა მათთაცა აღოცნეს ჩემთჳს.—

ხოლო დარჩა მონასტერი სამარხავი ჩემი, და საძუალე შჳლთა ჩემთა უსრულად, და წარმუჳა მისთჳსცა ტკივი-ლი სამარადისო.—აწ შჳლმან ჩემმან მეფემან დიმიტრი სრულ ჰყოს ყოველითურთ, საუკუნოდ საცოდავად ჩემთჳს, და მისთჳს და მომავალთა ჩემთათჳს.—რომელნი მიმი-ცემიან, მისგანსა ნურას მოაკლებს, და ადგილნი, რომე-ლნი მიშოებიან, უმკჳდრონი და უმამულონი, მათგანნი-ცა ვითარცა ბერმან არსენი, და კათოლიკოსმან გამოარ-ჩიონ, მეფემან დიმიტრი. მიცემითა წერათა და სიგელთა, განასრულონ ყოველითურთ უნაკლულოდ.—

ბ) ესე წერილ არს ხატსა ზედა ხახულისა ღუთისმშო-ბლისა, მონასტერსა დიდებულისა გეანათისასა.

იანბიკოდ თქმული რუსთჳელისამიერ.

ქალწულებრივთა სისხლთა შენთაგან სძალო—
თბედ საიდუმლოდ, ზენაჲსა განგებისად,
ძისა ღუთისა მკდ მეშჳ იქმენ არსთა მცხოვნად,
მე თამარ მჩენი, ტომთაგან დავითებრთაჲთ,
მამკევ, შემამკევ, მადიდე, აღმამაღლე,
აწ მეცა კელ მჰყოფ, შემკობად ხატსა თქუენსა—
დედისა ძითურთ, და მეცა ძითურთ მფარველე.— .

გ) სავლავსა ზედა თამარ მეფისასა ესრედ წერილ არს.

რომ ნაჭარმაჯევს მეფენი, შჳდნივე ჰურად დამესხნნეს.

რუსნი, სპარსნი და არაბნი, სამზღვართა იქით გამესხნეს;
თევზნი ამერთა წყალთაგან, იმერთა შიგან ჩამესხნეს.
და აქ ამისა მომქმედსა, ჴელნი გულზედა დამესხნეს.

დ) კათოლიკოსის სამწყსო სამცხე-საათაბაგოს.

ესე ვიხილე ძველთა მოთხრობათა და ისტორიათა საქართველოჲსა მეფეთასა და გარდმოვსწერე ვითარცა წერილ იყო.

არის მისის უწმინდესობის კათალიკოსის სამწყსო ზემო ქართლს, რომელ არს სამცხე საათაბაგო თავადნი და სოფელნი.

კავკასის ძე მისის მამულითა, პარტალი მისითა შესავალითა და აზნაურ შვილებითა, საყმოთ სამწყსოთი.

სამძღვარი მისითა სასაფლაოთა მონასტრითა, და კარის ეკკლესიითა. გოგიბაშვილსა აქუს, ბუნზელის ძენი, მათითა სასაფლაოთა მონასტრითა და კარის ეკკლესიითა.

ღასურის ძეთა აქუს, ხერხემელისძე, სასაფლაოთა მონასტრითა, და კარის ეკკლესიითა.

თაქთაირის ძეს აქუს, ჩარჩანელი, სასაფლაოთა მონასტრითა, და კარის ეკკლესიითა.

ერისთავთ ერისთვსა ხურსი ძეს აქუს, ღობიერნი, სასაფლაოთა, მონასტრითა და კარის ეკკლესიითა.

დისსამიძეთა აქუს, აბუსერის ძენი სასაფლაოთა, მონასტრითა და კარის ეკკლესიითა.

ბოცოს ძენი სასაფლაოთა, მონასტრითა, და კარის

ეკკლესიითა, ქოლადას შჳდთა აქუს, ოთარი სასაფლაოთა, მონასტრითა და კარის ეკკლესიითა.

მალიკას შჳდთა აქუსთ, სერთავისანი, სასაფლაოთა, მონასტრითა და კარის ეკკლესიითა.

ქამქამის ძის სეულზედ არიან ღადარას შჳდნი სასაფლაოთა, მონასტრითა და კარის ეკკლესიითა.

რჩეულიანთ და ფეროდიანთ აქუსთ, ასპინძის ძენი, სასაფლაოთა მონასტრითა, და კარის ეკკლესიითა.

სფირიდონს აქუს, კალმახელი, სასაფლაოთა, მონასტრითა და კარის ეკკლესიითა,

უზანა ძეთა აქუს, დუკის ძენი, სასაფლაოთა, მონასტრითა და კარის ეკკლესიითა.

ფანაკერტელნი, სასაფლაოთა, მონასტრითა და კარის ეკკლესიითა.

სპასარალონი სამითა სასაფლაოთა მონასტრისა და კარის ეკკლესიითა.

ხახკოპას ძენი, სასაფლაოთა მონასტრითა და კარის ეკკლესიითა.—ანძაველნი; სასაფლაოთა მონასტრითა და კარის ეკკლესიითა.—კოპას ძენი, სასაფლაოთა მონასტრითა და კარის ეკკლესიითა.— თუხარელნი სასაფლაოთა მონასტრითა და კარის ეკკლესიითა.—მინხოშკი მისითა შესავალითა. დიდი პატიოსანი ვარძიისა მონასტერი, მისითა შესავალითა, და ეკკლესიის შჳლებითა.

---

სამცხე-საათაბაგოს მღჳდელთ-მთავარნი და მწყემსნი ესენი არიან.

მაწყუჳრული გჳრგჳნი ბისონიანი არს, ამისა სამწყსო

ყვიბის კორტნეთისა შუა რომ წყარო სდის, ამას ზეით ხეობა და სადგური, სულ აწყურია, დიასამიძისა სახლი ახალ ციხე, და ახალციხის წყალის გაღმართი გურის წა-რდგომამდისა.

კუმურდოელის სამწყსო, ხერთჳსს ზეით, სულ ჯავა-ზეთი ხვეთამდინ.

იშხანელის სამწყსო, გურჩი ბოთას აქეთ, სულა თორ-თომი ტაოზ ქჳ̂ჵმოთი, არტანუჯს თავი საკრულავი ჭრქჳან, იმას აქეთი, გაღმით ორჯოხის მთას აქეთი, სულა საკავკასიძოა, ის პირ ტრაპიზონის მთას გარდ-მოღმა.

ანჩელის სამწყსო სამ წყალს აქეთი, ხანცხას და ოპი-ზას შუა, დახატულა, იმის ქჳ̂ჵმოთი ნიგლის ხევი, გაღმა და გამოღმართი, კონიის სამძღჳ̂რამდინ.

მტბევარის სამწყსო, დახატულას ზედათი, ანაკერთს აქეთი სულა, შავშეთი, მიჭიხიანთ ბატონის კათოლი-კოსის, იმ ქჳ̂ჵყნის ეპისკოპოსისა,ისაულიც ის ყოფი-ლა.აჭარა, დანდალოთ ზეითი, ამას ქონებია, და დანდა-ლს ქჳ̂ჵმოთი აჭარა, ქუთათლის სამწყსო ყოფილა.

წურწყაბელის სამწყსო, ხურძის სახლი სულა. ბოცოთ ხევი ხერთჳს ქჳ̂ჵით მისია.

წყაროსთველის სამწყსო, ზეგითი და იმას ზეით პა-დაკაციო, კოდის სამძღჳ̂რამდინ მტკჳ̂არს აქეთი, აქარ-ტანი.

ერუშნელის სამწყსო, ტოლაშოს ზეითი სულა არტანა, კოდის საზღვრამდინ.

ვალაშკერტელის სამწყსო: ყაზევან ზეითი, ვალშკეთს

აქათ ხინუსი, და დეფაბონის აქეთი.

ანელის სამწყსო, სულა ზარიშტიანი, და შირვიანი, და მალას ბერეთი.

კარელის სამწყსო, სულა გორი, და გოლისა, და ოლოთისის სამძღჳრის გარდმოლმა გგჩევიანი და კადა-ზევანი.

ბანელის სამწყსო, სულ ბანი. ტაოსკარი, ფანასკერ-ტი, პარიზის ხეობა, სულა ოლითისი, ნამურავანი,

დაშნელის სამწყსო, სულა გოლა, და ხორტევანი ყა-რასალზედ მიდგმადი.

ამა ეპისკოპოსთა მაკურთხეველი და უფროსი საქარ-თველოსა და აფხაზეთისა·კათალიკოსია. ამის გელად არის ესე ყოველი.

# გარიბალდის ცხოვრება.

უძღვნი ქაიხოსრო მამაცაშვილს.

კეთილ შობილი გული და ცნობა,
მაღალი გრძნობა კაცთმოყვარების
შენი ნიადაგ ამ გმირთან ჰკრბოდა
სდევდა ყოველგან და ყოველს ადგილს;
მის გამარჯვება და მტერთა ძლევა
შენ ცათამდისინ აღგიტაცებდა,
მის უბედობა და მისი მარცხი
გულსა და ცნობას მთლათ შეგირყევდა...
მისავით გიყვარს შენცა ქვეყანა,
მისავით ჰგოდებ შენც სიმართლისთჳს,
მისავით გწადს. . . . . . . . . . . .
და სიმართლე გაქჳს საგნათ სიცოცხლის..,
. . . . , . . . . . . .
. . . . . ) . . . . . . .
რადგანაც გიყვარს შენ ესე გმირი;
და გიყვარს, ძმაო, სამშობლო ენა
ამისთჳს გიძღვენ ესე ნაშრომი
შენებრ მხურვალე მამულის შჳლმა.

ანტ. ფურცელაძე.

# I

**26** მაისს **1807** წელსა, ნიცცაში (*) იყო დღეობა: ეს პატარა ქალაქი მდებრებს მშვენივრად გაშლილ ზღვის პირას, არის საშინელი ჩუმი და მშვიდობიანი ქვეყანა. მაგრამ ამ დღეს, წინა აღმდეგ ჩვეულებისა ქალაქში იყო დიდი ლხინი და მეჯლიში. ამ დროსა ნიცცა დღესასწაულობდა მეორე წლოვანებასა ნაპოლეონისას იტალიის კოროლობის გვირგვინის კურთხევასა. მაშინ ვინ იფიქრებდა, რომ ამ ნახევარ ფრანცუზულს და ნახევარ იტალიანურს ქალაქში დაიბადებოდა ყმაწვილი, რომელიცა უნდა გამხდარიყო მოთავე იტალიის კეთილ დღეობის დაარსებისა.

ამ დღეს, შუადღის დროს, შორის მრავალთა ნავთა და გონდოლათა, რომელნიც გაჩქარებულნი და თითქო გახარებულნიცა მოცურავდნენ მშვენიერს ნათელ, სპეტაკს, დამშვიდებულს ზღვაზედ, გამოვიდა ერთი პატარა მეთევზის ნავტიკი; ორის მეზღვაურებით იჯდა ნავტიკის პატრონი შუახნის კაცი, იმასა ჰქონდა მზე მოკიდებული სახეზედ რომელიც გამოსთქვამდა გაბედულებას, გულკეთილობას და გულ წრფელობას; ამასთან ნავტიკში იჯდა ყმაწვილი დედაკაცი; იმისი სანახაობა გამოსთქმიდა მწუხარებასა და მოქანცულებასა.

აი, გადავიდა შუადღე და აქამდინ მშვენიერს წმინდა ცაზედ გაირბინა ჯერ ერთმა თეთრმა ღრუბელმა, ამას

(*) ნიცცა არის იტალიაში, — ქალაქია.

მიჰყვა მეორე, რომელიც ამაზედ უფრო მოშაო იყო და ცის კიდეზედა დაიბერნენ ღრუბლები, კაც ეგონებოდა ეს ღრუბლები ზღვიდამ ამოვიდნენო. ჭაერი თანდათან უფრო ჩამოცხა, ქუხილი და ჭექა თანდათან მოახლოვდნენ. უცებ შემოუბერა საშინელმა ქარმა, დაუშვა წვიმა და ის საშინელი ღრუბელი დაეშვა ნიცცას საშინელს ნიაღვრათ.

ამ საშინელს ქარიშხალში, ჭექა ქუხილში და საზარელს ელვაში მიაშურებდა ნაპირისაკენ ის მეთევზის ნავტიკი, რომელიც დილის მშვიდს ჭაერში გამოვიდა ზღვაში, მაგრამ ამ ნავტიკში, გარდა წელანდელთმსხდომთა იყო ერთიც კიდევა ჯუზეპპე გარიბალდი. რომელიც ის იყო დაიბადა ზღვაზედა.

გარიბალდის მამა იყო მართალის პირის კაცი და გაკეთებული მეთევზე. იმას საშინლათ უყვარდა ზღვა. ის ყოველდღე მიდიოდა ზღვაზედა სათევზაოთ; თუმცა **26** მაისსაკი, ამ დღესასწაულში იმას უნდოდა შინ დარჩენა, მაგრამ ცოლი აღარ მოეშვა, რადგანაც ჰგრძნობდა მშობიარობისა მოახლოვებასა და უნდოდა წმინდა ჭაერის შესუნთქვა, რომ შაემაგრებინა მოუძლურებული და მოწყვეტილი ჯანი. მინამ ეს სეირნობა გათავდებოდა იმას ეყოლა ვაჟი და ახლა, ამ საშინელს ავდარში მოეჩქარებოდა შინისაკენ ახლად შობილის ყმაწვილით.

## II

რა გინდა ჭკუიანი კაცი იყვეს და არა სწამდეს არავითარა ცრუ მორწმუნება, მაინც რაღაცა საიდუმლო მოსწავებასა ჰხედავს ამ გვარს ბუნების მოვლინებაში, შესახებ

ახლად შობილის ყმაწვილისა. გარიბალდი დაიბადა იმდღეს, როდესაც იტალია დაუფარავის სიხარულით დღესასწაულობდა მეორე წლოვანებას თავისის ავსტრიის მონებიდამ განთავისუფლებისას, ამიტომა რომ იტალიის სახემწიფოს შეერთებაში ნაპოლეონ ჰხედავდნენ იტალიელნი თავის საბოლოოს შესახებ პოლიტიკურის ერთობისა და თავის ნაციონალურის თავისუფლებისა. ქარიშხალი და საშინელი ზღვის ღელვა, საზარელი ჭექა და ქუხილი, რომელიც დაჰყვა ჯუზეპპე გარიბალდის დაბადებასა და, რომელსაც ის შობიდანვე მიეგება მებრძოლათ, ყოველივე ესე, თითქო მოასწავებდა იმის საბოლავოს, ვინც ასე მოუსვენრად და ისე გმირულათ იბრძოდა იტალიისათჳს საშინელს განსაცდელებში და ვისიც სახელი შეიქნა საშიშარი და გასაგონრათაც საზარელი მტერთათჳს.

პატარა ჯუზეპპე ხშირად გაზდევდა ზღვაზედ თავის მამასა და საშინლათ შეუყვარდა მამასავით ის სტიხია, სადაც თვითონაც დაიბადა. ძალიან ხშირათ მთელის საათებით დადიოდა ჯუზეპპე ზღვის პირასა, ან არა და იჯდა ხოლმე ნავტიკში და დაცურამდა თავის საყვარელს ზღვაში და უნდოდა რომ ატეხილიყო ქარიშხალი და აღელებულიყო ზღვა.. ერთხელ ამ გვარს სეირნობაში ცამეტის წლის გარიბ'ლდის მიეცა შემთხვევა თავის სიმარჯვისა და გულადობის გამოჩენისა: ქარიშხალმა მოასწრო ამის ტოლს ერთს იმის ამხანაგს ზღვაში, რომელიც წავიდა ნავტიკით სასეირნოთ ნიცცისა და ვილიფრანკს შუა. გარიბალდიმ მაშინვე საშინელის შეუზარავის გაბედულობით გასწია ამხანაგის მისაშველებლად და მოარჩინა

დახრჩობისაგან.

თუმცა გარიბალდის მამას არა ჰქონდა დიდი შეძლება, მაგრამ მაინცა ცდილობდა, რომ თავის შვილისათჳს მიეცა შესაფერი სწავლა და ამზადებდა ზღვის სამსახურისათჳს. თუმცა გარიბალდი იყო მალხაზი და ფიცხელი ყმაწვილი, მაგრამ დიდი ნიჭი ეტყობოდა მატემატიკაში და ძალიან გულსაც უდებდა ამ სწავლასა. როდესაც გარიბალდი შესრულდა ცხრას წლისა, ის იუნჯხათ გაიგზავნა ლაშქრათ ზღვაზედა სარდინიის კოროლის ფრეგატზედ (*) «კასტელეტტო»

ზოგიერთი გარიბალდის მებიოგრაფეთაგანი სწერენ, რომ ერთხელ, როდესაც კრეისერობდა (ზვერამდა) ეს ფრეგატი შუამიწის ზღვაზედა «კასტელეტტო» ვერ იყო რიგიანად შემზადებული და თან ერთის მცირე ეკიპაჟის მეტი არა ჰქონდა, ამ დროს შეხვდა ერთ დიდს მოროკოს პირატების (მეკობრეების) ხომალდსა. მეკობრები მაშინვე დაეცნენ კოროლის ფრეგატსა; როგორათაც თავის ლუკმას, რომელიც არ იყო იმედი რომ ხელიდამ წასლოდათ.

როდესაც კაპიტანმა უბრძანა: «ყველანი ზევითო!» მთელი ფრეგატის ეკიპაჟი მოემზადა ძლიერის ომისათჳს პალუბაზედ; მაგრამ გარიბალდი არ იყო იქა და იმისმეტი აღარა ვინ აკლდა, ყველანი იყვნენ მაღლა. ეს საქმე ძალიან გაუკვირდა კაპიტანს ორიჩინანოს, ამიტომა რომ იმას რამდენჯერ გამოეცადნა გარიბალდის საშინელი გულადობა

(*) ფრეგატი ჰქჳან მომცრო საომარს ხომალდსა.

და დაუჯერებელი გამბედაობა.

რადგანაც ბრძოლა მოახლებული იყო და ამ ბრძოლაში არაფერი შემატება და სარგებლობა შეეძლო ცხრაწლის ყმაწვილსა, ამისაგამო კაპიტანმა ტრაჩინანომ, არ უგდო ყური. და გაამზადა საომრათ, რომ არას დროს ცოცხა-ლნი არ დანებდებოდნენ მოროკანელებს, რომელნიც ძალიან დაახლოვებულები იყვნენ კოროლის ფრეგატთანა, ასე რომ უპირებდნენ კავების მოდებასა, რომ გადაჭხტო-მოდნენ პალუბაზედა, ფრეგატი აუცილებელათ უნდა დალუპულიყო, და აღარა ჭქონდა საშველობა, ამიტომ რომ რამდენიც უფრო ჭხედავდნენ მეკობრენი ამ ფრეგა-ტის სიმდიდრესა, იმდენი უფრო მხნევდებოდნენ და ცხარდებოდნენ.

ყოველს მინუტს მაელოდნენ საშინელს სისხლის ღვრასა და ბრძოლასა, რომელიც უნდა გათავებულიყო ან ქრის-ტიანების აღმოხოცვითა და ან ტყვეობითა.

მეკობრების წინამძღოლი, საშინელის შესახედაობისა და საზარელის სანახაობის კაცი, კიდეც აპირებდა თავის ამხანაგების მაგალითის ჩვენებას სარდინიის ფრეგატის პალუბაზედ გადახტომითა, რომ ამ დროს უცებ ფრეგა-ტიდამ გამოვარდა ზარბაზანი, რომელმაც იქვე მტვრათ აქცია მეკობრების წინამძღოლი და დასწყვიტა მისაზიდის კავების თოკი.

მეკობრები შეშინდნენ ამ მოულოდნელის შემთხვევითა და აირივნენ; როდესაც რომ ისევ მოიბრუნეს გული და დამშვიდნენ, კიდევ დააპირეს დაცემა ფრეგატზედ, მაგრა-მა: რაკი ამ ერთს წინა ხიფათს გადურჩნენ სარდინელები,

მიეცათ ცოტა მხნეობა, გაიქცნენ საჩქაროთ, და იმდენი აღარ დააცადეს რომ მეორეთ კიდევ გადმოეგდოთ მოსაზიდი კავები.

რაკი მორჩნენ ამ საშინელს ხიფათსა, ფრეგატის ეკიპაჟმა დაიწყო ლხინი, ჰქონდათ სიხარულისაგან ერთი კიჟინა და კითხულობდნენ თუ ვინ იყო მიზეზი ამათის ამ ხიფათიდამ მორჩენისა? აღმოჩნდა, რომ ამათი მომჩენი იყო ცხრა წლის ყმაწვილი გარიბალდი; რომელმაც ისე მარჯვეთ დაუმიზნა ზარბაზანი და მარჯვეს სროლით მოარჩინა მთელი ფრეგატი განსაცდელსა. მაგრამ ზღვის კანონებით იუნგი უნდა დასჯილიყო სასტიკათ, რადგანაც არ დაემორჩილა კაპიტანის ბრძანებას, რომელსაც იმან უბრძანა მაღლა ასვლა და ისკი დარჩა ძირსა. კაპიტანი ტრაჩინინო იყო გათქმული თავისის სასტიკის კანონების აღსრულებით და ამისგამო აღარ იყო იმედი, რომ გარიბალდის შეელებოდა რამე; მაგრამ ყმაწვილი ყურსაც არ იბერტყდა. კაპიტანმა მაშინვე გარიბალდი მოითხოვა თავისთანა.

—არამზადავ! უთხრა მრისხანედ გარიბალდის: შენ უნდა სასტიკათ დაისაჯო შენის თავხედობისათვს; მე-არ მინდა, რომ შენ ჩემგნითვე დაისაჯო, რადგანაც შენ იყავ მიზეზი ჩვენის მორჩენისა, და ამისათვს უფრო, უნდა მოვახსენო მე კოროლსა, შენზედა, როდესაც ჩვენ დავბრუნდებით შინა. დეე იმან დაგინიშნოს სასჯელი; და მანამდინკი უნდა დატუსაღებული იყვე.

მართლათაც, როდესაც ხომალდი მოვიდა საბონაში, ურჩს იუნგზედ დანიშნეს ვოენი სუდი, რომელმაც გაამტყუნა ის ზღვის დისციპლინის დარღვევაში, მტრის

დასხმის დროს და. რადგანაც ზღვის დებულებები სასტიკენი არიან, ამის გამო ამ დებულების ძალით გადასწყჳტეს, რომ გარიბალდი უნდა დასჯილიყო სასტიკად: ტიტველა ტანზედ ცემით. სუდის გადაწყვეტილება წარუდგინეს კოროლსა; კოროლმა, რაკი გაშინჯა ეს გადაწყვეტილობა და ყოველივე ამ საქმის მდგომარეობა, აგრეთვე შეიტყო რომ დამნაშავე, ყმაწვილი იყო, ძალიან ნიჭიერი საფლოტო სამსახურში და ჰქონდა კიდეცა გამოცდილება ზღჳს ქცეობაში და სცნა ესეცა, რომ ფრეგატი «კონსტელაციო» იყო მორჩენილი გარიბალდის უშიშრობითა და სიმარჯვითა —არამთუ არ შეიწყნარა სუდის გარდაწყვეტილობა და პირ იქით, ჯილდოსავით გარიბალდის მარჯჳე სროლისათჳს, უბძანა მიღება ნიცცის სამხედრო სკოლაში, რომ იქ მომზადებულიყო აფიცრათ საკოროლო სამსახურისათჳს.

ჯუზეპპე გარიბალდიმ გამოიჩინა ამ სასწავლებელში ყოველს ფერში ნიჭი და გონება. ამან ძალიან მალე დაასრულა სასწავლებელი და ისე სულ მთლად ყმაწვილი იყო, რომ შევიდა ზღჳს საკოროლო სამსახურში აფიცრათ. გარიბალდი აქ ორი წელიწადი იყო და მერე გადავიდა სავაჭრო ფლოტის სამსახურში. ამ სამსახურში ამას მოუხდა მრავალი ქჳეყნების ნახვა და ბევრი მგზავრობა. ამ მოგზაურობის დროს, როდესაც ამათი ხომალდი იდგა ჩივიტოვეკში, გარიბალდის მოუხჳდა რომში წასვლა. როდესაც ამანა ნახა რომი თავის დაცემულს დიდებაში და ეჩჳენენ იმის თვალის წინაშე, იმის ძველის დიდებისა და სიმაღლისა, მაშინ ამის გულ-

ში გამოიღვიძა რაღაცა ძლიერმა მტანჯავმა გრძნობამ. უწინდელმა იტალიის დიდებამ და ახლანდელმა იმისმა სამწუხარო მდგომარეობამ აუნთეს გარიბალდის ფიცხელი ალი გულში. აგრეთვე საბერძნეთის ნახვამ იმ დროს, როდესაც საბერძნეთი დღესასწაულობდა თავის ოსმალებისაგან განთავისუფლებასა, არ დარჩა გარიბალდის გულში შეუნიშნავათ. ეს შემთხვევანიც რომ დაუმატოთ გარიბალდის გრძნობაებს, რომელსაც სხვის უსამართლობა ისე სტანჯავდა თითქო თვითონ ამას დისდგომია უსამართლობაო, მაშინ ჩვენ ადვლათ გვცნობო, თუ რა რიგათ აწუხებდა ამას მაშინდელი იტალიის სამწუხარო მდგომარეობა. იმის წიგნები და იმისი ლექსები მაშინდელ დროში დაწერილები, რომ კაცმა წაიკითხოს, იქიდამ სცნობს იმის სულის და გულის მდგომარეობასა და მის აზრებსა შესახებ იტალიის ხალხის თავისუფლებისა.

თუმცა ასეთის ძლიერის გრძნობაებით იყო მორჯული, მაგრამ ოცდა ექჳს წლამდის იმისი ცხოვრება იყო თჳთქმის ერთ რიგს მდგომარეობაში. ის ადგა თავის სამსახურს გულით და გაითქჳა, როგორათაც დახელოვნებული მეზღვე (**Морякъ**). ხოლოთ დროებითკი დასცხრა გარიბალდი მოგზაურობიდამ. აი რა იყო მიზეზი ამის უსაქმურებისა:

გარიბალდი გახდა ერთხელ ავათ სტამბოლში; ეს ავათ მყოფი მიიღო თავის სახლში ერთმა მამულიდამ გამოგდებულმა იტალიანელმა და ჩააბარა თავის ცოლშვილს მოსავლელათ, რომელთაც არ დაიშურეს არა ვი-

თარი ყურადღება გარიბალდის მორჩენისათჳს. როდესაც გარიბალდი შეიქნა თანდათან უკეთა, აღარ უნდოდა რომ შეეწუხებინა თავის შეწყნარებელი ოჯახი ამიტომა, რომ თითონ ისინიც ნაკლებათ იყვნენ ქონებაზედა, და ამის გამო გარიბალდიმ აიყვანა რამდენიმე მოსწავლე, რომელთაც ასწავლიდა წერასა, ფრანციცულსა და იტალიანურსა ენებსა. გარიბალდი მინამ არ წავიდა სტამბოლიდამ, მანამ იმდენი ფული არ აიღო სწავლაში, რომა ყოფნოდა ამ დანახარჯსა, რაც იმის ავათმყოფობაზედ მოუვიდა იმის მომვლელს მეგობარსა, და როდესაც ესენი სულ გადაიხადა, მაშინ ძლივას წავიდა სტამბოლიდამ და ჩადგა ისევ ძველს საქმეში.

## III

ფრანციაში მკათათის რევოლიუციამ მოახდინა საშინელი მოძრაობა მთელს ევროპაში და უნამეტნავესად იტალიაში. ყოველგან შეიქნა ჩოჩქოლი და ლაპარაკი უსამართლობასა და მძლავრობაზედ; რასაკვირველია რომ ეს კეთილშობილური აღრეულება არ დარჩა გარიბალდის გულშიც უმოქმედოთ. ამისმა ძლიერმა ლაპარაკმა, სასარგებლოთ რესპუბლიკისა (*) ჩააგდო გარიბალდი სარდინიის მთავრობის იჭვს ქვეშ და—უნდა ვსთქვა, რომ

(*) რესპუბლიკა არის სადაც თჳთონ ხალხი უვლის თავის სახელმწიფოს და სადაც მეფე ანუ განსაკუთრებით მფლობელი არ არის.

ამ იჭვებში მთავრობა არა სცდებოდა.

**1834** წელსა ის გაერია მაცცინის თანამომხრეს საზოგადოებაში, რომელსაც ერქვა «ახალი იტალია»; ამ საზოგადოებას უნდოდა გადაეგდო მაშინდელი მთავრობა და დაწყობილობა პიემონტისა. გარიბალდი იყო გატაცებული თავისის გულის სიმხურვალითა და გაერია იმ ოთხასს კაცში, რომელთაც უძღოდა რამორინო და დაესწრა პიემონტის სამძღვრების დაცემაზედა, სადაც, რასაკვირველია, დამარცხდა რამორინო თავისის ოთხასის კაცით ეს ერთი ბეწვა. შეიარაღებული გამბედავი შეთქმული მეომარნი, პირველსავე შეხვედრაზედ კოროლის დიდძალს ჯარებთან, დამარცხდნენ და დაიფანტნენ. გარიბალდის დაუწყო სარდინის პოლიციამ სულით ძებნა და ამის გამო გარიბალდი გაპარდა იტალიიდამ. ჭენუიდამ გაიქცა ნიცცაში, და იქიდამ გაიპარა საშინელის გაუვალის ბილიკებითა და ტყეღრეებითა საფრანგეთში. ეს მოარჩინა ერთმა იმისმა მეგობარმა ჭომიემ, რომელმაც ჯერ დიდს ხანს დაჭფარა თავის სახლში და მისცა ერთმა თავისმ მეფერმემ ტანისამოსი და მერე ჩუმათ გააპარა მთებში, სადაც საშიშარი აღარა იყორა; იქიდამ გავიდა გარიბალდი ფრანციაში მშვიდობითა.

გარიბალდიმ, რაკი საფრანგეთს მიაწია იქ მარსელი აარჩია თავის სამყოფათა; აქ დაიმშვიდა ცოტა გული საპოლიტიკო აზრებისაგანა და დაუდო გულისყური სამათემატიკო სწავლასა და კითხულობდა ბევრს წიგნებსა. შემდგომ, როგორათაც გამოცდილი მეზღვე შევიდა სამსახურში ერთს სავაჭრო ფლოტში, მაგრამ დიდს ხანს

ვერ დარჩა გარიბალდი ამ სამსახურში, ამიტომა რომ ზემო იტალიაში მოხდა არეულობა და აუშალნენ იტალიელნი ავსტრიელებს: გარიბალდიმ მაშინვე დაანება თავი იქ სამსახურსა და გაეშურა თავის საყვარელს იტალიაში მისაშველებლათ.

გარიბალდიმ შეჰკრიბა ცოტაოდენი რიცხვი თავის ძველ ამხანაგთაგანნი და დაუწყო ამითი პარტიზანული(*) ომები ძლიერს იმპერატორის ჯარებსა. ამ ცოტა ხალხითა ამ გვარის ომებით გარიბალდიმ მრავალგან დაამარცხა ავსტრიის ჯარები, რომელნიცა ამის ჯარებზედ ერთი ათათ, ერთი ოცათ მეტნი იყვნენ ხოლმე მაგრამ გარიბალდი ძალიან შეაიწროვა ამ დიდ ძალმა თითქმის უთვალავმა ჯარმა და დასძალეს გარიბალდი. რაც გარიბალდის მეომრები ჰყვანდა, თითქმის ყველანი დაიხოცნენ უთანასწორო ომში საშინელის ვაჟკაცურის სიკვდილითა და ვინც ცოცხალი გადარჩა ისინიც დაჭრილები იყვნენ; მაგრამ განგებამ დაიფარა გარიბალდი, თუმცა ის ისე საშინლად გადაერეოდა ხოლმე შიგ შუაგულს მტრის ჯარებში და ეგრეთვე უშიშრათ მიუშვერდა ხოლმე გულს სეტყვასავით მომავალს თოფისა და ზარბაზნის ტყვიასა. ავსტრიელებმა რაკი დასძალეს გარიბალდის დრუჟინა დაუწყეს დევნა, ეძებდნენ როგორათაც ველურს მხეცსა და იმისი თავი დააფასეს ძვირათ.

---

(*) პარტიზონებს ეტყვიან, რომელნიცა გამოცხადებით არა ომობენ და ისე დაეცემიან ხოლმე ყოველს შემთხვევაში.

გარიბალდი გაჰვარდა შავს მთებში. ევროპა ინდოეთს და ამერიკის ქვიშოვანებს უფრო იცნობს ამ მხარისაგანა; ძვირათ, რომ აქ მგზავრი ვინმე მოვიდეს ევროპიიდამა. მსწავლული მოგზაურნი, რომელნიც ისე ნიადაგ დადიან შვეიცარიის მთებში და სიამოვნებით შინჯამენ იქაურის მთების სანახაობასა, ამას არა ჰფიქრობენ, რომ ამავე შვეიცარიის მახლობლათ არის ალაგები, რომელნიც ერთი ათათ უფრო მშვენიერნი არიან და თვალთათჳს უფრო მარგი სანახავები. რასაცკი ხუდოჟნიკი მოიაზრებს და წარმოიდგენს თვალთათჳს გასაოცარსა და გონების მისატაცებელს უდიდებულესის თეატრის დეკარაციისათჳს, აქ ყოველივე ეს მხატრობა არის თჳთ ბუნებისაგან გამოხატული.

. . . . . . . . . . . . . . .

. . . . . . . . . . . . . . .

ამ პოეზიურმა მხატრობაებმა იმოქმედეს განდევნილს გარიბალდის გულზედ ცხოვლათ: ერთი ის მხრივ მისატაცებელმა ბუნების მშვენებამ დაამშვიდეს გარიბალდის გული, მეორეს მხრივ მთების შესაზარებმა სანახაობამ და სასტიკმა შესახედაობამ უფრო შთანერგეს გარიბალდის გულში მიუდრეკავი გულოვნება და გამბედაობა.

## IV

ამ დროს, რომელსაც ჩუენ ვსწერთ, გარიბალდი იყო დიახ მშვენიერი ყმაწვილი კაცი: პირის სახე ჰქონდა ვაჟკაცური და სწორე გაწყობილი; შესახედაობა ჰქონდა

მშვიდობიანი და გამბედავი; გარდა ამისა ის იყო საშინელი ღონიერი და გასაოცებელი მარდი და მარჯვე. ლუიზა გეთე სწერს, რომ გარიბალდის თავს გადასავლები ამდროებსაებში უნდა კაცმა სულ მთვარის შუქზედ იკითხოს, როგორათაც უწინდელს დროში ქროელიფის რომანებს კითხულობდნენო.

შავს მთებში რომ მივიდა, გარიბალდიმ შეიტყო მალე თავის მამის სიკვდილი, რომელმაც, სიკვდილის დროს, ჩააბარა თავის მამულიდამ გაგდებული შვილი ერთს თავის მოხუცებულს ნათესავს, რომელიც იყო სოფლის მღუდელი. ამ ღვდლის ღარიბს სახლში გარიბალდიმ გაატარა მალვით რამდენიმე ხანი და ერთობოდა ხან ნადირობაში და ხან ლაპარაკის შექცევითა თავის სარწმუნო მეგობრებთანა. აქა დიდს ხანსა ჰფიქრობდა ხოლმე გარიბალდი თავის სამშობლო ქვეყნის უბედურებაზედ და დაღვრიდა ხოლმე ბევრს ცრემლს იმის სამწუხარო ხვედრისათჳს.

ერთხელ ეს მოხუცებული ღვდელი გახდა ძალიან ავადა და რაკი დაატყო რომ სიკუდილი მოახლოებოდა, დაიბარა გარიბალდი და უთხრა:

—საყვარელო შვილო! მე ძალიან სამწუხაროთ მაქვს, რომ უნდა მოგიშალო ეგ შენი საყვარელი ფიქრები; მაგრამ მე ვატყობ, რომ სიკვდილი დამახლოებია. შენ კარგათ იცი, მე არა მაქვსრა რომ დაგიგდო შენ სიკვდილის შემდგომ სამკვიდროთა და ამის გამო უნდა მოგცე მე მეგობრული რჩევა: შენ უნდა დაავდო ეს მხარე, თორემ შენ როგორათაც მამულიდამ განდევნილს,

კეთილი არა მოგელის რა აქა და მერწმუნე, რომ მოვა ის დღეცა, როდესაც შენ საჭირო დაგამოსადეგი იქნები შენის ქუჱყნისა და მამულისათჳს, მაშინ დაბრუნდი და მიეპატრონე შენს სამშობლო ქუჱყანასა. მშვიდობით! იყავ მხნე და ნუ გაიტეხ გულსა.»

როგორც რომ გაათავა ეს სიტყვები მოხუცებულმა, მაშინვე მიიცვალა; გარიბალდი ძალიან შეწუხდა ამის სიკვდილითა. შეძლების დაგვარათ პატივით დამარხა ეს თავის შემწყნარებელი ღჳთის ნიერი ადამიანი; მაგრამ ამისი რჩევაკი არ შეასრულა და დარჩა ისევ შავ მთებში, რადგანაც იტალიაზედ ახლო იყო და ელოდა მარჯვე შემთხვევას, რომ მიშველებოდა და შეეწირა თავი სანატრელის მამულისათჳს.

რაკი ღვდელი მოჰკვდა, გარიბალდის არა ჰქონდა სრულებით რჩენის სავანე, და ამის გამო გარიბალდი დაუდგა შინაურ მასწავლებლად გრაფ რამსბერგსა, რომელიცა იდგა თავის ძველ ციხე-დარბაზში. ეს ციხე დარბაზი იყო შავი მთების შუა გულში.

ამ გრაფსა ვაჟისა გარდა, რომელსაც ასწავლიდა გარიბალდი, ერთი ქალიცა ჰყვანდა.

ამ ქალს ერქვ სახელად მარგარიტა.

მარგარიტასა ჰქონდა მშვენიერი პირის სახე, მშვიდობიანი და ჩაფიქრებული შესახედაობა; მის ჭიაფრის ფერს ტუჩებზედა გამოჰკრთოდა ტკბილი და ნაზი ღიმილი, და იმისი მშვენიერი ქერა ხუჭუჭი თმა უფრო აჩრდილებდნენ და სითეთრეს აძლევდნენ იმის პირის სახესა. ლურწამი ტანი და ყარყატის მიმოხრევა აძლევ-

დნენ სისრულესა ამ ყმაწვილი ქალის მომტაცებელს მშვენებასა.

გარიბალდი და ეს გრაფის ქალი შეხვდებოდნენ ხოლმე ერთმანერთს ყოველდღე დაუბრკოლებრივ; ამ ყმაწვილს ქალ კაცს, რაღა კითხვა უნდა რომ, შეუყვარდათ ერთმანერთი. სიყმაწვილეში ყოველს კაცს გრძნობა გახსნილი აქვს და ამის გამო ამათ მალე გამოუცხადეს ერთმანერთს სიყვარული.

როგორც რომ დაეშვებოდა მზე და მოეფარებოდა მაღალს აწოდებულს მთებსა შემდგომ ცხელის ზაფხულის დღისა, გარიბალდი და მარგარიტა მაშინათვე მარტოკანი გასწევდნენ სასეირნოთ; ამათი გახურებული და ლმობიერი ლაპარაკი შესწყდებოდა ხოლმე ან წიგნების კითხვითა, ან იმ სიჩუმითა, რომელიც უფრო ტკბილ-საგრძნობელია ყოველს ლაპარაკზედა; იმ სიჩუმითა, რომლესაც კაცი ერთის შეხედვით და ერთის ხელის მოჭერით წარმოსთქვამს ყოველს. თავის გულის გრძნობაებსა.

ერთმანეთის სიყვარული თა ნდა თან უფრო და უფრო უცხოველდებოდათ ამ ახალ გაზდა მასწავლებელსა და ახალგაზდა გრაფის ქალს. გრაფი ქვრივი იყო და ამისგამო ქალს არა ვინა ჰყვანდა იმისთანა, რომ მაგრა დაეჭირა ხელში და თჳთონ გრაფიკი ვერას დროს ვერ იფიქრებდა, რომ შესაძლებელი ყოფილიყვეს მდიდარი გრაფის ქალისაგან შეყვარება ერთი ვიღაცა გადმოვარდნილის და დაკარგულის ღარიბის კაცისა.

ერთხელ გრაფი უცებ დაბრუნდა ნადირობიდამა და მოასწრო გარიბალდისა და თავის ქალს ერთმანერთთანა.

გარიბალდი უჯდა ქალს ფეხთითა და თავი ედო იმის კალთაში, ქალს ერთი ხელი ედო გარიბალდის ლოყა-ზედა და მეორე ხელით ეჭირა ყმაწვილის კაცის ხელი.

თუმცა გრაფი ასე უდროვო დროს მოუსწრო ამათ, მაგრამ ბედნიერი გარიბალდი არ შეკრთა და მარჯვეთ შეუძლო გრაფის მრისხანე შეხედვასა.

—შე უმსგავსო არამზადავ! დაიყვირა გრაფმა და მია-დგა ზედა გარიბალდისა:—მე გაგაგდებ ჩემის სახლიდამ ამ წკეპლით როგორათაც ერთს უგანასკნელს მოსამსა-ხურესა!

ეს სიტყვები როგორც, რომ გათავა გრაფმა და გაა-რტყა წკეპლა პირის სახეში.

მივარდა გარიბალდი, როგორათაც დაჭრილი ლომი გრაფს, წაიძრო ხანჯალი, რომელსაც არას დროს არ მოიშორებდა ხოლმე და უპირობდა მოკვლასა. მარგარი-ტა დაეცა მუხლებზედა მამისა და საყვარელს შუა და ეხვეწებოდა გარიბალდის, რომ არ მოეკლა იმისი მამა.

რაკი გარიბალდიმ დაინახა მარგარიტა საშინელი ფერწა-სული და შეშინებული, რომელიც ეხვეწებოდა გარიბალ-დის გრაფის შებრალებასა, მაშინვე გასტყორცნა შორს ხანჯალი; ტუჩები უთრთოდნენ საშინლათ და გამოსთ-ქჳამდნენ გრაფზედ ზიზღსა; მერე მიუბრუნდა გრაფსა დაუთხრა:

—რადგანაც თქჳენ მე გამარტყით პირის სახეში. ამისგამო უთუოთ უნდა თქჳენი ქალი მომცეთ... თქჳენ უნდა მოუტეოთ ამას თავისი დანაშაული, ამიტომა რომ ამან გადაგარჩინათ ჩემის ხელიდამ სიკვდილსა.

რამდენსამე ხანს უკან მე დავბრუნდები მაგის შესართა-ვათ; და მაშინ ვნახამ როგორლაც არ დამანებებთ მე მაგასა. მშვიდობით, ნახვამდინ გრაფო!

ამ სიტყვებით ის მივარდა მარგარიტასა, გადაეხვია, აკოცა და წავიდა შავს მთებში.

## V

გავიდა ერთი თვე.

ამ ხნის განმავალობაში, არც გრაფს და არც იმის ქალს არა უთქვამთ რა იმ მოულოდნელს შემთხვევაზედ, რომელიც გადახდათ ამ სამს მომქმედს პირსა. გრაფი, იჩენდა დამშვიდებულს სახესა, თუმცა დაღვრემილი იყო და ჩუმობდა. ოდნავ რომ გაეშრიალებინა რასმე, ის შეკრთებოდა ხოლმე შიშისაგანა: თუ ანფურცელი დაეცემოდა იმის ფეხწინ, ან წვიმა მოხვდებოდა იმის ფანჯრის მინებსა. გრაფი დაიწყებდა საცოდავათ თრთოლასა და კანკალსა. იმას არ ავიწყდებოდა უკანასკნელი შეხედვა გარიბალდისა და მუქარა, რომელიც წამოსთქვა გამოსალმების დროს გაუპატიურებულმა ყმაწვილმა კაცმა. საწყალი მარგარიტაც არ იყო მოსვენებული: მთელი დღე ელოდა გარიბალდისა მთელი დღე მალვით სტიროდა მდუღარე ცრემლით.

რა გარიბალდი წავიდა, ის ყოველდღე თანდათან ჰკარგავდა ფერსა, გული თანდათან ეკრუნჩხებოდა და მძიმეთა სუნთქამდა შეიწროებული დარდისა და ვარმისაგან. მარტოთ მარტო და მალვით წავიდოდა ხოლმე ის იმ

ალაგების სანახავათ, სადაც ის ატარებდა იმ დაუბრუნებელს და ბედნიერს დროსა თავის საყვარელს გარიბალდისთან.

საწყალს მარგარიტას ენანებოდა თავისი მამა, და მამა სწუხდა შვილისათვს, რაკი ჰხედავდა, რომ ის თანდათან უფრო და უფრო დნებოდა, მაგრამ ორნივენი ჰფარავდნენ ერთმანერთისაგან თავის მწუხარებასა.

მოვიდა შემოდგომა და დასდგნენ საშინელი ბნელი საღამოები. გრაფი და მარგარიტა ისხდნენ ჩუმათ ანთებულს ბუხართან. ოთახში იყო საშინელი სიჩუმე და ხოლოდ ქარს მოჰქონდა საშინელი ღრიანცელი ზღვის ღელვისა და ანძრევდა ხეებსა, რომელთაც გაჰქონდათ ჭრაჭუნი თავისის ტოტებით.

გრაფი უცებ წამოხტა კრესლოდამ.

—მარგარიტავ, ჰკითხა შეწუხებულის სახით გრაფმა თავის ქალს:—შენ არა გაიგონერა?

მარგარიტამ, თითქო უცებ გამოიღვიძა ღრმა ძილიდამ, ისე წამოხტა კრესლოდამ.

—არა ისმისრა, სთქვა იმან და დაუწყო უფრო ყურის გდება:—ქარის ყმუილია საშინელი და წვიმის ჩქეფის ხმა, რომელიც ფანჯრებსა ჰხვდება.

—ღმერთო! ღმერთო ჩემო! სთქვა გრაფმა და გაცივებული ერთი ხელი მიიდო გულზედ და მეორეთი დაეყუდა მარმარილოს ბუხარსა.

ამ დროს მარგარიტა შეხტა და თითქო რომ არ ერწმუნებოდა თავის თვალებსა და ხელით გადიწია შუბლზედ ჩამოშლილი თმა.

—ახ, ეს ის არის! დაიძახა ქალმა.

—რაო! რას ამბობ? ჰკითხა გრაფმა და სახეკი საშინლათ დაეღრიცა.

ამ დროს შემოისმა გარედამ ხმა ყვირილისა, რომ ცეცხლი მოგვიკიდეს ცეცხლიო! და შეიქნა საშინელი ალიაქოთი კიბეებსა და კარიდორებში.

ამ არეულებასა და ალიაქოთში კარები იმ ზალისა, სადაც ისხდნენ გრაფი და იმის ქალი გააღო და შემოვიდა ერთი კაცი ნაბდის შლაპით და იტალიის ნაციონალურის ფერებიდამ წითელის, თეთრის და მწვანით შესდგენილის სარტყლით: იმის მზისგან დამწვარს და გამხდარს სახეს ადგა გაცხოველებულის ალის შუქი.

მარგარიტამ დაიყვირა და მოეხვია ყელზედა.

—წავიდეთ, წ·ვიდეთ! უთხრა იმას გარ.ბალდიმ; ახლავე შეგვიძლიან ჩვენა, რომ გავმგზავრდეთ; მე გავსწმინდე ჩემი უპატიურება ცეცხლითა, ცეცხლი ყველა ლაქს გასწმენდავს ხოლმე; და იმ სახლისა, სადაც მე მომადგა უპატიურება, ნატამალიც აღარ დარჩება.

გრაფი თავის ჭკუაში არ ანებებდა გარიბალდის თავის ქალს, მაგრამ გარიბალდიმა ჰკრა მაგიერათ მუჯლუგუნი გულში გრაფსა და თითქმის გონება მიხდილი მარგარიტა აიყვანა ხელში და ისე ჩაიტანა კიბეზედა. აქ ელოდა ორი კაცი საკაცეებითა.

—აბა, თქვენი ჭირიმეთ, უთხრა იმათ გარიბალდიმ: გაეშურეთ რაც შეგეძლოთ მთებისკენა, რა ჩასვა მარგარიტა საკაცეში.

გარიბალდის, იმის ორს ამხანგს და მარგარიტას დიდს

ხანს ადგათ მოკიდებულის სახლების შუქი და მერე სრუ-ლებით დაიმალნენ სიბნელეში.

რომანიული თავის გადასავალები გარიბალდისა ამითი არ გათავდა შავს მთებში. აი კიდევ რა მოხდა შემდგომში:

გრაფმა დასტოვა ნიადაგამდის გადაბუგული თავისი ციხე-დარბაზი, და დასახლდა სხვა ციხედარბაზში, რომელიცა მდებარებდა იქვე მახლობლად.

გრაფის გადასახლებიდამ ახალს სამყოფში არ გავიდა ორიოდ სამი დღე, რომ ერთიც ვნახოთ მოიჭრა იმისი ქალი, თავი გადაგლეჯილი, საშინელი გამხდარი, ფერ წასული და დაჭმუნვებული. გრაფმა უსარგებლოთ ბევრი ეძება თავისი ქალის მომტაცებელი, მაგრამ ყოველივე იმის მეცადინეობა დარჩა ამაოთ და საცოდავი გრაფი იყო იმედ გადაწყვეტილი რომ თავის დღეში ველარ ეღირსებოდა თავის საყვარელი ქალის ნახვასა. რავი ეხლა უცებ დაინახა უიმედო გრაფმა თავისი ქალი, დაავიწყდა ყოველი წასული საქმე და სიხარულით ჩაიხუტა გულში თავის სანატრელი ქალი.

—მარგარიტავ! ჩემო სიცოცხლევ და ჩემო სულის ჩამდგმელო, მარგარიტავ! იძახდა გრაფი გახარებულის მოწყვეტილის ხმით:—მითხარ ჩემო სიცოცხლევ, როგორ გადურჩი შენ იმ ლოთის რისხვა მოვლინებასს.

—მამავჯან, ჩემო საყვარელო მამავ, უპასუხა მარგარი-ტამ:—მე არ მოვრჩენივარ იმასს და ვერც მოვრჩები, თუ მე იმასთან არა ვარ და იმას ყოველ მუდამ ჩემთან არ ვიგულებ მე ერთი საათის სიცოცხლეც არ შემიძლიან; მე უნდა შევეყარო იმას ან დღეს ან ხვალა. მე ეხლა

იმიტომ მოვედი თქჳენთანა, რომ დავეცე თქჳენ ფეხ წინ და ისე მოგამლევინოთ შეჩვენება, რომელიცა თქჳენ დაგვადევნეთ ჩჳენი გაქცევის დროს.

გრაფი გაჩუმდა და შეაქცია ზურგი თავის ქალსა. მარგარიტამ დაუჩოქა.

— მე ის მიყვარს ჩემს სიცოცხლეზედ მომეტებულადა, ლუღლუღებდა გაუგებრივ მარგარიტა: და დავიჯერო არ შეიბრალებთ თქჳენს საყვარელს და საცოდავს ქალსა?

— საწყალო! სთქვა ძლივს გრაფმა მძიმის ოხვრით და მოხვია მარგარიტას თავზედ ორივ ხელები.

— თქჳენ უნდა აღმითქვათ, ეხვეწებოდა საბრალოს ხმით მარგარიტა: — უნდა აღმითქვათ, რომ თქჳენ დაანებებთ თავს ჩემს მომტაცებელსა: თორემ იმის დევნასა ცუდი საბოლავო მოაქს ყველასთჳს. — მე, დაუმატა ქალმა, რა ცოტათი გაიმაგრა გული, — მე არა ვარ იმის საყვარელი და არცა ვყოფილვარ. მე ვარ იმისი კანონიერი, გვირგვინ ნაკურთხი ცოლი.

— ვისა, შენა! შეჰყვირა გრაფმა გაოცებითა: — შენა, ჩემი მარგარიტა! შენა ხარ ცოლი გავარდნილის ავაზაკისა, და სხვის ქონების დამწველისა? ვინ იყო ის ღჳდელი, რომელმაც თქჳენ აგრე უკანონოთ დაგწერათ ჯვარი? იქნება გეგონოს რომ მე დავიჯერებდე მაგასა?- განავრცელებდა გრაფი და იქნევდა დაუჯერებით თავსა: არა! ეგ შეუძლებელია! მე უთუოთ სიზმარში ვარ!

— დიახ. მამა ჩემო! გააწყვეტინა საჩქაროთ მარგარიტამ: — ეგ სწორეთ სიზმარია, მაგრამ იმისთანა სიზმარია, რომლიდამაც თავის დღეში აღარ გამოვფხიზლდებით! ეგ

იმისთანა სიზმარია, რომელიც ცხადლივ ახდება ხოლმე. ჩვენ გვიკურთხა გვირგვინი ღვდელმა და მე იმ კურთხევასა და ლოცვაში მესმოდა ეს სასიხარულო და სანატრელი სიტყვები: იცხოვრეთ, იტანჯეთ და დაიხოცენით ერთათ! ჩვენის დაგვირგვინების მოწამენი იყვნენ, ლაპარაკობდა მარგარიტა: — ორი ჩუმ-მყოფი მთის კაცი, რომელნიც იდგნენ კარის შესავალთან შეუძრავათ; და როდესაც ღვდელმა მიიშვირა ხელი ჯუზეპპეზედ და მკითხა: მსურს მე იმის ცოლობა თუ არა, მე ბეჯითათ და სიხარულით მივაძახე, მსურს! და ესეც დაუმატე, რომ მე უმაგისოთ ერთის საათისაც ვერ ვიცოცხლებ და ვერც სიკვდილამდის დავშორდები მეთქი. მასუკან ღვდელი გავიდა, გააქრო სამთლები და მე ახლაა მახსოვს ხოლოთ, რომ გარიბალდიმ თითქმის უგონო გამომიყვანა საყდრიდამ.

— ვაი ჩემს თავსა! სთქვა გრაფმა „საშინელის შეწუხებულის ხმით და დაეშვა უღონოთ კრესლაში. ..

# VI

მეორე დღეს, დილით ადრე, ერთი ვიღაც კაცი მოვიდა გრაფის ციხე-დარბაზთან და მოიყვანა შავი ცხენი სადავითა. მარგარიტამ დაიწყო მაშინვე მზადება წასასვლელათ. დაუწყო საწყალს გრაფს გულმა ღონება და დაიჩოქა თავის ქალის წინ.

— ნუ წახვალ ჩემო სულის ჩამბრუნებელო მარგარიტავ, ეხვეწებოდა ის თავის ქალსა და სიყვარულით უმზერდა პელზედ პელსა: — დარჩი ჩემო სიცოცხლევ, ჩე-

მო გონებავ, საყვარელო შვილო, უწინ აგი ამბობდი ხოლ-მე, რომ რაც უნდა იყვეს მე შენ თავს არ დაგანებებდე და ახლა რაღამ შეგიცვალა გული... მასწავლე თუ როგორ შეგეხვეწო, და რა ხვეწნა უფრო მოუდგება შენს გულსა; მასწავლე რა უნდა ვქნა, რომ შენ მე არ გამიშვა და დარჩე ჩემთანა? დავიჯერო შენ ჩემი სიყვარული გინდა? რა ნახე შენ ბოროტსა და უგვანს კაცში? თუ იმას ისევ ახსოვს ის უპატიურება, რომელიც მე მივაყენე და არ მობრუნებია ჩემზედ კიდევ გული, მითხარი და რასაც მეტყვი იმას ვიზამ, გინდა დაუჩოქებ წინა და ისე შევევედრები, რომ მომიტევოს და ნუ დამღუპავს საუკუნოთ და ნუ წამართმევს ჩემს სიცოცხლეს, ჩემს სულის ჩამდგმელს, ჩემი თვალის ჩინს, ჩემს მარგარიტასა.

— ოხ, მამა ჩემო! წამოსთქვა მარგარიტამ თვალებ ცრემლებისაგან ამღვრეულმა და თითონ იყო ისე გაფითრებული, როგორათაც მარმარილოს ქანდაკი:— ოხ, ნეტამც შემეძლოს ჩემი გულის ამოგლეჯა და გადაგდება, რომ ეხლა ამ მდგომარეობაში არ დავსტოვო მე მამა ჩემი; მაგრამ რა ვქნა? ეს წყეული გული ანდამატივით მიმიზიდავს იმისაკენ. რომლისაც ახოვნება, კეთილშობილება და გმირობა სიზმარშიაცკი მდევნიან...

ამ სიტყვებით ის მოეხვია მამას მაგრა და გამოვარდა საჩქაროთ ოთახიდამა. როგორც რომ გამოვიდა მარგარიტა სახლიდამა, იმ უცხო კაცმა, რომელსაც ეჭირა ცხენი სადავითა, დაიჩოქა ცალს მუხლზედ, როგორათაც იჩოქებოდნენ ხოლმე შუა საუკუნეში მეჯინიბე

ბი კოროლის ცოლების ცხენებზედ შეასხმელათ; მარგარიტამ დაადგა ერთი ფეხი მიშვერილს მუხლსა, იმან საჩქაროდ შესვა უნაგირზედ, მოჰკიდა ცხენს სადავეში ჴელი და წაიყვანა შავი მთებისკენ.

მარგარიტამ არ დაჰგდო უნუგეშოთ მამა და ხან და ხან ნახამდა ხოლმე როდესაცკი შეეძლო. საწყალმა მამამ სულითა და გულით მიუტევა იმას თავისი დანაშაული, მაგრამ მაინც კიდევა სწუხდა თავის ქალის ხვედრსა.

გარიბალდის სიყვარული სრულებით არას უშლიდა თავის საქმის წარმოებაზედ. გარიბალდიმ, რაკი ცეცხლით გადაბუგა გრაფი რასბერგის ციხე-დარბაზი, ამის შემდგომ დაუწყო ავსტრიელებს მთიდამ ბრძოლა. კროატის ჯარები ჯერ მარჯვეთ და მხნედ სდევნიდნენ გარიბალდსა, მაგრამ შემდგომ რაკი ერთი ორჯერედ შეეჯახნენ გარიბალდსა და სწვნიეს გარიბალდის ვაჟკაცობის წვენი, მაშინ დიდის შიშითა ჰბედავდნენ გარიბალდის სადმე შეხვედრასა. გარიბალდის თავი კიდევ უფრო ძვირათ დააფასეს ავსტრიელებმა თუ ვინმე იშოვიდა, მაგრამ თითონკი შეშინებულნი და საცოდავათ დაჭარცხებულნი, ველარა ჰბედამდნენ იმის განდევნას.

გარიბალდიმ დაიწყო თვითონ იმათზედ ნადირობა და ვინცკი იმ ახლო-მახლო იტალიის ქვეყნებში იდგნენ ავსტრიის ჯარები და აწუხებდნენ საცოდავს მცხოვრებთა ყოვლგნიდამ გამორეკა და რასაც ავსტრიელებს წაართმევდა, შეიწრებულ იტალიელებს აძლევდა.

გარიბალდიმ ამ ბრძოლასა და საიარულში, რაც ბილიკები იყო შავს მთებში, ისინიცკი შეისწავლა და

ამის გამო ისე უცებ დაეცემოდა ხოლმე საწყალს ავსტრიელებს, რომ თავის დღეში ფიქრათაც არ მოუვიდოდათ, თუ გარიბალდი აქ გაჩნდებაო.

ამ დაუცხრომლობასა და განსაცდელებში, გარიბალდის მიეცა მარგარიტასაგან ვაჟი.

გარიბალდი რაცხდა თავის თავს ბედნიერათ ამ გვარის ხვედრით; მაგრამ იმას აწუხებდა ნაკლებულებას; გარიბმლდი იმასკი არ სწუხდა, მე რათ მაკლიაო, იმასა სწუხდა, რომ ეს ნაკლებულობა უნდა გამოეკლო, იმასაც ვინც სიცოცხლეზედ მეტათ უღირდა, რომელმაც ამის გულისათვს ყოველივე სოფლიური დიდება და ბედნიერება გასწირა. გარიბალდი იბრძოდა მარტო სამშობლოსათვს და გულითა სცხოვრებდა მარტო მარგარიტასათვს. ამ დროების დარჩა გარიბალდის, რამდენიმე პოეზიური თხზულებანი; ეს თხზულებაები არიან მიძღვნილნი მარგარიტასადმი.

. . . . . : . . . . . . . . . .

. . . . . . . . . . . . . . . .

გარიბალდი უმღეროდა დაშეამკობდა თავის საყვარელს მარგარიტასა. და ისკი საწყალი იწყლოდა გულით და ყოველთვს შიშობდა რომ იმისი ქმარი არ შექსილიყო მსხვერპლი თავის საქმების და გულადობისა, აგრეთვე არა ჰქონდა მოსვენება რომ თავის მამა ისე მწუხარე ეზულებოდა; ამ გვარი ფიქრი და დარდი თანდათან უწყლავდა სიცოცხლესა: შეიქნა ჭლექი და დნებოდა თანდათანა.

ერთხელ მარგარიტა წავიდა თავის მამის სანახავად და იქ შეიქნა ძალიან შეუძლოთა. ავამოყოფობა თანდათან გაუცხოვლდა და ჩავარდა ქვეშაგებათა; ამის გამ–

ამის გამო ისე უცებ დაეცემოდა ხოლმე საწყალს ავსტრიელებს, რომ თავის დღეში ფიქრათაც არ მოუვიდოდათ, თუ გარიბალდი აქ გაჩნდებაო.

ამ დაუცხრომლობასა და განსაცდელებში, გარიბალდის მიეცა მარგარიტასაგან ვაჟი.

გარიბალდი რაცხდა თავის თავს ბედნიერათ ამ გვარის ხვედრით; მაგრამ იმას აწუხებდა ნაკლებულება; გარიბალდი იმასკი არ სწუხდა, მე რათ მაკლიაო, იმასა სწუხდა, რომ ეს ნაკლებულობა უნდა გამოევლო, იმასაც ვინც სიცოცხლეზედ მეტათ უღირდა, რომელმაც ამის გულისთჳს ყოველივე სოფლიური დიდება და ბედნიერება გასწირა. გარიბალდი იბრძოდა მარტო სამშობლოსათჳს და გულითა სცხოვრებდა მარტო მარგარიტასათჳს. ამ დროებისა დარჩა გარიბალდისა, რამდენიმე პოეზიური თხზულებანი; ეს თხზულებანი არიან მიძღვნილნი მარგარიტასადმი.

. . . . . : . . . . . . . . : . .

. . . . . . . . . . . . . . . . .

გარიბალდი უმღეროდა და შეამკობდა თავის საყვარელს მარგარიტასა. და ისკი საწყალი იწყლოდა გულით და ყოველთჳს შიშობდა რომ იმისი ქმარი არ შექნილიყო მსხვერპლი თავის საქმების და გულადობისა, აგრეთვე არა ჰქონდა მოსვენება რომ თავის მამა ისე მწუხარე ეგულებოდა; ამ გვარი ფიქრი და დარდი თანდათან უწყლავდა სიცოცხლესა: შეიქნა ჭლექი და დნებოდა თანდათანა.

ერთხელ მარგარიტა წავიდა თავის მამის სანახავად და იქ შეიქნა ძალიან შეუძლოთ. ავამყოფობა თანდათან გაუცხოველდა და ჩავარდა ქვეშაგებათა; ამის გამ-

ის დარჩა მამის სახლში.

ვერ შეუძლო დიდს ხანს ამ ავათმყოფობას უბედურმა ქალმა და გამოუსალმა უდროვოდ წუთი სოფელსა. რამდენსამე დღის უკან იმის გარდაცვალებისა ჩამოვიდა ისევ ის უცხო კაცი, რომელმაც წინათ წაიყვანა. ისევ ის ცხენივე ჩამოჰგვარა. მაგრამ დაბრუნდა დაჭმუხვებული ცარიელის ცხენით და ვეღარ მიჰგვარა თავის საყვარელი ცოლი უბედურს გარიბალდისა.

გრაფი აშორებდა თავის საყვარელი ქალის დამარხვასა. უზარმაზარს დიდს ზალაში, შეჭედილს შავის ხავერდითა და გამშვენიერებულს ღვარის გერბებითა, იდო ფრიად ჩინებულათ შემკულს კუბოში, მშვენიერი უსულო გვამი მარგარიტასი, დიდძალი სამთლები ენთო მიცვალებულის გარშემო და მოჰფენდნენ სამწუხარო სინათლით გაყვითლებულს სხივს მარგარიტასას. მღვდელი კითხულობდა მიცვალებულის ლოცვასა, გრაფი იდგა დაჩოქილი კუბოსთანა, ლოცულობდა და სტიროდა გულის მოსაკლავის ხმით....

ერთიც ვნახოთ გაეღო ზალის კარები და შემოვიდა გარიბალდი: ის ნელის ნაბიჯით მიუახლოვდა კუბოსა, ამოიღო იქიდამ მიცვალებული, შეიგდო ფთხილათ მხარზედა და წაიღო თავისი მწირ ფასი ტკირთი მთებისაკენა....

ყველანი განცვიფრდნენ და ვერავინ ვერ გაბედა, რომ ეთქვათ რამე გარიბალდისათჳსა. ერთს საშინელს მიუდგომელს მთის კინწიროზედ, სადაც არწივის მეტი ვერა მიუდგებოდა რა, დაჰფლა თავისი სასურველი მარგარიტა

ამ დღიდამ დაერქვა ამ მთის წვერს უდროოთ გაფუ-ჭებულის ქ:ლის სახელი.

გარიბლდი დარწმუნდა ბოლოსა,რომ ის ამ მთებიდამ ვერასფერს უზამდა ავსტრიელებსა, და ამასთანვე ეს მთები უახლებდნენ თავისის დანაკარგის მოგონებით წყლულსა, ირჩია ამ მთებიდამ გაშორება, მაგრამ ამ მთებში კიდევ ისმის სიმღერა გარიბალდის ვაჟკაცობისა და ყოველი მემცხვარე თუ მონადირე დაჯდებიან რა დასასვენად მწვანე მდელოზედ, უკრავენ სალამურს გულში გამტანებელის ხმით და დასძახიან ტკბილათ გარიბალდის ვაჟკაცობასა. გარიბალდის ვაჟკაცობა და იმის სახელი ჯერაც დაუვიწ-ყარია იმ მთებსა და იმის გარშემო ქჳეყნებში.

ამას გარდა შავს მთებში დარწმუნებულები არიან, რომ, ვითომც, გარიბალდის არ უდგებოდეს ტყვია და ვითომც, გარიბალდის შეეძლოს ერთსა და იმავეს დროს რამდენგანმე გამოცხ:დება და დაცემა მტერზედა.

ეგრეთვე ავსტრიელები ისე იყვნენ შეშინებული გარიბა-ლდის სახელითა, რომ რადგანაც იმას წითელი პლა-შჩი (*) ესრე დაარქვეს—წითელი გვემონი და ეს სიტყვა დასცემენ ხოლმე კიდევ ეხლაც შიშის ზარს ავსტრიის ჯარებსა.

## VI

მას აქეთ, რაც მარგარიტა გადიცვალა, გარიბალდ

(*) პლაშჩი პალტოსავით არის ჯაბალ:ხიანი.

შეიპყრეს მძიმე ფიქრებმა და იმან, როგორც ზემოთაცა ვსთქვით დასტოვა იტალია, რადგანაც ატყობდა, რომ ტყვილად შეახოცდა თავის შეუდარებელს მხედრებს ავსტრიელებსა და სარგებლობასკი ვერას მოუტანდა ამითი უბედურს იტალიასა,—და ის ინახავდა იმათ უფრო კარგის დღისთჳსა, როდესაც იტალიას ექნება მარჯვე შენთხვევა თავის თავისუფლებისათჳს ბრძოლისა.

ერთხელ დილით ადრიანა მოიხმო გარიბალდიმ თავის მხედრები.

—საყვარელო ძმებო, უთხრა იმათ გარიბალდიმ: ჩუჱნ ძალიან ძნელი საქმე ვიკისრეთ—ჩუჱნი საყვარელი სამშობლო იტალიის განთავისუფლება უცხო ხალხიდამ. ამ საგნისათჳს ჩუჱნ ყოველივე ღონის ძიება მოვიხმარეთ, რაცკი შესაძლებელი არის იმ კაცებისაგანა, რომელთაც ასე მხურვალეთ უცემთ გული მამულის სიყვარულითა. ჩუჱნ მოვიხმარეთ ყოველი რიგი კეთილშობილება ჩუჱნს მოსისხარ მტერთან: ჩუჱნ ვამლევდით ჩუჱნს საფარველსა დაჩაგრულებს და ვეზცეოდით სულგრძელებით ჩუჱნგნით დამარცხებულს მტერსა. ჩუჱნ ვიყავით ღირსი უფრო უკეთესი ხვედრისა... მაგრამ ვიქონიოთ ჯერ კიდევ მოთმინება! იქნება უფრო უკეთესი დრო დადგეს იტალიისათჳს და მაშინ გნახავთ მე ისევ თქუჱნს წინამძღოლად, ან არა და იმ კაცის ხელქვეშა, რომელიც ჩემზედ უფრო ღირსეული იქნება. ჩუჱნ გავატარეთ ბევრი დღენი ერთად დიდს განსაცდელსა, აღრეულებასა, მწუხარებასა და ნაკლებელებაში, მაგრამ ახლა აღარ უნდა

ვინანოთ. იმედი მაქჳს რომ ცოტა ხანს შემდგომ ისევ შევიკრიბნეთ და მაშინ ისევ დავიწყებთ ჩუენს მხნეობასა და გამოვიჩენთ ჩუენი მამულის სიყვარულსა!

მასუკან გარიბალდი გადაეხვია ყველას სათითოვოთა, ჩამოართვა მეგობრულად ხელი და გამოესალმა ახლად შეყრამდის სამ ფეროან ბაირახ ქვეშ იტალიისა და პოლიტიკით განდევნილ კაცსა, მაგრამ ამ აზრში გარიბალდი ძალიან შესცდა. ლიუდვიკ ფილიპპის (ფრანციის კოროლი) პოლიცია სასტიკათ განდევნიდა უცხო მხრის რევოლიკაცონერებს (*), და ამ რევოლიუციონერებში ყველაზედ ძლიერ იყო გათქმული გარიბალდის სახელი: როგორათაც ყველაზედ გულმხურვალე და უშიშრის, მებრძოლის ახალის წესდებულებისა. გარიბალდის შეეძლო ფრანციაში შეეფარებინა თავი ხოლოდ დროებით; ამასთანავე დაჩვეული ნიადაგ მხნეობასა და ბრძოლასა, გარიბალდი ვერა სძლებდა უმოქმედობასა ფრანციაში. იმისი გული მიიბრძოდა იქითკენა, სადაც უფრო დიდი განსაცდელები და ხიფათები მოელოდა.

ჩააბარა მარსელში (*)გარიბალდიმ თავისი ვაჟი ერთს ხელობასა და თითონ უსაგროთ ჩაუჯდა ერთს გემსა და წავიდა ეგვიპეტში; მაგრამ ზღვაზედ რამდენისამე ქარიშ-

(*) რევოლიუციონერი ჰქვიანთ იმათა, რომელნიც აეშლებიან ხოლმე თავის მთავრობასა, რომ ის გამოსცვალონ და სხვა უკეთესი მთავრობა დააწესონ. ან კიდევ უცხო ქვეყნის მფლობელობას აეშლებიან ხოლმე.

(*) მარსელი ფრანციაში ერთი ქალაქია ზღვის პირას.

ხალისა და ღელვის შემდგომ გარიბალდი გარიყა გემით ზღვის ტალღამ ტუნისში. ტუნის სულთანი იყო დეისა. ამ გარიყვას დეის სამფლობელოში გარიბალდი აძლევდა რაღაცა მნიშვნელობასა.

ხმა გარიბალდის უშიშრობისა და სიმარჯვისა, რომელიც გამოიჩინა იმან მგზავრების გემის წახდენის დროს, გავარდა მთელს ტუნისში და მოდიოდა გარიბალდის სანახავათ დიდძალი ხალხი. ამის ვაჟკაცობის ხმამ მაშინვე მიაღწია თვითონ დეისთანაც, რომელმაც მოინდომა მაშინვე გარიბალდის ნახვა და სთხოვა, რომ იმას ჩაებარებინა თავის განგებლობის ქვეშ ერთი დიდი ტუნისის ფლოტის ხომალდი. გარიბალდიმ მიიღო ეს თხოვნა ხოლოდ ამ პირობით, რომ არ გეებელნათ იმისთვის ქრისტეს სარწმუნოების შეცვლის შეხება, რადგანაც დეისა არას ევროპიელს არ იღებდა სამსახურში, თუ რჯულს არ შეიცვლიდნენ. დეი ეხარბებოდა გარიბალდის ზღვაზედ გამოცდილებასა და იმის ვაჟკაცობასა და ამის გამო დაჰყაბულდა გარიბალდის პირობასა. გარიბალდი აპირობდა ტუნისში დგომას ხოლოდ დროებით და არა ჰფიქრობდა დიდს ხანს დარჩენას აქა, და ამიტომ მიიღო დეის თხოვნა, რომ სამოვრის იდაჯი არსაიდამ არა ჰქონდა და შჯლის გასამზდელოში უნდა ფასი ეძლია.

გარიბალდიმ რაკი ცოტა საქმეები მოიმარჯვა და ჩაიგდო ხელში საკმაო ფული, დასტოვა ტუნისი და წავიდა სამხრეთის ამერიკაში. ზოგი გარიბალდის ცხოვრების აღმწერნი ამბობენ ვითომ გარიბალდის გული არა სჯეროდა

აქაურს მცირე მოქმედებაებსა და იმიტომ წავიდა ტუნისიდამო და ზოგნიკი აი რასა სწერენ ამის წასვლის მიზეზათა:

გარიბალდისა ჰქონდა ნება ყოველთჳს შესვლისა დაუბრკოლებლად დეის პალატში და ამ ნების ძალით გარიბალდი შევიდა ერთხელ დეისთან პალატში, შევიდა თუ არა გარიბალდი, საშინელის დაწივლებით გამოუვარდა ხელიდამ დეის ერთი მშვენიერი ქალი.

შეჭმუხვნილისა და მრისხანის სახითა ჰკითხა ტუნისის მფლობელმა გარიბალდის მიზეზი შემოსვლისა. გარიბალდიმ უთხრა, იმიტომ მოვედიო, რომ მომეხსენებია მშვიდობით დაბრუნება ხომალდებისა ზღვის მოგზაურებიდამაო, და რაკი დეიმ შეატყო, რომ გარიბალდიმ არცკი შეიმჩნია იმ ქალის დანახვა და არ უყურებდა ხარბის თვალით იმ კარებსა, სადაც შევარდა მშვენიერი მეუღლე ტუნისის მფლობელისა, მაშინ ცოტა შეეტყო იმის სახეს რაღაცა კმაყოფილება, და როდესაც სრულებით დარწმუნდა, რომ გარიბალდის არცკი დაუნახავს ის ქალი და არა გაუგია რა გარდა ფარჩის კაბის შრიალისა, მაშინ სრულებით გამხიარულდა და გაუღიმა იჭვიანმა გულმა; გარიბალდის მოექცა ისევ ძველებურათ წყალობის თვალით და დასამტკიცებლათ ამისა მიანდო ერთი მძიმე საქმე.

მაგრამ დეი ძალიანა სცდებოდა ამ აზრებში. გარიბალდიმ ერთის მარჯვე შეხედვით ასე გაარჩია იმ შვენიერი ქალის სახე, რომ მაშინვე გულში ჩიუარდა, აემღვრა იტალიანური მხურვალე სისხლი და აღარ გამოზდიოდა

თავიდამ იმ ქალის სილამაზე, ერთის სიტყვით გარიბალდის შეუყვარდა სულთანის მეუღლე.

გარიბალდი დარწმუნებული იყო, რომ ის მშვენიერი ქალი, რომელიც იმანა ნახა იყო საყვარელი ცოლი დეისა, ლეილა. გარიბალდიმ იცოდა რომ ამ ქალის შეხვედრით კეთილი არა გამოვიდოდა რა.

იმდღეს საღამოზედ გარიბალდი ჩაჯდა ნავში და გამოვიდა ზღვაზედ; იმას საშინლათ უყვარდა ზღვაზედ ღამის მიგებება, რომელიც მოაგონებდა ხოლმე თავის სამშობლო ქვეყნების მშვენიერს საღამოებსა. მაგრამ ამ საღამოზედ ის თავის სამშობლო საღამოების მოსაგონებლათ არ გამოვიდა, იმას ამძიმებდა ფიქრები მშვენიერის სულთანის ცოლზედა, რომელიც იყო გამოწყვდეული ოთხს კედელს შუა სარალში. ეს ფიქრები უმღვრევდნენ გულს გარიბალდისა. რაკი გარიბალდი კარგა მოშორდა ნაპირსა და დაატყო, რომ ყურს არავინ უგდებდა; მაშინ საჩქაროთ დააბრუნა ნავი და გასწია სერალისაკენ, რომელიც გამოსჩნდა თეთრად ზღვის ნაპირიდამ.

გარიბალდიმ იცოდა, რომ რადგანაც ლეილა უფრო ყველაზედ ძრიელ უყვარდა სულთანსა, ამის გამო უფრო მეტი თავისუფლებაცა ჰქონდა სხვა გამოწყვდეულს სულთანის ცოლებზედ; და ესეც იცოდა, რომ ლეილა საღამ-საღამოთი გრილოზედ გამოდიოდა პაწარა კიოსზედ რომ წმინდა ჰაერი შეესუნთქა, რომელიც მოჰბერამდა ზღვიდამა. დასდგა ბნელი სამხრეთის ღამე, დაიწყეს მშვენივრათ ბრწყვიალი ხშირმა ვარსკლვავებმა და გარი-

ბალდი ამ ღამის საფარველში მიადგა სერალის (*) კედლებს, სადაც ელოდა ლეილას შეხვედრასა.

ვინ იცის, აქ არის თუ არა? ან გამოვა თუ არა აქ ამაღამ? ჰკითხამდა თავის თავს გარიბალდი და თან ნავს აბამდა სერალის კედელზედ. უცებ შემოესმა გარიბალდის კიოსკიდამ მჭმუნვარე, ჟინით სავსე სიმღერა. გარიბალდის არ ესმოდა სიტყვები ამ სიმღერისა, მაგრამ ჰგრძნობდაკი, რომ ეს სიმღერა იყო სიყვარულის ჟინით სავსე.

გარიბალდიმ მაშინვე იფიქრა, რომ ამდროს კიოსკში, თუ არ ლეილა სხვა არა ვინ იქნებოდა.

როდესაც მოსწყდა სიმღერის ხმა, გარიბალდიმ განიმეორა ეს ხმა თავისის წმინდის ხმით; გაათავა თუ არა, მაშინვე ბაღში მოისმა ფეხის ხმა ქვიშაზედ და შეესმა თავის სახელი. გარიბალდის დაავიწყდა ყოველივე განსაცდელი, რაში ან თითონ გრნძობდა, ან რაშიაც აგდებდა ლეილასა და მაშინვე გასწია საიდამაც შეესმა ძახილი.

აქ როგორც შეჰხამდა დიდხანს უალერსებდნენ ერთმანერთს გარიბალდი და ლეილა . . . . . . .

. . . . . . . . . . . . . . . . .

როგორც იყო შეყვარებულთ დასდეს პირობა, რომ ერთათ შეყრილიყვნენ ხოლმე კიოსკში ყოველს საღამოზედა. ამ გვარად გავიდი ერთი კვირე.

---

(*) სერალი ჰქჳან, სადაც მაჰმადიანის დიდკაცებს უყენიათ გამოწყვდეული თავისი მზის უნახავი ცოლები.

ერთხელ გარიბალდი მივიდა დეისთან სხჳა და სხჳა საგნების მოსახსჱნებლად შესახებ ტუნისის ფლოტისა და შეატყო, რომ დეი აღარ უყურებდა ისე წყალობის თვალით გარიბალდისა. გარიბალდის გაუელვა თავში ფიქრმა, რომ ვაი თუ შეიტყოვო დეიმ ამისი სიარული ლეილასთან და იცოდა, რომ ამ საქმისთჳს ლეილაცა და ესეც ერთის სულთანის ბრძანებით უნდა გამოსალმებოდნენ სიცოცხლესა. გარიბალდის პირველსავე ნახვაზედ უნდოდა ეამბო ლეილასათჳს თავისი აზრები. იმ საღამოზედ როგორც რომ შევიდა გარიბალდი კიოსკში, გაეღო სერალის კარები და გამოვიდა ერთი პატარა ბიჭი, რომელმაც მოიხედა და რაკი გარიბალდის მეტი ვერა ვინ დაინახა, გაექანა და მისცა ხელში პატარა ბარათი და თითონ მაშინვე გაიქცა კიოსკიდამ.

გარიბალდიმ საშინელის ამღვრეულებით წაიკითხა ეს წიგნი, რომელიც იყო უცოდნელის ფრანციცულის ენით და გაურჩეველის ხელით დაწერილი. გარიბალდიმ ძლივს გაარჩია ეს დაწერილი:

«უშველე რამე შენს თავსა—გავარდი აქედამა, თორემ დეის სულ შეუტყვია ჩჳენი საქმეები. მაგრამ ჯერ დარწმუნებით არ იცის, ხოლოდ ძალიან ეჭვშია. შენი გაქცევის მეტი ვერა გადაარჩენს რა სიკვდილიდამ ვერც შენს საყვარელს ლეილას და ვერც შენა.»

გარიბალდის არ ეშინოდა თავის თავისათჳს, მაგრამ ებრალებოდა თავისი საყვარელი ლეილა და ამის გამო, იდგა ერთი ამერიკანელი ხომალდი, რომელიც აპირებდა წასვლასა და გარიბალდი გაჰყვა ამ ხომალდს თანა.

## VIII

გარიბალდი რომ ამერიკაში მივიდა, ჯერ ბრაზილიის იმპერიაში, რიოჟანეროში დადგა. აქ ის შეხვდა რამდენსამე იტალიანელებს, რომელნიც სპოლიტიკო ალრეულებისათვის საუკუნოთ იყვნენ განდევნილნი მამულიდამ ამათის შემწეობით გარიბალდიმ იშოვნა ერთი პატარა გემი. გემზედ 1837 წლიდამ ვაჭრობდა გარიბალდი რიოჟანეიროსა და გაბოფრიოში. გარიბალდის დაუწყო გულმა ლონება ამ ერთ რიგს ცხოვრების მდგომარეობითა, მაგრამ თითონ ისე მარჯვეთა და გამოცდილებითა ვაჭრობდა, რომ მართლათაც გასაოცებელი იყო. მაგრამ გარიბალდის ის აზრი და დაწყობილება ჰქონდა ამ ვაჭრობითა, რომ ის აგროვებდა ფულებსა როგორც ქვემოთ ვნახამთ, გამოსადგომად დაჭირებაში თავის ქვეყნისა. ჩვენ შეგვიძლიან გავსაჯოთ ერთის გარიბალდის წიგნიდამ, რომელიც იყო იმ დროებში დაწერილი, თუ რა ედო გარიბალდის გულში იმ დროებშია:

«ჩემზედ ამის მეტს ვერას ვიტყვი, სწერდა სხვათა შორის გარიბალდი ერთს თავს მეგობარს,—რომ ბედი არასფერს კარგს არ მიქადის ჩემს დანაპირებსა და იმედზედა. ყველაზედ მძიმეთ ეს მაწვეს გულზედა და მაწუხებს რომ მე ვერ შევიძელ ვერას ფრით წინ წაწევ საზოგადო საქმისა. ოხ, ღმერთო! რა რიგათ მეწყვლის გული. რომ ასე უსარგებლოთ ჩემის ქვეყნისათვის დავეთრევი ცოცხალი და გამძიმებ ტყულათ დედამიწასა...... მე ეხლა წვრილი ვაჭრობის მეტი გზა არ დამრჩენია....

მაგრამ, დარწმუნებული იყავი, საყვარელო ძმაო, სწერდა გარიბალდი, რომ ჩუენი კეთილი ხვედრი კიდევ წინ არის, და მინამკი ჩუენ ჩუენს ქერქში არა ვართ»

მართალია მტრები გარიბალდისა ცდილობენ, რომ მორყვნან ეს გამოჩენილი კაცი, მაგრამ ამასკი ვერც ერთი იმათგანი ვერა ჰბედავს, რომ სთქვას რამე გარიბალდის სამშობლო მამულის უსიყვარულობაზედ.

გარიბალდი რომ რიო-ჟანეიროში იყო, ერთხელ მოარჩინა ერთი ნეგრი (*). რომელიც იხრჩობოდა ზღვა-ში. ამ დროს ჰქროდა საშინელი ქარი და გემების იალქნებს სულ ერთმანერთს აწყვეტდა, გემები იყვნენ გვერდზედ წაწვენილები ქარისაგან და იყვნენ ერთ-მანერთზედ მირეკილები. არას დროს არავისა ჰქონდა იმედი რომ შესაძლებელიდა ყოფილიყო ამ ზღვაში ჩავარდნილის გემებს შუა ნეგრის მორჩენა და ფიქრითაც ვერა ვინა ჰბედავდა ამ საცოდავი ნეგრის მიშველებასა.

მაგრამ გარიბალდიმ რასაც წამს შეიტყო ამ უბედურის ნეგრის მდგომარება, მაშინვე დაუყოვნებლივ გადაერია საშინელს აღელებულს ზღვის ზვირთებში და მოარჩინა ნეგრი.

გარიბალდი რომ ამ ვაჭრობაში იყო ბრაზილიის იმპე-რიაში, პოლიტიკური მდგომარეება სამხრეთის ამერიკისა

---

(*) ნეგრები არიან არაბებივით შავები აფრიკაში და აქედამ მოჰყავთ ევროპიელებს დატყვევებულები და ჰყიდიან ამერიკაში, თჳთანცე იმსახურებენ როგორცა უნდათ.

შეიცვალა და გარიბალდის მიცემა შემთხვევა თავის გამო-ჩენისა ქჳყნის სასარგებლოთ, რომელიც იყო ამის სიცოცხლის საგანი.

მეორეს წელიწადს გარიბალდის ბრაზილიაში მყოფო-ბისა, რიო-ჟანეროში მოიყვანეს რამდენიმე დატყვევე-ბული იტალიელები, რომელნიც ერივნენ რიო-გრანდის არეულებაში და აძლევდნენ ამ პრავინციას ბრაზილიიდამ განთავისუფლების შემწეობასა. გარიბალდის აწყინა ეს უსამართლო მოკიდება ბრაზილიელებისაგან თავის მეერ-თმამულეებზედ; რომ სხჳა იტალიელებსაც არ დასდგომოდათ ბრაზილიაში ეს დღე, გარიბალდიმ შეაგროვა ვოლანტი-ორები, ჩაჯდა გემში და გავიდა ზღვაზედ.

გარიბალდიმ პირველათ გაიმარჯვა ერთს ბრაზილიელე-ბის გემზედ, რომელიც იყო ერთი სამათ დიდი გარიბა-ლდის გემზედა და ის გემი სულ მთლათ შეიპყრა; მეორე გაწყობილებასკი კინაღამ თითონაც თავი თან გადაატანა. გარიბალდის ეგონა, რომ ურაგვაის რესპუბლიკა მისცემდა შემწეობასა და იქნებოდა თანა ზიარი რიო-გრანდის განთავისუფლებაზედ ბრაზილიიდამ და ამ მიზეზის გამო გარიბალდი შევიდა ერთხელ ურაგვაის სტალიცის მონტევიდიოს ნავთსაყუდელში (**Гавань**) როგორც რომ დაუშვა გარიბალდიმ იალქნები და მამინვე ერთი კანონი-ერების ნავი დაეცა გარიბალდისა და დუწყეს სამინელი ზარბაზნისა და თოფის სროლა. ამ დროს ერთი ტყვია მოხვდა გარიბალდის კისერში და დადგა მეორეს მხარეს ყურის ძირში. გარიბალდი დაეცა უგონოთ. სხჳა გემში მსხდომებმა, რაკი დაატყვეს რომ იმათი წინამძღოლი

დაიჭირა მძიმეთა, მაშინვე გაშალეს იალქნები და გაჰყვნენ ქარსა გვილოჩეის ნავთსაყუდელისაკენ, იქ აპირებდნენ შესვენებასა და ეგონათ, რომ რადგანაც ქსენი, რიოგრანდის რესპუბლიკის მეზობლათ იყვნენ, უთუოდ ქსენი მაინც იმათი შემწეები იქნებიანო; მაგრამ ამ აზრშიაც მოსტყუვდნენ.

როგორც რომ გამოჩნდნენ ქსენი გვილოჩეის ნავთსაყუდელთან, იქაურმა მთავრობამ მაშინვე შეიპყრა ქსენი გემითა და გარიბალდიცა და იმის თანაზიარნიცა ჩასხა ბნელს სატუსაღოში. მაგრამ გარიბალდის დაჭრილობას კი კარგათ უვლიდნენ და მარჯვეთაც სწამლობდნენ, თუმცა ძნელათგი ურჩებოდა გარიბალდის თავისი დაჭრილობა. მასუკან, როდესაც მორჩა გარიბალდი, გვლოჩეის მთავრობამ ჩამოართვა გარიბალდის ხელწერილი, რომ არ გაქცეულიყო იქიდამ და თითონ ის ჩააბარეს ერთს ისპანელს ოჯახობასა, რომელმაც დიდის სიხარულით და სიყვარულით მიიღო

ცოტა ხნის შემდგომ, გარიბალდიმ მიიღო ერთი საიდუმლო წიგნი, რომელშიაცა სწერდნენ, რომ თუმცა გვილოჩეის მთავრობამ აღგითქვა, რომ აქედამ არსად გადაგყვანენო, მაგრამ ეხლა შესცვალეს თავის აზრი და გადაჰყვხართ ბაიადურში, რომელიც არის უმთავრესი ქალაქი პრავინციაში, და იქ გიპირობენო უფრო სასტიკათ მოპყრობასა და თავისუფლებას თითქმის არ გექნებათო. რაკი გარიბალდიმ ნახა, რომ თითონ მთავრობამ უმტყუნა წინდაწინ თავისპირსა და აძლევდნენ გარიბალდის უფრო ცუდს მდგომარეობასა, ამისგამო გარიბალდიმ ჰპოვა, რომ

ეხლა ჰქონდა სრული სიმართლე თავის სიტყჳს გადადგომისა და გაიგცა იმავე ღამესა, მაგრამ იმისთანა ალაგებში ჩავარდა, რომ არ იცოდა საით უნდა წასულიყო: ის იყო საშინელ თვალ გაუწდომელი მინდვრები. გარიბალდიმ გაატარა აქ წინ და უკან სიარულში მშიერმა ორი დღე და ღამე გარეთა, ამასობაში კიდეც მოეწია გარიბალდის მდევარი, დაიჭირეს და გაგზავნეს ისევ აგვალოჩეიში. რადგანაც გარიბალდიმ გაბედა გაგცევა; ამის გადასახდევინებლად, მინამ ბაიადურში გაგზავნიდნენ, დაჰკიდეს გარიბალდი ორს საათს ხელებითა. ეს სასჯელი მიაყენეს გარიბალდის სატუსაღოს კარების წინა და აცქერინეს ძველ ქუჩის ხალხსა, რომ, ამითი მოემორჩილებინათ ამაყი იტალიანელი. გარიბალდის დიდ ხანს ჰქონდა დაშავებული ერთი ხელი და ეხლაც კიდევ აწნევია ეს საშინელი უღმრთო უჯათი.

ამ სასჯელის შემდგომ, გარიბალდი გაისტუმრეს ბაიადურში, სადაცა ჰყვანდათ ეს რამდენსამე თვეს მძიმეთ დატუსაღებული. მასუკან აღარცა რა გამოჰკითხესრა თუ რათ იყო დაჭერილი, არც არა უთხრეს რა, არც აცივეს, არც აცხელეს, ისე გამოუშვეს გარიბალდი ტუსაღობიდამა და უთხრეს სადაც უნდოდა წასულიყო.

გარიბალდი წავიდა რიო-გრანდში,რომლისათჳსაც ასე უწყალოთ დაისაჯა. იქ ის მიიღეს დიდის სიხარულითა და ჩააბარეს პატარა ფლოტი (*), ანუ უკეთა გსთქუათ სამი პატარა სარაპირო ხომალდი, რომლებზედაც იყო

(*)ფლოტი ზღვის სამხედრობასა ჰქჳან.

პატარა ზარბაზნები. მაგრამ გარიბალდისთვის ესეც საკმაო იყო, რომ ეჩვენებინა თავისი გასაოცებელი ვაჟკაცობა და ყოველს შემთხვევაში სიმარჯვე.

გარიბალდის გამარჯვებას ზღვაზედ რომ დავუმატოთ ისიცა რაც იმას ხმელათ გაუმარჯვნია ბრაზილიელებთან ომში, მაშინ წარმოსარდგენათაც ძნელია, რომ ერთს კაცს ეგები შეეძლოს, და სწორეთ წარმოგიდგებათ თვალწინ ძველებური მდევ-გმირული ზღაპრები, ანუ უკეთა ვსთქვათ არც ერთს გმირს არ ჩაუდენია ეს საქმეები. ჩვენ ხოლოდ მოვიხსენებთ აქ იმასა, რაც უფრო შესანიშნავია.

ერთხელ გარიბალდი შეაგდეს ბრაზილიის კრეისერებმა (მზვერავები ზღვაზედა) ლაგუნაში, მაგრამ აქაც მოაგნეს იმათ გარიბალდისა. რაკი დაატყო გარიბალდიმ რომ საშველი გზა არ საით იყო, ადგა და მოიხმარა ერთი უკანასკნელი და საშინელი გასაბედი ღონისძიება: იმან გააჩერა თავისი ხომალდი მელზედა; მერე გადაატანინა ორი ზარბაზანი ერთს მაღლობს ადგილზედა და იქიდამ ისეთი საშინელი სროლა და ცეცხლი ასტეხა, რომ ერთი ათათ მეტი ბრაზილიის კრეისერები შეუყენა. იმათაც რაკი დაატყეს რომ ველარას დააკლებდნენ გარიბალდისა და ტყუილათ შეახოცამდნენ თავებსა, ადგნენ და გაიპარნენ ღამითა და იმ სიშორეთ დადგნენ, რომ ვერ მისწვდებოდა ტყვია. ბრაზილიელები დარწმუნებულები იყვნენ, რომ გარიბალდი, თუმცა დიდათ თავ გაწირული, იყო მაგრამ რაკი თავის ხომალდი მელზედ შეაყენა უთუოთ ტყვეთ ჩაუვარდებოდა ამათ ხელშია.

გათენების დროს შეხვდეს ბრაზილიელებმა იმ ალაგს, სადაც გარიბალდი იყო გაჩერებული, მაგრამ გაოცებულები და გაკვირებულები არ ერწმუნოდნენ თავის თვალსა: აღარც გარიბალდის გემი იყო სადმე და აღარც თითონ გარიბალდიდა იყო იმ მაღლობზედა, საიდამაც ისე საშინლათ იბრძოდა. ცამ ჩაყლაპა თუ ქვეყანამა ვერ მიხვედროდნენ გაოცებული ბრაზილიელები:

იმ ღამეს სიბნელეში, გარიბალდი ჩამოვიდა სიმაღლიდამ თავისის ორის ზარბაზანით და რის წვა და დაგვით ძლივს გაიტანა შეიდამ ხომალდი; მერე აუშვა ჩუმათ და ისე გამოიპარა ბრაზილიელების ხომალდებს შუა, რომ იმათ ფიქრათაც არ მოსდიოდათ, თუ გარიბალდი გაჰბედავდა ამ საშინელს საქმესა. გარიბალდიმ მოიგონა ბრაზილიელების მოსატყუებლათ ერთი ღონისძიება: მოატანინა დიდი ძალი ფიჩხი და შეშა და აანთებინა ცეცხლი სწორეთ იმ ალაგს, სადაც გემი იდგა რომ იმათ არ ეფიქრებინათ იქიდამ ხომალდის დაძვრა. გარიბალდის ძალიან მარჯვეთ მოუხდა ეს შემთხვევა: ბრაზილიელებს სწორეთ ეგონათ, რომ გარიბალდიმ უთუოთ ცეცხლი მოუკიდა თავის გემსა და თჳთონ ნაპირზედ გამოვიდა თავის ჯარებითა და გაიქცა მახლობელს მთებშიაო.

მერე დაეცნენ გარიბალდის ბრაზილიელები ლაგო-დოს-პატოსში, სადაც გარიბალდის მცირედი ფლოტი იყო შეფარებული: ბრაზილიელები იყვნენ დაიმედებულები თავის ჯარებისა და ხომალდების სიმრავლეზედ, აგრეთვე ზარბაზნების სიდიდესა და სიბევრეზედაც და

ამიტომ სრულებით იმედი ჰქონდათ, რომ გარიბალდი ვერ წაუვიდოდათ ხელიდამა, მაგრამ გარიბალდი აგრე ადვილათ არ უვარდებოდა ხელშია და მინამ შეეძლო, ერის წუთას არ დაუყენებია საშინელი ატეხილი ზარბაზნების სროლა (განონადა) მტრის ხომალდებზედ. ბოლოს, რაკი დარწმუნდა გარიბალდი, რომ სიმაგრე აღარ შეიძლებოდა, ადგა ჩუმათ გააპარა თავისი ჯარები საგძალით ნაპირზედ და თითონ დარჩა უდიდეს ხომალდზედ; რაკი იფიქრა, რომ ეხლა ჯარები მშვიდობით იქნებიან გასულებიო, მაშინ მისცა ცეცხლი თოფის წამლის ოთახსა და თითონ გასწია ცურვით ერთს ფიცარზედ ნაპირისკენა. ამ დროს იფეთქა წამალმა, აიტაცა მთელი ხომალდი ზეცასა და რამდენსამე ხანს უკან, ხომალდის ნალეწები ჩამოუშვნენ ჰაერიდამ გარიბალდის გარშემო.

რაკი ეს პატარა ფლოტი რიოგრანდის რესპუბლიკის მოისპო და აღარა ჰქონდა გარიბალდის ღონე ზღვით ბრძოლისა ბრაზილიელებთან, მერე დაუწყო ბრძოლა ხმელზედა პარტიზანულათ იმ მატრაზებით (ზღვის სალდათები, ანუ გემზედ მმართველები მოსამსახურეები), რომელნიცლა გადურჩნენ ცოცხლები ზღვით ბრძოლასა. ამასობაში საქმეებმა მიიღეს სხჳა დაწყობილება: ალალ მართალი და სწორე სულის კაცი გარიბალდი, იბრძოდა რიოგრანდის რესპუბლიკის თავისუფლებისათჳს, რადგანაც უნდოდა იმისთჳს გულით კეთილი საბოლოვო; მაგრამ. როდესაც გარიბალდი აქ ასე ცხარეთ იბრძოდა იმათის ბედისათჳს, იქ შერდგა ანგარი საზოგადოება-

ები, რომელთაც დაამონავეს ყოველი საზოგადოების დაწყობილება, რომ თვითონ ესარგებლათ ამითი. რიო-გრანდში გამოვიდნენ იმისთანა თავის მოყვარული კაცები, რომლებიც დიდათ არ მოსწონდა გარიბალდის, ამიტომ რომ ისინი ცდილობდნენ დაემყარებიათ თავის ძალა და მნებელობა რესპუბლიკაში და ამითი ამცრობდნენ და აწროვებდნენ ხალხის მნიშვნელობასა და თავისუფლებასა.

გარიბალდიმ გარდა სამხედრო დიდებისა, არა შეიძინარა რიოგრანდის რესპუბლიკაში და ისეთივე ღარიბი და საწყალი წავიდა აქედამ მონტევიდეოში, როგორც ღარიბი და ღატაკი მოვიდა. იმან აღარ ჩაიმჩნია ის უპატიურება, რომელიც მოაყენა ურუგვაის მთავრობამ და არა ზოგავდა ამათთვის თავის სამსახურს, უფრო ამიტომ. რომ მთავრობა და მართლეობა დაწყნდა აქ მას აქეთ ძველზედ უკეთესი: მართლეისა და მტყუანის გარჩევა იყო.

გარიბალდიმ როგორც იყო მიახწია მონტევიდეომდინ და იქ დაუწყო ალგებრის სწავლება ერთს სასწავლებელში ამისი გმირული გაქცევის ხმა იყო ყოველგან გავარდნილი ეს ხმა დასდევდა ყოველგან თანა გარიბალდის. რაკი ურუგვაის რესპუბლიკის მთავრობამ შეიტყო გარიბალდის იქ ყოფნა. მაშინვე სთხოვეს. რომ მიეღო თაოსნება ჯარისზედ და ებრძოლნა როზასთან. რომელიც იყო ბუენოსაირესის დიქტატორი და რომელთაც დიდი ხანია ჰქონდა ურუგვაის შეუწყვეტელი ომები. როზასი იყო საშინელი უსამართლო და ძლიერი კაცი

რაკი ბოუენოსაირესის რესპუბლიკა დაიმონავა, უნდოდა ახლა ურაგვაი და სხვა სამხრეთის რესპუბლიკებიც დაემონავებინა.

გარიბალდიმ დასახა ვალათ ამ უსამართლო კაცთან ბრძოლა და იმისი განადგურება, რომ არ მისდგომოდა უსამართლობა სხვა თავისუფალს ქვეყნებსაც და ამის გამო იკისრა ურაგვაის მთავრობის თხოვნა.

ან. ფურცელაძე.

(გაგრძელება შემდგომს ნომერში.)

---

# სურამის ციხე.

დ. ჭონქაძისა.

ცისკარი. № 12. დეკემბერი. 1859 და № 1 იანვა-(რი 1860 წლისა.)

დაარსებიდამ «ცისკრისა», ამ დრომდის, ეს ჟურნალი არ შეჰხებია არც ერთს იმისთანა საგანსა, რომელსაც მოითხოვდა დროების საჭიროება, ან რომელიც აღმოსჩნდებოდა თითონ ხალხის მდგომარეობაში. ბურანი ასპატიისა ეხვია ამ ჟურნალს შესახებ ზემოთხსენებულის საგნებისა და ჩუმათ, თითქო ამბობდა: «ეგ რა ჩემი ხელობაა!» იყო გაბრუებული. და ჩვენი ხალხიკი შესცქეროდა და ამბობდა ჟურნალი გვაქვსო:—ამ გვარი უმოქმედობა ბევრმა ჩვენგანმა მოაწერა «ცისკრის» რედაკციას; მაგრამ საბუთებიდამკი სიმართლე რედაკციისა სჩანს:—ყოველივე გაუბედაობა, წარმოუთქმელობა და მდუმარება «ცისკრისა» წარმოსდგებოდა ხათრით ანუ უკეთა ვსთქვათ მოკრძალებით;—ვის შეეძლო ეთქო, რომ დრო არის ამ საგანს თავი დაანებოთ,—ეს საგანი ხოლოდ უწინ შეჰფერობდა ხალხსა და ახლა სხვა დროა და სხვა საგანსა საჭიროებს ჩვენი მდგომარება;—ჩვენი

არისტარხები და დაჯმახებული პატრიოტები, მაშინვე პირში ეცემოდნენ და გააჩუმებდნენ, ან არა და, მაშინვე ყოველს ღონის ძიებას იხმარებდნენ რომ ხელის მომწერნი შეეკრათ და თუ საქმე გაჭირდებოდა სიკვდილამდისაც უქადიდნენ უბედურს მართალის მთქმელს. რა საკვირველია გეხსომებათ, პატივცემულო მკითხველო, ის დრო, როდესაც ჩვენი გულდამწვარი ზოგიერთი პირნი მოლაყბის მართალის ლაპარაკით, უპარებდნენ იმას ხიდიდამ გადაგდებასა, და გეხსომებათ კიდეც რა რიგი აღრეულობაც მოახდინა ამის «სალაყბოს ფურცელმა». მოლაყბე კარგათ იცნობდა ჩვენს საზოგადოებას და სალაპარაკო საგანი და ამიტომ, თითქმის, ვერა ჰბედავდა ყოველას წარმოთქმასა და ლაპარაკობდა უფრო იგავით: ძაღლსა სცემდა და პატარძალსა ასმენდა; მაგრამ მარტო მოლაყბე ვერა სწვდებოდა ყველა საგანსა და იმისი უნიჭო მებუკეჩიკი ვინ იცის რასა როხავდნენ: ისინი იმასა სწყრდნენ რაც სიძველის მიმადევართ უნდოდათ. გარდა ამისა, ცოტა არ იყო რომ უფ. მოლაყბე კიდეც შეაშინა მუქარამა. და მას აქეთ დაიწყო უფრო ლბილათ ლაპარაკი, ასე რომ ძნელიღა იყო ამის ლაპარაკის გაგება. გავიდა დრო და როგორც სხვანიც მრავალნი, რომელნიც ხმა მაღლა ჰქადაგებდნენ სიახლეს და ვერ შენიშნეს, რომ დრომ იმისი ნაქადაგები დიდი ხნის შემოიტანა და კიდეც დაძველდა და ისინიგი ისევ იმას გაიძახდნენ ის გვინდაო, რაც დიდი ხნის დაძველებულია; დარჩა დროს უკან ჩვენი მოლაყბეცა და ახალს ხალხს

უქადაგებს ისევ იმასა რაც იმის, დროს ახალი იყო. მაგრამ ახლა იმედია ისევ მოყწიოს დროს; რადგანაც ეხლა ხანს მთელი ევროპა თურმე მოუვლეია და უნახავს: გარიბალდი, ვიკტორ ჰიუგო, მაძინი, პრუდონი და როგორც თვითონ ამბობს, ბოკლს ამის კალთაში ამოსვლია სული დამასკში, და კიდევ ბევრ სხვა ჭკვიან და სახლის მქადაგებელს ხალხთან ჰქონია სამეცნიერო საგნებზედ სჯა და ყოყოლობა; ზოგი ერთნი ამბობენ ვითომც თუ-მოლაყიე განიჭილისტებულიყვეს ... ახლა იმედია, რომ დაგვიწყებს ახალ-ახალის საგნების ახსნასა და განმარტებასა და ახლა უფრო ცხადათ და მარჯვეთ დაიწყებს ახალი დროს შემოტანას და ძველის განდევნის ქადაგებასა...

რა საკვირველია ამ გვარს მდგომარეობაში ჟურნალს არა შეემლო რა: განათლებული საზოგადოება კბილების ღრჭიალით შესცქეროდა «ცისკარსა» და იმის რედაკტორს ასე უწყალოს დავარდნილობისათვის; დაწინაურებულმა საზოგადოებამ, რომელიც მოელოდა თავისის გულის წადილის აღსრულებას ამ ჟურნალისგან, მოუთმენლად შეაგცია ზურგი. არც ერთმა ამათგანმა არ იფიქრა, რომ თითონ თავსედო მწერლობა, გაეწია შრომა და თუ, ვსთქვათ ზოგიერთის საზოგადოების უმვერობას ვერ წარმოსთქმიდნენ და ეშინოდათ ამათი, სხვაფრივ მაინც არის დაედოთ შრომა ლიტერატურისათვის. მაგრამ ყველა ბევრსა თხოულობდა და საქმის გაკეთება არა ვინ არ იკისრა..... დარჩათ ბურთი და მოედანი უნი-

ჭო და სიძველის მქადაგებელს ავტორებსა. «ცისკარი გახდა მსხვერპლი» «ხანიზდეგისა,» «ლუნატიკისა,» «საქართველოს კეთილმდგომარეობისა» და სხჳა ამ გჳარით უნიჭოს და დავარდნილის თხზულებაების ავტორებისა და გარდა ორიოდე ბაქარ ქართლელისა, დიმიტრი ყიფიანის ნათარგმნებისა და კიდევ ორიოდ-თუ სამიოდე სხჳე-ბისა არა გამოვიდოდა ხეირიანი ჩჳენს «ცისკარში» (ისტორიულს სტატიებს და ზოგიერთა ლექსებს არ ვაგდებთ ანგარიშში). დავარდნილი ხალხი შესცქეროდა ჟურნალს და თავის წარმომდგენელს პირებთ ლიტერატურაში და სცემდნენ მეხს ახლად გამოღვიძებულს სიმართლეს...

«ცისკარი» რომ ამ მდგომარეობაში იყო და დავარდნილი ხალხი გამარჯვებული დაჰკივინებდა ახალს სწავლასა და ახალის აზრების პატრონებსა, მაშინ უცებ გამოდგა ასპარეზზედ დ. ჭონქაძე თავის სურამის ციხით. ეს თხზულება, რასაკვირველია, სიხარულით იყო მიღებული რედაქტორისაგან და მაშინვე, თუმცა მოკრძალებით და შიშით, დაიბეჭდა. ამ თხზულებამ დაჰსცა საშინელი ელდა და მოსწყვიტა წელები დავარდნილს ხალხსა და ძველი აზრების პატრონებსა, ბატონები «ოსმან აღისა» დარჩნენ პირ ღიანი; ჯერ დიდს ხანს ვერ მოეგნენ ცნობასა და ბოლოს, როდესაც მოიპოვეს გრძნობა, დახედეს, გადაიღეს, გადმოიღეს ეს თხზულება და როგორც, სარკეში, ისე დაინახეს თავისი თავი «სწორედ ჩჳენა ვართ!» ჰსთქჳეს ყველამ ერთის ხმით, მაგრამ საქჳეყნოთკი არა სტყდებოდნენ, როგორც შეჰხამს

ყოველს დამნაშავესა, და იძახდნენ: საშინელი ცილი შეგვწამა, ჩვენ ამის მომქმედნი არა ვართო. დაუწყეს უწყალოდ პირით ლანძღვა და გინება უბედურს ავტორსა და ემუქრებოდნენ პირველსავე შეხვედრაზედ, ერთი რისამე ატეხასა. თუმცა «ოსმანაღის» ბატონები აშკარათ არ იყვნენ დარწმუნებულები, რომ ბუნებას არავითარი გარჩევა არ დაედო «ოსმანაღას» და იმის ბატონებში და კაცობრიობრივი გრძნობა და სიმართლე თხოულობდა თანასწორობასა. ბევრი ამისთანა უნდა კიდევ გამოსულიყო ჩვენს ლიტერატურაში, რომ გარეგათ გარკვევით დაენახათ «ოსმანაღის» ბატონობას თავის შეცდომილება. სურამის ციხემ ხოლოდ დასცა ზარი და აუშალა ტანში ჟრუანტელი სიძველისა და სიცრუის მქადაგებლებსა, აუმღვრია სისხლი და აასია ესენი დაწინაურებული აზრების პატრონებზე... უფრო ეს იყო მიზეზი, რომ ჭონქაძის თხზულებას არ იყო ისე შენიშნული ჩვენის საზოგადოებისაგან, როგორათაც «თამარ საქართველოს ბატონიშვილი.» განათლებულმა საზოგადოებამ, რასაკვირველია, შენიშნა ეს თხზულება; ახალგაზდა მოსწავლეთ თითქმის გაიზეპირეს, მაგრამ უჰ! ამათ იქით ბიჯიც აღარ გადაადგა: «ოსმანაღის» ბატონებმა ლანძღეს მინამ მოიღალებოდნენ ავტორიცა და რედაკტორიცა; სიძველისა და სიცრუის მქადაგებლებმა ერთპირათ დაამტკიცეს ჭონქაძის უნიჭობა. შემდგომ <u>მცირედის</u> ხანისა ავტორი „სურამის ციხის გარდაიცვალა. ამის მაგივრობა ვეღარავინ გასწია: ყველა, რომელსაც ცოტაც არის ესმოდა ჩვენი უბედუ-

რება და ურიგო მდგომარეობა, თითქო ერიდებოდა რომ დაეწერათ რამე შესახებ ჩუჱნის ქვეყნისა; იმის საჭიროებისა და ნაკლებულებისა, უშვებდა ყოველს მოვლინებასა და შეუნიშნავად საჭიროებასა, ყოველივე დარჩა წარმოუთქმელათ და დაიწყეს ისევ ძველებურს კილოზედ წერა. პატარას ხანს შეშინებული კანსერვატორები გამოვიდნენ ისევ ასპარეზზედ და დასცეს თავის საყვირი: აშალეს თავის თანამოძმე და მომხრე ხალხი; მიაგებეს დაფნის გვირგვინი უუ. სულ... ქვემოულ ეფთიმე წერეთელს, ბერიძეს, რჩეულოვს, და სხუა ამ გვართ უნიჭოს და კონსერვატორულს მწერლებს...

(როგორც წეღან მოგახსენე, «სურამის»—ციხემ ვერ შეიძინა ის დიდება და არ შეიმოსა იმ ღირსების გჳრგჳნითა, როგორც თამარ ბატონი შჳლი, როდესაც სურამის ციხე ისე მაღლა სდგას ამ თხზულებაზედ თავისის საგნითა და იდეათი, როგორც იალბუზი კვერნაქზედ. უნდა სწორეთ მოგახსენოთ, რომ, არამთუ ვერაფერი იდეა ვერა ვპოვეთ რა ჩუჱნ თამარ ბატონისშჳლში (და სხვა რჩეულოვის თხზულებაები ხომ ღმერთმა შეინახოს) და საგანიც ვერ მიუყენეთ --თუ რა ჰქონდა ამის ავტორს ამ თხზულების საგნათ;—გარდა ამისა ამ რომანში: არც სიცოცხლეა, არც სინანდვილე, არცა რა რამ ისტორიული, არც ხასიათება, არც სახე გვამისა, არც დროების სანახაობა, ერთი რაღაც რამ გადაკიბულ-მადმოკიბული ცრუ შენთხვევაები; ამასთანვე ამ რომანიდამ სჩანს, რომ ამის ავტორს არცარა უსწავლიარა და არცარა უკითხავს რა, ზოგიერთა ფრანციცული რომანე-

ბის მეტი. აი, ამის ერთს საკვირველს ისტორიის ცოდნას წარმოგიდგენთ: ლაშა გიორგის დროს (უფ. რჩეულოვი ბძანებს თავის რომანში) თოფები ყოფილან და ისიც საქართველოში და ჰაერში თვალმიუწდომ სიმაღლეზედ ფრინველი უსოციათ; ეგრეთვე, რჩეულოვს თამარ ბატონისშჳლშია სცნობთ, რომ მეთოთხმეტე საუკუნეში სტამბოლის სულთნები ყოფილან და სხუ̂ა რამდენი ამისთანა. რა კითხი უნდა რომ კაცი, რომელმაც ასრე კარგათ იცის ისტორია, კარგათ დასწერს ისტორიულს რომანსა. არა უფ. თამარ საქართველოს ბატონისშჳლის ავტორო! ისტორიული რომანების მწერალს ჯერ უნდა ჰქონდეს ნიჭი და მერე იყვეს ძალიან განსწავლული და დახელოვნებული გარდა ისტორიისა, კიდევ-ბევრს სხუ̂ა სამეცნიერო სწავლაში; მარტო ფრანციცული რომანების კითხვა საკმაო არ არის ამისთანა მძიმე საქმისათჳს. თქუ̂ენი რომანი, ისტორიული რომანიკი არ არის, როგორც თქუ̂ენ უწოდებთ და ლიტერატურის ისტორიისათჳსკი გამოდგება საოხუნჯოთა..... ჩუ̂ენ ამ რომანზედ ვეცდებით, რომ თავის დროზედ უფრო დაწვრილებით მოვილაპარაკოთ თუ შენთხვევა გვექნება და მაშინა სცნობს მკითხველი, თუ რამდენზედ დაბლა სდგას ეს თხზულება „სურამის ციხეზედ.

ჩუ̂ენ სრულებით არ ვეთანხმებით იმათა, რომელნიცა გაზდევენ ძველს აზრს და იძახიან: ხელოვნება ხელოვნებისათჳს უნდა იყვესო. ჩუ̂ენ ყოველთჳს წინააღმდეგის აზრისა ვიყავით: როგორათაც ხელოვნებითი თხზულება

დაწვლილებით საგნების ანალიზით. ზოგერთს ალაგებით მეჯლახუაშვლი სჯობს სურამის ციხესა. თუ გავშინჯავთ და კარგათ დავხედავთ ვცნობთ, რომ აქ ხელოვანება სწორედ თითქმის ხელოვნებისათჳს არის ნახმარი, მაგრამ ერთი კიდევ კარგი ღირსება მეჯლანუაშვლისა არის, ცნობა ხალხის მდგომარეობისა რომანის დასაწყისიდამ.

სურამის ციხე რადგანაც იმისთანა საგანია, რომ წარმოგვიდგენს თითქმის უმთავრესს ჩუენს ცხოვრებასა, რომელიც არის ჩუენში ისე გაცხოველებული (იყო) რომ მთელი ჩუენი ყოველი არსება არის იმაში შეცული, რომელიც ისე უწყალოდ გვიხშობდა თვალებსა და, რომელიც არის უპირველესი ნაკლებულება ჩუენი, ამის გამო ჩუენ ჯერ ამ მხრიდამ უნდა გავშინჯოთ და წარმოუდგინოთ მკითხველს ამის ღირსება და ნაკლებულება; მე ვამბობ შესახებ თავისუფლებისა ამ საგანში. ავტორს ეტყობა დიდი გამოცდილება, ეტყობა, რომ ეს საგანი ღრმათა ჰქონია ჩატანილი გულში. ამ საგანს გვიხატავს ავტორი ნათლათ და გარკვევით, მაგრამ დაწვლილებითკი ვერ გვიჩუენებს ჩუენ ამ ცხოვრებას და არც უშვრება ანალიზს, რომელიც დიდი საჭიროა სრულის გაცნობისათჳს ამ ცხოვრებისა.

თავდაპირველათ სურამის ციხის ავტორს გამოჰყავს სცენაზედ დურმიშხან და გულის ვარდი — მოსამსახურეები. ამათს ამბავს ალაპარაკებს ავტორი თავის მეგობრებს, რომელნიც ერთათ იკრიბებიან მტკვრის პირს. აქ ურიგო არ იქნება მოვიხსენიოთ ხასიათი შეკრებულებისა.

თუმცა ამ შეკრებულების გამოსახვა სრულებით არა

სურებია ავტორსა, მაგრამ ამის უნებურათ, როგორადაც გამოდიან თავის თავად ამის ამხსნავები სცენაზედ და ამცნობენ მკითხველს: ესენი ლაპარაკობენ ამ თხზულებას და ლაზღანდარაობენ ერთმანერთში. ეს შეკრებულება და ამათი ლაპარაკი წარმოგიდგენთ სწორეთ იმ პირთ, რომელნიც ხოლოდ ბახუსის თაყვანის ცემაში შედიან რისამეს სჯაში, ისიც უთავბოლოდ; და უმისოდკი თუნდ ქუა ქუაზედაც ნუ დებულა, არაფრის დარდი არა აქუთ, არცარაფერზედ ჰფიქრობენ. ქვეყანას რომ ცეცხლი ეკიდოს, ესენი ხელებს მოითბობენ. ზოგიერთა პირნი ამ მოამბეთაგანნი საკვირველათ აშკარათ აჩენენ და აცხადებენ თავისს ხასიათს, მაგალითათ: ფილოსოფოსი და კნ. ლიბერალი; ესენი წარმოგვიდგენს ჩუენ სწორეთ იმ პირთ, რომელთაც ჩუენ ვიცნობთ და ყოველს ნაბიჯზედ შეგვხვდებიან. ფილოსოფოსი თავის ფილოსოფიით ისეთ უდროვო დროს და უთავბოლოთ ირევა ლაპარაკში, რომ კაცს ბრაზი მოზდის და ისე ხშირად განამეორებს ამას, რომ სწორედ, გაჭრილი ვაშლივითა ჰგავს ერთ რომელსამე თქუენს ნაცნობს ფილოსოფოსსა. აგრეთვე კნ. ლიბერალი; თუმცა ამას სახე და ხასიათი უფრო დაფარულია ფილოსოფოსზედ, მაგრამ მაინცკი კიდევ იცნობთ ქართველს ლიბერალსა, რომელიც მინამ არის ლიბერალი, მინამ იმის ინტერესს შეეხებოდეს რამე. აი ეს არის ჩუენი საზოგადოება: მინამ არ შეიკრიბებიან და ნუნუას არ გადაჰკრამენ, მინამ ვერასფრის სჯაში ვერ შევლენ და არცარას ფიქრი აქუთ. მაშინკი ეეშლებათ ყოველივე საფიქრებელი და ისიც წაღმაუკუღმა; რაკი

დაიშლებიან, ისევ ყველა დაავიწყდებათ და მიჯდებიან კერას პირსა გულხელ დაკრეფილები!...

აი როგორა ჰხატავს ავტორი «ოსმანაღის,» ბატონებსა, ოსმანაღებსა, დურმიშხანებსა და სხჳათა. დურმიშხან და გულის ვარდო შეიყრებიან ერთათ. ვარდოს გაგიჟებით უყვარს დურმიშხანი და დურმიშხანმა ეს კარგათ იცის, თუმცა თითონკი არ უყვარს, და რაკი ჰხედავს იმასთანა პირსა, რომელიც გულმოტკივნებლად დაუგდებს ყურსა ამის სამწუხარო თავგადასავალსა, წარმოსთქჳამს გულდამწვარი და უამბობს საყვარელს თავის გამოვლილს მწუხარებასა. აი რას უამბობს:

«ერთხელ, ჩემი ეხლანდელი ბატონი ბრძანდებოდა. იმერეთში. მაშინდელს ჩემს ბატონთანა. იმ დროს, როდესაც ისინი ეწეოდნენ ქეიფსა, აკი მომიხდა შესვლა იმ ოთახში, სადაც ისინი ისხდნენ, და რაღაცა ჩემი უბედურების წერა იყო, მომიწონა მეხრანბატონმა და მაქო. ის იყო ჩემი საქმე გათავდა; მეორე დღეს რო მოდიოდა შინ მეხრანბატონი, იმის ბიჭის ცხენს უკან შემომისვეს და გამომაყოლეს უკანა. საწყალი დედა ჩემი რანაირათ იკლამდა თავს უნდა გენახა გულოჯან, მთელი ქჳეყანა ზედ დაედო, მაგრამ ვერ დააყენეს. მე ტუტუცს მიკვირდა ის მწუხარება, რა ვიცოდი რო ის იყო უკანასკნელი ჩემი ნახვა დედისა. რა გამოვცადე შემდგომ ამისა, შენ ვერ წარმოიდგენ ვარდო, და რა არ გამოვცადე? შიმშილი, წყურვილი, სიცივე, ცემა, დაცინება დასხჳა ბევრი ამისთანა გამოვცადე თქჳენს საქართველოში. ვინც რასმე დააშავებდა, ყველა ჩემი ბრალი იყო: ვინ რა

მოიპარა? იმერელმა. ვინ რა გასტეხა? იმერელმა. ვის დასცინიან? იმერლის ბიჭს. მე,კარდოჯან ბევრჯერმიგმია ღმერთი ჩემის გაჩენისათჳს, ბევრჯერ მიტირნია ცხარის ცრემლით, მაგრამ ვინ იყო ჩემი ნუგეშის მცემელი? არავინ »

აბა, ცხადათ არ იცანით აქ ჩუენი ერთი საზოგადოობის მდგომარეებას!... ოჰ! რა საზიზღარია და საზარელია მოსაფიქრებლათაც: ერთი ბეწვა ბავშვს, დედის ერთა შჳლს, —ერთის მოწონებისათჳს აშორებენ საუკუნეთ თავის დედასა! რა საკვირველია დედას ველარავინ ვერაფრით ვერ ანუგეშებდა. ანგი რით ინუგეშებდა თავის ერთად ერთს შჳლს?... ამ მწუხარებას «ოსმანალისბატონები» ისე უცქეროდნენ, ვითომც ჭიანჭველასაც არ გადუგლიაო. ოჰ!. ეს სამწუხარო დამწვარი დედის მდგომარეება თჳთ ქჳასაც გამოაჩენინებდა შებრალებას და «ოსმანალის» ბატონებიკი, რომელნიც არიან კაცნი და უწოდებენ თავის თავს ქრისტიანედ—არა ჰქრძნობდნენ არასოფერს გულმტკივნეულებას ამ შენთხვევაში და პირიქით კიდევაც დასჯიან ხოლმე თავისგნით მწუხარებაში ჩავარდნილს უბედურს..., ყველანი არ არიან ასეთები; ჩუენ ყველასკი არ მოგახსენებთ, ხოლოდ «ოსმანალის» ბატონებზედ ვამბობთ. საკვირველი ზნე სჭირთ ზოგიერთებსა, გოგოლისა არ იყვეს: «ერთს ტიტულიარნი სოვეტნიკზედ, რომ ლაპარაკობდე, ყველა ტიტულიარნი სოვეტნიკები თავის თავზედ მიიღებსო.» ასე ჩუენ ზოგი ერთს მოზდის, ერთზედ რომ ლაპარაკობდე, ყველანი თავპირზედ ხელს ისმენ, უთუოდ ჩუენს ჩირქზედ ლაპარაკობსო.

შემდგომ ბატონები, თავისის კეთილის სინიდისით, ანთავისუფლებენ დურმიშხანს და ვარდოსაც, რომლისაც სურვილი ექნება. დურმიშხანი მიდის სხვა მხარეს და ქვეყნებში ფულის საშოვნელად.—იმის სიცოცხლის საგანი, თითქმის სულ ფულია და გულის ვარდს აძლევს პირობასა, რომ დაბრუნდება თუ არა შეირთავს; უბედური გოგოც ერწმუნება და ანებებს თავსა. რომლისაც დურმიშხანი გადის ქალაქიდამ და ჩამოხტება ერთს მინდორში პურის საჭმელად, მაშინ შეეყრება ოსმან აღას, რომელსაც ძალიან მარჯვეთ გვისახავს ავტორი. თითქმის საგანი სურამის ციხის თხზულებისა არის ოსმან-აღა და იმის ბატონები; აქ ავტორი ხმარობს ყოველს თავის ნიჭს და მხატრობითის ხელოვნებას; თუმცა სრული ხელოვნება და დაწვრილებითი ანალიზი არ არის აქაცა, მაგრამ ჩვენ ამისაც კმაყოფილნი ვართ, რომ ასე მარჯვეთ მიუყენა სინანდვილეს თავის მხატრობა და არც ერთს ნაბიჯს არ გადუდგა იმ ოსმან აღებსა და იმათ ბატონებში. დიახ! ესრეთები არიან გლეხები ქართველი გლეხის მოთმინება უჯათში, და ნემეცისა საქმეში, სწორეთ შეუსადარებლები არიან. ქართველი გლეხი ითმენს და ითმენს დიდს ხანსა და მეტი უჯათი ენდა იყვეს, რომ ის გამოიყვანოს მოთმინებიდამა, და თუ გამოვიდა მოთმინებიდამ, მაშინ ის—ის ქართველი აღარ არის, რომელიც განახავთ სახრესა და მათრახის ქვეშა, ის მშვიდობიანი და უურმიგდებული ქართველი,—მაშინ ის არის აღელვებული და გააფთრებული, როგორადაც დაჭრილი ლომი, და ველარა ვითარი ღონის-ძიება

ვეღარ შეიმაგრებს იმასა,—მაშინ ყველა მიაჩნია იმას იოტათ, მინამ გულის ბუხარს არ იყრის მტერზედ. ამ საგანში საკვირველათ მარჯვეთ შერჩა კალამი ავტორის სინანდვილესა, რომელიც ასე ჭეშმარიტია და აუცილებელი ყოველის იქამდინ მიღწეულის კაცისა, სადამდინაც მია-წევინა ოსმან აღას თავისმა ბატონმა. აგრეთვე კარგათ გვისახავს ავტორი ოსმან აღას, მაშინ, როდესაც იმას ყურის ჯვარი და შემომჭკდომია უმანკო ბავშვი: ამის სისხლი და უმანკო გულის მომკვლელი სიტყვები: «მე რა დავაშავე, რათ მომკალ....» ყოველგანა სდევნიან უბე-დურს მოსისხარსა, რომ ეს წყლული როგორმე გაიმთე-ლოს; მაგრამ სინიდისის პატრონს და კაცის გულს აღარაფრით შეუძლიან დაივიწყოს, არამცთუ უმანკოთ მოღვრილი სისხლი და ერთს უბრალო უსაბედოთ ჩადენილს დანაშაულსაც არ მიუტევებს სიკვდილამდინ თავის თავსა.. ამის გამო, ოსმან აღას, თუმცა დიდიხა-ნია, რაც გადაჭხედია ეს უბედურება და არის მასუკან სულ სინანულში, მაგრამ მაინც კიდევ ცხადათ თუ სიზმრივ განდევნის ყველგან ამის სინიდისს უმანკო მსხვერპლი —მაგრამ მაშინ, როდესაც ოსმან-აღას ეს შემთხვევია, აღარ ახსოვდა იმას ისა რასაც თითონვე ჩადიოდა: ამასა ჰქონდა სისხლი ამღვრეული და გონება დახშული ზღვევისაგან; ისიყო მოთმინებიდამ გამოსული ქარ-თველი;—იმას მიაღწევინა იქამდინ უმანკო ბავშვის მამამ და იმანაც აღარ დაინდო შვილი თავის გამაუბედურებე-ლისა. აი რა უსამართლობა და უჯათი მიაყენა ბატონ-მა ოსმან-აღას, აქ მოვიყვანთ თვითონ ავტორის მხატ-

რობას, რომელსაც ათქმევინებს ოსმან-აღას:

«მამი ჩემის სიკუდილის შემდგომ ჩუენი სახლი ყო-ველივე გადაბრუნდა გულაღმა.--ამბობს ოსმან-აღა, ბა-ტონმა ჯერ წაგვართვა ვენახი, მერე თითო ხარკამბეჩი და უკანასკნელათ უბძანა დედა ჩემს, რომ გადასახლე-ბულიყო იმასთან სახლის მოსამსახურეთა. საწყალი დედა ჩემი!(ოღონდა და საწყალი!) უნდა გენახა რა მწუხარებით ესალმებოდა სახლს! ღმერთო, რა გუარ არ ეხვეწებოდა საწყალი ბატონს, რო დაენებებინა თავი და არ მოეშა-ლა ოჯახი, მაგრამ ბატონს ვითომც არცკი ესმოდა.»

«იტირებს, იტირებს და დაჩუმდება,—აი აზრი რო-მელთამე მებატონეთა. იმათ ჰგონიათ, რომ, ჩუენ კაც-ნი არ ვიყვნეთ, ჩუენ არ შეგვეძლოს სიყუარული და სი-ძულე; იმათ ჰგონიათ, რომ ჩუენ არ გვქონდეს გული, არა გვქონდეს სჯა.»

ამის დედის ხუეწნაზედ აი რას უპასუხებს ბატონი:

«—ეი, დედაკაცო! მე არ მიყუარს ბევრი ლაპარაკი, ხვალვე მზათ იყავ, უბძანა ბატონმა და გაიცინა იმიტო-მა, რომ ერთმა მწევარმა რაღაც სასაცილო ჰქნაა—ო! რა საზარელი იყო ის სიცილი დედის ჩემის მწუხარებას-თან. მე დარწმუნებული ვარ; რომ მაშინ არ იცინოდა კაცი, კაცში იცინოდა ეშმაკი, და ამისთანას დროს ხო-ლოდ ეშმაკს შეუძლიან გაცინება.»

სწორეთ, რომ ამ უბრალოს და მართლის გლეხის დედაკაცის საშინელს მწუხარებაზედ, თუ არ ეშმაკის გუ-ლის კაცს, სხუა ქრისტიანის სულის პატრონს და სი-ნიდისის მქონეს არ გაეცინება, მაგრამ ჩუენდა სამწუხა-

როდ ეს სცენა, ავტორისაგან გამოსახული, ისე ნამდჳ-ლია და მართალი, რომ იოტის წონაც არ ურევია მომატება

ბოლოს, როდესაც ბატონმა შეიყვანა ესენი სახლში, ერთს დროს ეწჳა ამ მებატონეს ვიღაც დჵდელი და ამ დჵდელს მიჰყიდა ეს უბედური სახლობა. ეს ამბავი რა-გი ოსმან-აღის დედამ შეიტყო, გაიქცა შჳლებით: ოს-მან-აღით და ერთის ქალით, ქალაქს. იქ დიდს ხანსა ჰფა-რეს სხვის სახელობაზედ და ბოლოს გასცა ერთმა დჵდელმა, რომელსაც დედა ოსმან-აღისა გაუტყდა აღსა-რებაში თავის ვინაობაზედ, და იმავე დღეს ხელებ შეკ-რულები წაიყვანეს თავის ბატონთანა. ახლა უყურეთ რას უზამს თავის ბატონი ამ საცოდავთა.

«ბატონთან რომ მიგვიყვანეს,—უამბობს დურმიშხანს ოსმან-აღა,—იმან სხჳათა და სხჳათა სასტიკთა ტანჯჳა-თა შემდგომ უბძანა ბიჭებს რო შეგვებით გუთანში, დი-ახ გუთანში, ისე როგორც აბამენ ხარებს, ხარის უღე-ლი დაგვადგეს კისერზედა. მაგრამ ეს სასჯელი ბატონ-მა ჰპოვა სუბუქათ ამიტომა, რომ გუთანში ხარები დადიოდნენ ძრიელ ნელა და ვერ დავიღალებოდით, და ამისთჳს მეორეს დღეს შეგვაბა კევრში, კევრზედ დაუ-დგა თჳთონ და გვერეკებოდა. ცოტათ რომ დამდგარ-ვიყავით ამოსუნთქვისათჳს მაშინვე გველოდა სახრე. კარგათ მოგეხსენებათ რამდენი სირბილი შეუძლიან კაცს, უმეტესად ისე დასუსტებულს, როგორც იყო დედა ჩემი. თჳთქმის ათჯერ შემოურბინა კალოსა ისე, რომ ერთი ჩივილიც არ ამოსვლია პირიდამ...»

აი კაცის ღირსება! დედაკაცი მოუძლურებული და ჯან მოწყვეტილი ჰგრძნობს თავის კაცობრივს ღირსე-ბასა, ჰხედავს თავის მებატონის მხეცურს ჟინსა და უსა-მართლობასა და არ უტყდება სიკჳდილამდის და არ ამონებს თავის კაცურს ღირსებას და გრძნობას იმის კაცთა გარეგანს და ულმრთოს გრძნობასა და მხეცურს ლტოლვასა! ამაში აჩენს ავტორი თავის ძლიერს ნიჭსა, რომელსაც აკლდა მხოლოდ შემუშავება. — იქნება ბევრმა სთქჳას, რომ შეიწრებული კაცი მაშინვე შეწყალებას მიატანს და შეაბრალებს თავსაო თავის შემაიწროებელს, მაგრამ არა! ჩჳენ უპასუხებთ, რომ არა! კაცი თუ კა-ცურის გულისა და კაცობრიულის ღირსებაებისაა, ის ამ შემთხვევაში არ ამონებს თავის მაღალს საღმრთო გრ-ძნობას ამ მხეცურს და არა კაცურს გრძნობასა; ისა ჰხე-დავს მაშინ თავს და თავის კაცობრივს ღირსებას ფეხ-ქჳეშ გათელვილს, მაგრამ გრძნობს, რომ იმის ფეხქჳეშ გათელვილი ღირსება დგას შეუდარებლივ მაღლა იმის ღირსებაზედ. რომელიც ამას ანადგურებს. ის კაცი კა-ცი არ არის, რომელიც თავის უსამართლოდ დაჩაგრულს კაცობრივს ღირსებას დაამონებს ამ გჳარს, როგორსაც ჩჳენ გვიჩჳენებს ავტორი ოსმან-ალის ბატონში,— მხეცურს და ველურს ჟინსა,—ის კაცი არის მაშინ ისე-თივე მხეცი და პირუტყვი, როგორც იმის დამამცრო-ბელი, ხოლოდ ძალით იმაზედ უძლური.

«მეთერთმეტეთ, რომ დავიწყეთ შემოვლა,—განავრცე-ლებს ოსმან ალა,—დედა ჩემი უეცრად წაიქცა და მო-კჳდა. საწყალს დედა ჩემს არცკი დააცალეს, რომ მუ-

დათ მომკვდარიყო. ბატონს ეგონა, რომ ატყუებდა იმასა და ამიტომ სახრით დაუწყო ცემა, რო აყვენებინა. სახრის ქვეშ ამოუვიდა სული »

ეს ყოველი მოითმინა ოსმანაღამ ამაში, ამ მოთმინებაში თქვენა ხედავთ ქართველსა: სხვა, ქართველის მეტი, ამას ვერა კაცი ვერ მოითმენდა; (ერთიც კიდევ ნეგრები ითმენენ ამისთანა უჯაოსა) ეს არის ჩვენი ქართველი კაცის მოთმინება, და ავტორი არა ჰღალატობს, ამ საშინელს სისხლის ამღრევს და გონების დამაბნეველს უჯაოთში სინანდვილეს და პოეტურის სისრულით გვისახავს იმ საშინელს ქართველი გლეხის მოთმინებასა, რომელშიაც ვერავინ შეედრება, როგორც წელანაც ვსთქვით, ქართველსა. . ამაში გვაკვირვებს ჩვენ ავტორის მოთმინება: სხვა გულსწრაფი ავტორი აქვე ასტეხავდა სისხლის ღვრის კატასტროფსა, მაგრამ ჭონქაძე, როგორადაც სულ-გრძელი პოეტი, ათმენინებს თავის [illegible] ამ საშინელს უჯაოსა, ამ სინანდვილით, რომელსაც ჩვენ ყოველთვის ვხედავთ ჩვენს გლეხებში, სისხლის ღვრის კატასტროფისას და მოქმედების სისრულისათვის ამზადებს სხვა მართალსა, რომელსაც ვეღარა ფიზიკური და ზნეობითი ძალი ვეღარ შეუძლებს და, რომელიც თვითონ რკინაშიაც განაღვიძებს გრძნობასა და თავის სიმართლის ცნობასა.

აი ერთიც კიდევ კარგი მაგალითი, რომ ოსმან აღის ბატონები უცქერიან ამ გვარს უჯაოთსა და საფიქრებლათაც საზარელს საქმეს ისე, როგორც ერთი რაღაც რამ სათამაშოს და თითქო ამათი მოვალეობაა ასეთი უსა-

მართლოდ მოპყრობა ოსმან აღისა:

«გავიდა სამი წელიწადი ჩემი მოყვანის შემდომ, ამბობს კიდევ ოსმან-აღა:—ბატონიც შემირიგდა, ვგონებ ამიტომა რომ, ჰპოვა ჩემში სასარგებლო ნივთი (?) და რა უნდა მოგახსენო? (!) ეძებდა ჩემში ერთგულებას და დაწმუნებული იყო, რომ მე ვიყავ იმის ერთგული. ხა, ხა, ხა! ერთგულებას ეძებდა იმაში, რომელსაც დედა მოუკლა უღელში. საკვირველნი არიან შენმა გაზდამ ეს ხალხნი!...»

აქ ცხადათ აჩენს ავტორი, რომ ზოგიერთნი მებატონენი, გინდა მეუფროსენიცა ნივთივით უყურებენ თავისავით კაცსა; ეს ჩჳენებით ამოწერილი სიტყვები, სწორეთ სარკეა «ოსმან აღის» ბატონების აზრისა და მსჯელობისა: აბა თუ ერთხელ დაჰფიქრდა ერთიც არის «ოსმან-აღის» ბატონი და შევიდა ამის მსჯელობაში, რომ ამ გვარს უსამართლოებას არამთუ კაცი და უგანასხნელი პირუტყვიც არ ამოირიცხავს გულიდამა.

შემდგომ ავტორი ალაპარაკებს ოსმან აღას, თუ როგორ შეუყვარდა იმას ნატო—თავის ბატონის მოახლე. ამათში ავტორი ცდილობს გამოსახოს საშინელი ძლიერი სიყვარული, მაგრამ რადგანაც დაწვლილებით ვერ გვისახავს იმათ ყოველს მოქმედებას ტრფიალებაში, ამისგამო ვერა სწვდება რიგზედ ამ საგანს. ამ გვარი თხზულება არის მეცნიერება (**Наука**) როგორათაც სხჳა მეცნიერებაცა;—როგორც ზაალოგიამ და ფიზიოლოგიამ ორგანული არსების (ცხოველის) ყოველი შედგენილობა და ყოველი კანონი ცხოვრებისა ნათლათ გაარკვიოს და აღრიცხოს

ყოველი იმის ატომი, ყოველი იმის მოქმედება და მოძრაობა შინაგანი და გარეგანი, ეგრეთუჱ ამ თხზულებაშ უნდა დაგვანახოს და შევიდეს ყოველის მხრივ კაცის გულის, ანუ, როგორც ევროპიელები იტყვიან,—სულის ანალიზში: უნდა გვიჩუჱნოს ყოველი მოძრაობა გულისა, ყოველი ზრუჟინა მოქმედებისა და, თუ შეიძლება, ყოველი მიზეზიც დაწყობილებისა; მაგრამ ჭონქაძე ვერ ასრულებს ამ მოვალეობას დასრულებით ვერც ერთგან.— (რა საკვირველია ეს ზომეტებული მოთხოვილებაა ჯერეთ ჩუჱნს ლიტერატურაში, ჩუჱნის ლიტერატორებისაგან, მაგრამ ჩუჱნ ამას ვამბობთ საზოგადოთ: თუ როგორ უნდა იყვეს ყოველს შენთხვევაში) —ნატოსა და ოსმან-ადის სიყვარულში, როგორც ზემოთაც ვსთქვთ, ავტორი ორივეს მხრივ გვისახავს ძლიერს და მართალს სიყვარულს. რასაკვირველია ამათ უნდათ ერთმანერთის ცოლქმრობა, მაგრამ ბატონი ნებას არ აძლევს. შემდგომ, თვითონ ბატონი ნდომულობს გოგოს თავსა «საიმრიგოთ;» გოგო არა ჰნებდება. ბატონი ისტუმრებს სხვაგან სამის კვირობით ოსმან აღას და თითონ ძალასა ხმარობს გოგოზედ; გოგო უფრო ჭირვეულობს და უძალიანდება. მაგრამ ბოლოს რაკი ატყობს, რომ მეტი ილაჯი აღარ იყო—უნდა დანებებოდა ბატონსა, ვერ იტანს ამ უპატი-ურებას, ვერა ჰნტუუნობს თავის საყვარელს და ფანატი-ზმურის აღტაცებით ვარდება წყალში და ირჩობს თავსა. ეს შენთხვეა არის ავტორისაგან გამოყვანილი მხატრობის სისრულისათჳს რომელიც იმასა ჰქონდა თავის თხზულე-ბის უმთავრეს საგნათ: აქ მოდის იმ მდგომარებაში,

უბედური ოსმანადა, რომ აღარ შეუძლიან მოთმინება. კაცი, რომელმაც დაჰკარგა დედა ბატონის უჯათობით უღელსა და სახრეს ქვეშ და, რომელიც იყო უნუგეშოთ დარჩენილი ყოველსავე მხრივ, მოიპოვა ხოლოდ ერთილა ნუგეში ნაცვლად ამოდენის უბედურებისა და სიცოცხლის მოწყვლისა,—სიყვარული. ამ სიყვარულში ჰხედავდა ის თავის სუფევას, გულის და წუღულის გამამთელებელს სამკურნალოს; ესდა აძლევდა ღონეს ყოველის წარსულის დავიწყებისას და ამასაც მოაკლეს ისე უწყალოთ და უსამართლოთ,—ისიც ვინა?—თავისავე ბატონმა, რომელმაც დაამორა თავის დას, თავის ოჯახობას და თავის სიმშვიდეს სიცოცხლეში. ო! აქ ვეღარა კაცის გული ვერ მოითმენდა ამ უჯათისა! აქ თჳთონ ცის ანგელოზიც გამოვიდოდა მოთმინებიდამ! ანჯი რისთჳს უნდაღა მოეთმინა?! ყოველსავე ძვირფასს სიცოცხლეში მოაკლო ბატონმა ესა.... აი, როდესაც შეიტყობს რა მიზეზითაც დაუხრჩვია საცოდავს ნატოს თავი, როგორ უამბობს ოსმან აღა დურმიშხანს თავის ამბავს ბატონთან

«მე გაცხარებული მივარდი ბატონთან.

—ბიჭო, რა ამბავია? დაიძახა იმან,—ეშმაკს გიგავს ეგ სახე.

—არაფერი, სად არის ნატო?

—ეშმაკმა იცის შენი თავი! სულ შენი საქმეა შე ძა... შჳლო, უთუოთ...

«მე აღარ დავასრულებინე სიტყვა და მივარდი ხანჯალით»

—რას შვრები, შე მამაძ...! მიშველეთ, მომკლა,

დაიკივლა ზატონმა.

«ეს იყო იმისი უკანასკნელი სიტყუჱბი, შემდეგ დაიწყო სასიკუდილოთ ხრიალი. ზატონის შეკივლებაზედ გამოვარდა ქალბატონი და ეს ამბავი რომ დაინახა, შეჭკივლა და შევარდა თავის ოთახში. ამის ხმამ მომაგონა, რომ კიდევ მყვანდნენ ჯავრის ამომყრელნი შვილნი და გამოუდექ იმასა. ოთახში რო შევარდი, დავინახე რო ქალბატონი გარდახვევიყო შვილსა და იფარავდა.»

«—სოდარჯან, (ეს იყო ოსმან-აღის სახელი ქრისტიანობაში) მე მომკალ ჩემს გიგოს ნუ მოჰკლავ, არა დაუშავებიარა, მითხრა ქალბატონმა ხვეწნით.

«—მე ნუ მომკლავ, არა დამიშავებიარა შენთჳს, გაიმეორა ყმაწვილმა.

«მაგრამ მე არა მესმოდარა სისხლისაგან გაგიჟებულს და დავკალ დედა შვილს...»

აი სრული ისტორია ჩვენი ქართველი კაცის მოთმინების და იმის გაცოფებისა;—ეს აღწერა თავ გადასავლებისა ძალიან კარგათა აქვს ავტორს აგრეთვილი და გვიჩვენებს ხელოვნიკურის სისრულით, მაგრამ შინაგანს მოქმედებას ვერასა ვხედავთ თითქმის, გარდა იმ დრამატიკულის მდგომარეობისა, რომელსა ვხედავთ, როგორც ზემოთაცა ვსთქვთ, ოსმან-აღაში, შემდგომ უბედურის ყმაწვილ მსხვერპლისა, ამასვე ძალიან მარჯვეთ აგვისახავს, თუ რა რიგათ ჭკჳს სინდისი უმანკოს მსხვერპლისათჳს ოსმან-აღასა. ამ გუარი მდგომარეობის გამოხატვაში ყველგან სჩანს პოეტური ნიჭი ჭონქაძისა, ამ ჩუჱნი სიტყუჱბისა და აზრის დასამ-

ტკიცებლად შეიძლება გამოვსწეროთ ის ადგილი, როდესაც გულის ვარდი ეკითხავს ვეზირს და უნდა ცოცხლივ დაამარხჳნოს შჳლი თავის მუხთალი საყვარლისა,— ზურაბი. აქ საკვირველათ ჩანს ჭონქაძისაგან ამ გუ̂არს შემთხვევაებში, კაცის გულის ცნობა: რა რიგა კოლლიზიას ახდენს უბედურის ვარდის გულში: საშინელი ზღევა, რომელიც დაუდო ვარდის თავის სიცოცხლის საგნათ, ატანდნეს ძალას, რომ აღესრულებინა ის ულმობო საქმე და შეექნა მსხჳერპლათ თავის ზღვევისა უმანკო ყმაწჳლი კაცი, და სინიდისი სტანჯავდა ამისთჳს უსამართლოებისათჳს. აქ ჩხდება საშინელი ბრძოლა ვარდის გულში: თუ დაანებოს თავი და არა ზღოს დურმიშხანის მუხთლობა და არ დასწყჳს დურმიშხანს ამ საშინელის საქმით გული, მაშინ არ ექნება ამისი ზღვევა დაკმაყოფილებული და უნდა ჰქონდეს თავის სიცოცხლეში სინანულათ და იტანჯებოდეს ზღვევის სურვილით; თუ აღასრულოს ეს საშინელი დანაშაურები, მაშინ სინიდისი უწყალოდ სტანჯავს. აი რა მოჰქმედებს ამის თავს მაშინა.... მაგრამ მაინც მეორეთაც მოგვიხდება ამ ადგილის გამოწერა და ამისათჳს ცოტა მოთმინებას ვითხოვთ მკითხველისაგან ...

ეს, რაც ჩვენ ზემოთ გამოვსწერეთ და ავსწერეთ, იყო უმთავრესი საგანი ჭონქაძის თხზულებისა. ავტორმა გამოიყვანა სცენაზედ ოსმანიანის ბატონები და ოსმან აღები; გაგვაცნა ზედ დახედვით ამათი ერთმანერთში მოქმედება, გვაჩვენა ერთის უსამართლობა და მეორის მოთმინება და აღელვება; ის შეეხო ამ საგნით

ჩვენი ცხოვრების უმთავრესს ნაკლულევანებას, ამ საგნით მოსწყვეტა, როგორც წინათაც ვსთქვით, წყლი ოსმალის ბატონებს და ამ საგნით, როგორც თვითონ საგანი და, როგორც პოეტურის დრამატიზმურის მხატრობის შეცულების, სდგას უმაღლეს ხარისხზედ. უნდა ვსთქვათ, რომ ამ თხზულებაში დრამატიკული ხასიათი უფროა, ვიდრე რომანულის ანუ მოთხრობის ხასიათისაგან. და თვითონ სურამის ციხის ავტორში სჩანს რიგიანი ნიჭი დრამისა.—ამ თხზულებაში საღაც კი შეეხება ავტორი დრამულს მოქმედებას, ძალიან კარგათ გვასახავს, ამისთვის ვფიქრობთ, რომ ეს თხზულება ავტორს რომ დრამათ დაეწერა ბევრით უკეთესი და სრული იქნებოდა, ვიდრემ ასრე მოთხრობათ დაწერილი...

შემდეგ ვიდევ, როდესაც დურმიშხანი ირთავს ცოლსა და გაეზრდება საყვარელი მარჯვენ შვილი, ერთსა ვიდევ მაშინ გვიჩვენებს ჩვენს არისტოკრატიას და დაბალის ვაჭრის შვილს: თუ როგორ უყურებს პირველი უკანასკნელს და რა რიგათ ეპყრობათ არისტოკრატებს და შერთ თუ ამაზედ უკეთესი გამოდგა და გაჰბედა ამათმა გარევა არა არისტოკრატმა, ამ შემთხვევაშიც მარჯვენი რჩება სისანდვლესთან ავტორი და გარკვევით გვიჩვენებს ამ ნაკლულებას.

ჩვენ აქ წარმოუდგინეთ საუცხოვეს მკითხველს ის საგანი და იდეა, რომელსაც ჩვენ ვსახავთ უმთავრეს ღირსებათ ამ თხზულებაში, ახლა გავშინჯოთ ჩვენ ხასიათები მოქმედთ პირთა, რომელიცა შეადგენს თუთქმის თხზულების პირველს ღირსებას და საჭიროებას:

ყოველს თხზულებაში, ყოველი მოქმედი პირი უნდა იყჳნს თავის ინდივიდუალის ორიგინალურის მარტივის ხასიათით. ამ ხასიათებში ჩუენ უნდა ვხედავდეთ მთადაგვარის ხალხის წარმომადგენელს პირსა, ეს ხასიათები უნდა ბოლომდის გაიტანოს ავტორმა და არას წესით არ უნდა უმუხთლოს იმის მოძრაობის დასაწყისსა და საფუძველსა, ეს ხასიათები უნდა იყვნენ აღებულნი ცოცხლათა და ნამდვილთ პირთაგან — აქ ვხედავთ თქუენ პირთ, სხუა და სხუა აზრებისა და მიმართულების პატრონთ გუამთ, მაგრამ ხასიათს ამათისას კი ვერ არჩევთ რომ ჰქონდეს რომელსამე მოქმედს პირს თავისი საკუთარი კერძობითი ხასიათი, გარდა გულის გარდისა: ეგი აჩენს უფრო სხუებზედ თავის ხასიათს, თუმცა ისე ნათლათ კი არა, როგორც შეჰფერობდა კარგის ხელოვნების გამოსახულებას, მაგრამ ისე დახლოებითკი სცნობთ ამის ძლიერს ხასიათისა ამას მოქმედებებში, ისიც მხოლოდ მაშინ, როდესაც დრამული მდგომარეობაში იმყოფება; აი უფრო სად დაინახავთ ამის ძლიერს ხასიათს, მაგალითად: ის, როდესაც იტყობს, რომ დერმიშხანმა უმუხთლა, სდებს თავის სიცოცხლის საგნათ, რომ გადუხადოს თავის დამლუპავს ის უსამართლო მუხთლობა, რომელიც ჩაიდინა დერმიშხანმა ისე საზიზღარის მტყუნებით და მოტყუებითგარდა თავის აზრის აღსასრულებლად არა ჰზოგავს არასფერს, რაცკი უნდა ღირდეს, ოღონდ. გადუხადოს თავის გულის მოკვლა და მტყუვნება. ეს ხდება მკითხავი და საშინელის მოთმინებით ელის იმ უწყალო შემოხვევას, რომელიც ისე მარჯუეთ და მოსისხრობით მო-

ხმარა უბედურს მეხთალს დურმიშხანსა და იმის უმანკო შვილს ზურაბზედ. შემდგომ, თვითქმის ოცის წლისა, იმას ეძლევა შემთხვევა უწყალოს და საზარელის ზღვე-ვისა: სურამის ციხე არა შენდება, მტერი გარეშედ ადგას საქართველოსა და უმეცრმა მაშინდელმა ხალხმა არ იცის რას მიაწეროს ეს შემთხვევა და ვერ მოუფიქრებია რა მოუგვაროს ამასა. ყოველთვის უმეცრი და უსწავლელი ხალხი მიაწერს ბუნების გარეგანს და მიუწვდომელს ძალასა და აქ ეძებს შეღავათს თავის წყლულების გასამთელებლათ. რასაკვირველია ვერ ილოცავდნენ,- თუმცა ამაზედ ავტორი არას ამბობს,—და რაკი ლოცვასა და პარაკლისს ვერა უშველიათ, მიმართეს მკითხავსა. ბევრნი ამტკიცებენ ჭონქაძეს, რომ ამ ალაგას სინამდვილეს ჰმუხთლობს, რომ, ვითომც ვეზირი ისეთი უმეცრი არ იქნებოდა, რომ მკითხავთან წასულიყო და იმის სიტყუე დაეჯერებინა; მეორეც ეს, მაშინ მკითხავები ასე გაცხოველებულები არ იყვნენ;—მაგრამ ჩვენ სრულებით თანახმა ვართ ჭონქაძესთან ამ შემთხვევაში: ერთი ეს, რომ რაც ხალხი უმეცრებაშია, იმდენი ცრუ და ამაო მორწმუნება იმათში გაცხოველებულია, მეორეც ეს რომ, საშინელს ვეზირებს არა ჰქონდათ შემთხვევა იმ სამეცნიერობაების ცნობისა, რომელნიც ამ რწმუნებას მოასწრობდნენ, მესამე ეს, თუნდა გინდაც არ მომხდარიყო, საქმით, ამ გვარს უმეცრებაში ხალხის მდგომარეობისა, აუცილებელი იყო ვეზირისაგან. და მეორეც ეს, რომ ჭონქაძე გვიხატავს ხალხის სულს (Духъ) და ამათი წარმომდგენელი პირი ამ გვარს მდგომარეობაში

არის ვეზირი, რომელიც, გარდა რომლისამე სამხედრო და საპოლიტიკო გამოცდილებისა, არ იდგა არაფრით ხალხზედ მაღლა... რაც შეეხება მკითხავებს; მკითხავები იქ უფრო გავრცელებულია, სადაც ხალხი უფრო უმეც-რია, ამიტომ რომ უფრო მარჯვეთ მოატყუებს და ცოტათაც არის განათლებულს ხალხში ვერ გამოიყენებს თავის ხელოვნებას; ამისგამო მკითხავები მაშინ უფრო გავრცელებულები იქმნებოდნენ, მკითხავი იმ ჟამად საქართველოში ვარდოზედ კარგი არავინ არის და მიდის ვეზირი იმასთან. რაკი მოდის დრო, რომ გულის ვარდმა უნდა აღასრულოს თავის დანაპირები საწყალს უმანკო ზურაბზედ, როგორც წინათაც მოვიხსენიეთ, ვარდოს გულში იბრძვიან ორი წინააღმდეგნი გრძნობანი: სინდისისა და სიბრალულისა და გრძნობა ძლიერის ზლევ-ისა. აი ავტორი როგორ გვისახავს ამ ბრძოლას:

«—აბა ჩემო თავო,—ჰფიქრობდა ვარდო,—აბა ეხლა მოვიდა დრო შენი შურისგებისა, აბა თუ შეგიძლიან რამე, ახლა შეგეტყობა... ჰო წყეულ იყავ დურმიშხან, რისთვის დამღუპე მე საწყალი, რა გინდოდა ჩემგან. რა დაგიშავე, რისთვის მომიყვანე ამ მდგომარებაში? საწყალო ჩემო თავო! დაღუპულო ხორცით, სულითაც უნდა დაიღუპო,—და დაიწყო საწყალმა ტირილი მწარეთ,—აი მე ლაჩარო ჩემო თავო! შეგეშინდა;—ცოტას ხანს უკან ისევ იწყო ლაპარაკი,— აბა შენი გულის მკვლელი ჩაგივარდა ხელში, აბა რა წვალებას მოუგონებ? იმის სიკვდილი? ცოტაა იმისთვის. დეე ეწვალოს ისე, როგორც მე ვეწვალე ამ ოცს წელიწადში...»

აი ის ბრძოლა, რომელიც აუცილებლად უნდა მომხდარიყო ამ შემთხვევაში ამისთანა ადამიანში, როგორიც იყო გულის ვარდი. ამ შემთხვევებით თქვენა სცნობთ ამის ძრიელს და მტკიცე ხასიათს რომელსაც ვერ არყევს ის საშინელი სინიდისის თქმა და სიბრალული და ჭაკის სამაგალითო ზღევს. ლედი მაქბეტი არ შეძრწუნდებოდა ამ საშინელს ბოროტებაზედ, რადგან იმას არა აქჳს არც თუ იოტის ტოლა სინდისი და სიბრალული; კიდეც ამიტომ აბედვინებდა ისე გულ-შეუდრეკლად თავის ქმარს კოროლის სიკვდილს ეს. გარდა ამისა, რომ იყო უსინდისო და შეუბრალებელი, იყო კიდეც საშინელი ანგარი და დიდების მოყვარე დედაკაცი; ამისთვის ის არა ბოროტებაზედ არ შეძრწუნდებოდა. მაგრამ ვარდო იყო ძრიელის სინდისის პატრონი და ამისთვის ბრკოლდებოდა თავის ზღევის ასრულებაზედ თვითონ მაქბეტში ვხედავთ უხასიათობას და სიუნდილეს: ეს სრულებით ვერა ჰბედავს კოროლის სიკვდილს,—რომელზედაც აქეზებს და უმართავს ხელს ცოლი,—და კოროლობაცი უნდა. საშინელი ფიქრები აგიჟებენ ამას; სინიდისი და შიში სტანჯავენ, მაგრამ წინააღმდეგ თავის გულის თქმისა და სურვილისა დგება ცოდვაში და ისვრება სისხლითა ამისი მდგომარეობა. მაშინ როდესაც ის მიდის კოროლის მოსაკლავად, სწორეთ გულის ვარდი მდგომარეობასა ჰგავს, როდესაც იმან უნდა უთხრას ვეზირს, რომ თუ ზურაბ არ ჩაატანეთ ციხესა—ციხე არ აშენდება. ამ—ორთავეში ჰხდება ერთრიგი კოალიზია, ერთრიგი ბრძოლა ორის წინააღმდეგის გრძნობისა; მაგრამ რათგან

თავის სურვილის წინააღმდეგ მაქბეტი დგება სისხლში და ვერ ერევა იმ შემთხვევებისა, რომლითაც არის შემოზღუდული, ამის გამო აქ აშკარათ გვიჩვენებს შექსპირი კაცის სისუსტეს და უხასიათობას. მაქბეტი ერევა ცოდვაში ხოლოდ ცოლის წაქეზებით და იმის დახმარებით. მაგრამ ბოლოში ჩვენა ვხედავთ წინააღმდეგს:: იმას თუმცა სინიდისიც სტანჯავს, სიბრალულიც დიდი აქვს, მაგრამ ის მაინც თავისას არ იშლის და არ ემონება შემოხვეწებებსა და მდგომარეობას, რომელშიაც გრძნობა სინიდისისა და სიბრალულისა აყენებს; იმის სურვილია — ზღევა; იმის ხასიათი არის მიმართული საშინელის ზღევისაკენ და ვარდო ამ ძალით ჰსძლევს ყოველს სხვა გრძნობას, და ამითი რჩება მტკიცეთ თავის ხასიათზე. მაგრამ ეს კიდევ არა კმარა, რომ ისე ცხადათ და კარგათ ვერ გვიჩვენებს ღრმათ ყოველს იმის შინაგანს მოქმედებასა; ჩვენ ვერა ვხედავთ ისე ღრმათ, რომ ყოველი სხეული, ყოველი ძარღვი და [illegible] შევნიშნოთ და გავადევნოთ თვალი და, რომელმაც თავის სისრულით და გულით უნდა მიიზიდოს იქნებისი ყოველი არსება და გულისყური.

დერმაშხასში ვერა ვხედავთ ჩვენ ამ კერძოობით ხასიათს: ის არის როგორღაც ბნელი და მკრთალი მკითხველისათვის: — ავტორი ვერ მისწდომია ამ ყოველს მოვლინებას, რომელნიც მოხდებიან ამ გვარს ძუნწს და წუწკს კაცში; ის გვიჩვენებს ამას საძაგელ — ძუნწათ, ფიცის გამტეხათ, უსაღლოთ და ამასთანავე ალაგისაც გვიჩვენებს, რომ იმას არა ჰქონია სრულებით დაკარგ-

ული სინიდის, მაგრამ ვერ გაძლევთ ავტორი ანგარიშს თუ როგორ მოქმედებენ ეს მოვლინებანი ამ გაუგებარს კაცში; თქჳენი გონება მიებრძვის, ეძებს ჰპოვოს ამ მოვლინებაში სიღრმე, საიდამაც წარმოსდგებიან ან როგორ წარმოდგებიან ეს მოვლინებანი; მაგრა, წინააღმდეგ თქჳენის სურვილისა, ავტორი ვერ იჯერიებს თქჳენს მიმზიდველობას და რჩებით დაუკმაყოფილებელი. აგრეთვე სხჳა მომქმედს პირებში ვერსად ჰპოვებთ, რომ თავის ინდივიდუური ხასიათი და ჩჳეულებანი ჰქონდეს. ისინი, თუმცა ყველანი, სხჳა და სხჳა საქმეს ჩადიან, სხჳა და სხჳა აზრებისა და მიმართულების პატრონები არიან: ზოგი საშინელი ბოროტია, ზოგი— კეთილი და—კეთილშობილურის გულითა; მაგრამ ვერ არჩევთ და ვერა ჰხედავთ, თუ ერთი ისე რათ არის და მეორე—ისე; თქჳენ ამათში ერთსა და იმავე პირსა ჰხედავთ, ხოლოთ სხჳა და სხჳა რიგი საქმით და სხჳა რიგის დაწყობილებით; მაგალითად ავიყვანოთ ოსმან-აღას ბატონი, რომელსაც ავტორი გვისახავს ბოროტად და ზურაბ—დურმიშხანის შვილი, რომელსაც ავტორი გვისახავს კეთილშობილურის გცევის ყმაწვილ კაცად და აიღეთ და მიეცით ერთის როლი მეორეს, იმავე ხასიათებითვე დასტოვეთ, რომლებითაც წინათ იყვნენ,—და ცხადათ ნახავთ, თუ კარგად ჩააცქერდებით, რომ არ არის მიზეზი რომ ერთმა მეორეს როლი არ აასრულოს, როგორც ნანდვილმა მოქმედმა პირმა,—ეს იმიტომა, რომ ყოველი მოქმედება მოქმედის პირისა არ წარმოსდგება თავის დასაწყისიდამ და არ ამოდის სულისა და გულის

სიღრმიდამ; ჩუენ უნდა მოგახსენოთ, რომ მოამბე (ერთ იმპირთაგანი, რომელნიც უამბობენ ერთმანერთს სურამის ციხეს) «ფილოსოფოსი» ყველაზედ ცხადათ სჩანს, წინააღმდეგ ავტორის სურვილისა, თავისის ხასიათით: თქუენ ამ პირში ჰხედავთ, რაღაცა ნაცნობს, თითქო ეხლაც გელაპარაკებოდი ამისთანა კაცსაო- თქუენ, თუნდა კიდეც არავის იცნობდენ ამისთანა კაცსა, მაინც თვალწინ გიდგიათ და იხატავთ, რომ სწორეთ ამისთანანი ბევრნი უნდა იყვნენ ჩუენშიაო...

ყოველმა თხზულებამ ყოველი მოქმედი პირი უნდა წარმოგვიდგინოს თავისის ხასიათით--საკუთარის ხასიათით; ხასიათები უნდა ეთანხმებოდნენ თავის მოვლინებაებს და თავის საფუძველს. თუ თხზულებას ეს ღირსებები აკლია, მაშინ ის თხზულებაები შეიქნებიან რჩეულოვის ცრუ რომანები, ბერიძის ხანიზღვევი და სხუა ამ გვარი უმგვანი თხზულებაების დაგვარი.

ავტორი საკვირველად მარჯვედ ჰკრეფს გონების თვალით ხოლოთ გარეშე მოვლინებას და თავსგადასავალს, ჰკრეფს საზოგადო მოვლენილებას და გიჩვენებთ იმ მოქმედებასა და მოვლინებაში საზოგადო სიბრძნეს. ამასთან, ამ მოვლინებაებსა და თავგადასავლებს აძლევს იმისთანა პოეზიურს ძალას, რომ ურიგო საქმეში გაძლევთ საშინელს ზიზღს და კეთილს საქმეში—მიმზიდველობას, გარდა ამისა სურამის ციხიდამა სჩანს, რომ ავტორს მოუღია თხზულებაში ყურადღება ხოლოდ ცხოვრების გამოსახვისათჳს და ხასიათებისა და კეძობათ ჩვეულებაებისათჳსკი ყური არ უგდია. თითქმის უმთავ-

რესი ღირსება თხზულებისა არის ხასიათები: ჩვენ უნდა გავიცნოთ ხასიათები, იმაში უნდა მივიღოთ გულითადი მონაწილეობა ანუ საძაგელი ზიზღი.. აი თუნდა მაგალითად ავიღოთ ოსტროვსკის «გროზა»-ში «Кабанова» ანუ Дикой» ესენი თავის ხასიათის გამომეტყველებით, რომელსაც ისე მშვენივრათ და მარჯვეთ გვიხატავს ავტორი, ვხედავთ ყოველს ძარღვს, ყოველს იოტს და ყოველს მოძრაობას იმათის გინა შინაგანს, გინა გარეშე ხასიათისას და ისეთს ზიზღს მიიღებთ, რომ უეჭველია, თუ ერთი ბეწვაც არის ამ ხასიათის ჩირქი გცხიათ, მაშინვე არ ეცადოთ ამის გარეცხას და იმ უშვერების განდევნას, რომელსაც ჩვენა ვხედავთ ზემოთ ხსენებულს პირებში. მაგრამ ჭონქაძეში ვერა ვპოვებთ სრულებით ჩვენ ამ ღირსებას....

ერთი ღირსებაც კიდევ არის ჭონქაძის თხზულებაში—ტრაგიკური წარმოდგენა მიჯნურობისა და ტრაგიკურათ გამოხატვა სინანდვილისა. აი მაგალითად;—თქვენ შესდიხართ იჭვში, რომ ავტორი ჰღალატობს სინანდვილეს მიმზიდველობის გულისათვს, როდესაც დურმიშხანმა არ იცის ვინ იყო ის მკითხავი, რომელმაც ისე უწყალოთ უმტრო, და მიდის იმის მოსაკლავათ. როდესაც ძველი საყვარლები შეიყრებიან ერთათ, იცნობენ ერთმანერთს, აღელვებული დურმიშხან მივარდება და ახრჩობს. რა საკვირველია, რომ გულის ვარდს წინათვე ეცოდინებოდა ეს. რომ მამა შვილის სიკვდილს სიკვდილითვე მოიზღამდა და ამის გამო წინათვე ჰქონდა ხანჯალი დამზადებული, რომ რაკი თვითონ მოკვდებოდა საყვარლის

ხელით, საყვარელიცა ზედ დააკლა; ვარდის მდგომარეობაში უშველათ ეს უნდა ყოფილიყო იმის სურვილი, რომ საყვარელთან ერთად მომკვდარიყო, რომელსაც კიდეცა ვხედავთ ვარდისა და დურმიშხანის შეჯახების დროს. როდესაც დურმიშხანი მივარდება გულის ვარდს, გულის ვარდი ეხვევა დურმიშხანს და ეუბნება: «—თუ წელიწადის ამდენს ველოდი ...» რომ ჩაჭხუტებოდა, და ამ დროს ურჭობს ზურგში ხანჯალს, და ორნივენი ერთად იხოცებიან. ამაში ავტორი არა ჰღალატობს სინანდვილესა და იმ მოვლინებასა, რომელიც ყოველთვის მოჰყვებოდა ამ ორთავესა. ეს ისეთი მართალია და ისეთი კარგათ და მარჯვეთ არის აწერილი, რომ რომელსაც გინდა შილლერის დრამას არ წაახდენდა და დაამშვენებდა.

როგორც პოეზიური თხზულება თავის გრანდულის გარეშე მოვლინებაების აღწერით ჭონქაძე, როგორც პოეტი, პოეტურათ ისე მარჯვეთ ჰკრეფს სინამდვილეს და გვიჩვენებს ჩვენს შეცდომილებას, რომ არც ერთგან არ შეგვივათ იჭვ სიმართლეზედ.

ბუნების გამოხატვა სრულებით არ მოსდის ჭონქაძეს: ის ვერ აძლევს მხატრობას იმ სისრულეს, რომელიც შეჰფერობს რიგიანს კელოვნებას. არამთუ ის, როგორც ხუდოჟნიკი, ვერა ჰხატავს ბუნებას და, თითქმის, ბრაზიც გიმოგდით, რომ ამ მხატრობაში მარტო საღერღელს გიშლით; შემდგომ იმისთანა საგნებსა ჰხატავს და გირდგენს, რომელიც არას დროს კაცს თვალში არც ეცემა და არც წარმოადგენს იმ სასურველს სანახავს, რომელიც ისე ძრიელ სწყურიან კაცის გონებას (რომელ-

საც თავის ხშირის ნახვით არ მობეზრებია). აი მაგალითად გამოვსწერთ ერთ საუკეთესო ალაგს, სადაც ავტორი ცდილობს ამ გვარს საგანში თავის ჴელოვნების გამოჩენას.

«აი, იმან დაინახა მშვენიერი ყანა, რომელიც ქარს ეთამაშებოდა, როგორც მ ორცხვ პატარძალი თავის დანიშნულს. ქარი ეხვევა, ჩურჩულებს სიყვარულის სიტყვით, მაგრამ ყანა,—ეს კდემული პატარძალი, მხოლოდ მორცხობს და აშორებს თავს. აი ცხვარი მოგროვებული შუა დღეს ერთს ხის ქვეშ. შეხედეთ მეცხვარეს, როგორ სრულ კმაყოფილებით უკრავს სტვირს და ეუბნება ქებას თავის მურიას. უყურეთ მურიას, როგორი გულის ხმის გადევნით უგდებს ყურს თავის პატრონს, მითომ უნდა, რომ არც ერთი სიტყვა არ დაივიწყოს და ყოველივე სიტყვა აგროვოს მარცვლებივით. აი გუთანი ათუდელა, თავისა მოუშორებელი ოროველათი. შეხედეთ გუთნის დედას, კრეზი თავისის სიმდიდრით არ იყო ისე კმაყოფილი, როგორც არის ხოლმე ის მაშინ, როცა უბძანებს მეხრეებს ხარების გარეკას. ხარები! შეხედეთ როგორ აყოლებიათ ორთველისათჳს ფეხები, როგორც კარგს მოთამაშეს ცეკვაში მუზიკისათჳს. ჩვენი კამბეჩი! შეხედეთ რა ბრძენივით ჩაფიქრებული მიდის, თითქო სწყვეტდეს ერთ პიფაგორის ტეორემას. გესმით შორიდამ ბულბულის სტვენა? .»

ესე ყოველივე კარგი,—დაატკბობს და გაგიტაცებთ თავისის სიმშვენიერებით, პოეზიით და სიცოცხლის ბრუნვით, მაგრამ სად არის სისრულე, რომელსაც მოელის

თქუენი გონება ამ მხატრობის დაწყობის დროს: ეს მხოლოდ შეესხო მცირე ნაწილს მინდვრის მცხოვრებთ ცხოვრებასა და არ უნდა დავივიწყოთ, რომ ამ მხატრობას გვიხატავს ავტორი მეგვთან, სადაც გასაშტერებელი ბუნების მოვლინებანი და დიდებანი ისე ცხადათ ეცემიან კაცს თვალში და აშტერებენ კაცს თავისის ველურის სიმდიდრით, სადაც წარსტაცებს კაცს ეს მოვლინებანი, ყოველსავე ცნობას და გულის ყურს: აქ უნებურათ ემონებით რაღაცა ძალას და რაცხო თქუენს თავს მოსაც წინაშე ბუნების ძლიერებისა და ჰხედავთ გასაოცებელს მხატრობას:» გაღმით ტიტველი შიომღჳმის მთა თეთრი, ნიაღვრისაგან ჩამორეცხილის ხრახნილ-ხრახნილის, გუმბათიეთ მოყვანილის სერებით, რომელნიც მუხის ყორულივით არიან შეერთებულნი და თავის წვეტებით მიემგვანებიან შორიდამ დანახულს ქალაქის საყდრების გუმბათებსა და პალატების ბანებსა; იმის კიდევ წვერას ატეხილი ბუჩქნარი, რომელიც შორიდამ მიემსგავსება მშუენიერს ყმაწჳლის, ხუჭუჭს თმას. ძირს მირბის გაჩქარებული მტკვარი, რაღაცა თითქო უკმაყოფილო ბუტბუტით, წინ ჰხედავთ მშუენიერს ვაკე ხლაგნილს გაღმა მხარისას და მშუენივრად აჭყვავებულს და მწვანეთ. დასავლეთით შესაზარავი აწოდებული მთები, რომელნიც, თითქო თავის წამოგცევით, ემუქარებიან კაცსა.» და ბევრი სხუა მოვლინებანი და მხატრობანი, რომელთაც აღწერა მიგვინდვია ნიჭიანის ხუდოჟნიკისათჳს ესენი სრულებით შეუნიშნავათ რჩება ავტორს. რა საკვირველია ბევრი შემნიშნავს, რომ იქნება ავტორი არ იცნობდა იმ

ალაგებსაო. ეგ ფრიად კარგი, მაგრამ რამდენი სხვა მოვლინებაებია ყოველგან ბუნებაში, რომელნიც კიდეც ჩააფიქრებენ კაცსა და კიდეც გაუხსნიან გულს თავისის სანახაობით, ეგრეთვე რამდენ რიგი ცხოვრებაა ყოველს ფეხის დასადგმელს ალაგსა, თუკი ხუდოჟნიკი შენიშნავს; თუნდა ავიღოთ მაგალითად გონჩაროვის რომანი «ობლომოვში» სიზმარი ობლომოვისა. აბა ნახეთ, რომ, როგორ ყოველი მწერის მოძრაობასაცკი შენიშნავს და ისე გვიხატავს, როგორც ნანდვილად არიან, აი სრული მხატრობა; აი სიმშვენიერე ხელოვნებისა და მაღალი ნიჭი ხუდოჟნიკისა!... თუმცა ამ შენთხვევაში სრული არ არის ჭონქაძის კალამი, მაგრამ ამითაც მაღლა სდგას სხვა ჩვენი ავტორების თხზულებაებზე.

ენისაკი უნდა მოგახსენოთ, რომ ასე უკაცრავად არავინ გახლავსთ ენაში, როგორც ჭონქაძე. კაცი, რომ კითხულობს, ჰგრძნობს ამ თხზულების სიმაღლეს, მაგრამ ენა თავისის შეუმუშავობლობით კაცს გულს ურევს. ერთის სიტყვით ენაშიკი ჭონქაძე ვერ წაუვიდა რჩეულოვსა და თითქმის რჩეულოვი კიდეცა სჯობიან. გარდა ამისა ჭონქაძე, ყოველს მომქმედს პირს ალაპარაკებს იმ რუსულ-ქართულა ენით, რომელსაც თვითონა ხმარობს და ეს დიდი ნაკლებულებაა ავტორისა. ჰტორმა ყოველი მომქმედი პირი უნდა ალაპარაკოს იმ ენით, რომელსაც ისინი ხმარობენ ნანდვილად. ჩვენ საჭიროთ არა ვრაცხეთ გამოწერა რომლისამე ალაგებისა ჭონქაძის ენის საჩვენებლად და ვისაც ჰნებავს დამტკიცება ჩვენი აზრის ჭეშმარიტების, შეუძლიანთ შენიშნონ, ჩვენგნით გამოწერილს

ზემოთ სხჳა და სხჳა მაგალითებისათჳს, ალაგებში, რომელიც გამოვსწერეთ იმ სახით, როგორც ნანდვილში იყო, და უნდაკი მოგახსენოთ, რომ ზოგი ერთა ალაგებთან, ეს ჩჳენგნით გამოწერილი ალაგები ბატონია.

წინაალმდეგ ჩჳენის სურვილისა ეს სტატია მოგვივიდა ძალიან ვრცელი და ვფიხილობთ, რო ჩჳენს საყვარელს მკითხველს არ მოვაბეზროთ თავი წვრილი საგნების მიყოლებით და ამის გამო ალაგ-ალაგ ძალიან შევამოკლეთ ჩჳენი განხილვა, რომლისათჳსაც ბოდიშს ვიხდით სულგრძელს მკითხველთან.....

ქერელი ბექა.

**1862** წელსა.
**17** დეკემბერს.

---

# ტფილისის მიმოხილვა.

ჩუენი ტფილისი თან და თან იზრდება, კეთდება ყოველის მხრით. ამ ორის და სამის წლის განმავლობაში, გაიმართნენ სახალხო სასწავლებლები ღარიბის შჳლებისათჳს, ეს უპირველესი და უმთავრესი საგანი, რომელიცა დააფუძნეს კეთილის გულის და სულის მქონეთა. დღე და დღე ემატებიან მოსწავლეები, დღე და დღე ცდილობენ დამაფუძნებლები გაავრცელონ, გააკეთონ უკეთ და უკეთ. სადამდინაცკი მისწუდება კაცობრიობითი მეცადინეობა, იქამდინ მზრუნველობენ, მისცენ ღონისძიებაცა, რომ დარჩნენ ეს სასწავლებლები საუკუნის-უკუნოდ. ამისათჳს, მოახლოვდება ხოლმე თუ არა ყველიერები და დაიწყობენ თეატრში წარმოდგენების მიცემასა, რომლის შემოსავალს უმატებენ სასწავლებლების შემაგრების ღონისძიებასა. წარსულს წელიწადს, თჳთ ამავე დროს თეატრი ჰქონდათ მომართული ძველის სემინარიის ზალაში, სადაცა ყოველს წარმოდგენაზედ ხალხით სავსე იყო. ან ვინ არ წავიდოდა, როდესაც იცოდნენ რა განზრახვითაც თამაშობდნენ მოთამაშენი და რა სა-

განზედაც ერთგულად ეწეოდნენ შრომასა. ამ წელიწადს, ეს თეატრი მოჰმართეს ტფილისის კლუბში. თავადის იგ. მუხრანსკის სახლებში, აქ უკეთ არის მოთავსებული და ხალხიც მომატებული დაეტევა.... ახლა უფრო ვიმედოვნებთ, რომ ჩუჱნის ხალხის განათლება უფრო წინ წავა, და სასწავლებლებიც უფრო გავრცელდება, რადგანაც ნამესტნიკად ჩუჱნს მხარეზედ ინება ჴელმწიფემ დანიშნა თავისის ძმის, მიხეილ ნიკოლაოზის ძისა, რომლისაგან ბევრს კარგს და კეთილს უნდა მოველოდეთ, რა რომ შეგვიტყვია, განათლებისათჳს თურმე არასა ზოგავს!!... ახლა ჩუჱნი საზოგადოება საკმაოთ გრძნობს თავისს საჭიროებასა,-- ერთის წლის განმავლობაში ჩუჱნს ლიტერატურას შეემატა რამდენიმე წიგნები: წარსულს წელიწადს. უ. უ. თულაევმა და ყიფიანმა გამოსცეს ქართულს ენაზედ არითმეტიკა, რომელიცა ჯერ არა გვქონდა ქართულს ენაზედ, და რომელსაც ასწავლიან ახლა სახალხო სასწავლებლებში, ამას გარდა დაიბეჭდა სამი წიგნი: ქართულ-ფრანციზული ლექსიკონი შედგენილი ი. როტინიანცისაგან, ნაპოლეონის ანეგდოტები, ნათარგმნი გ. დიდებულიძისაგან და ქართული კალენდარი შედგენილი ს. მდივანოვისაგან. ისე ღარიბი არის ჩუჱნი ლიტერატურა (ჩუჱნ ვამბობთ ამას იმ აზრით, რომ წიგნები ჯერ ბევრი არა გვაქუს დაბეჭდილები) რომ ცოდვა იქნება შევიდეთ დაწვრილებით ამ გამოცემის წიგნების განრჩევაში; დრო და ჟამი არ მოითხოვს სასტიკად მოგცევასა ამ შემთხვევაში. ამას გარდა, ამ დღეებში გამოვა ჩინებული წიგნი, შეთხზუ-

ლი იოანე ბატონის შვილისაგან, «ვალმასობა» ეს წიგნი დაიბეჭდა ჯერ ერთი ტომი, ორმოც დიდის ტანის თაბახამდეს. ამ წიგნის ღირსებაზედ იყო სტატია დაბეჭდილი დ. ბაქრაძისაგან, საიდგანაც მკითხველებმა საკმაოდ შეიტყვეს თუ რა მნიშვნელობა აქჳს ამ წიგნს ჩჳენში. ამ მოკლეს დროში გამოვაცხადებთ, სადაც შეიძლება ამ წიგნის სყიდვა, მხოლოდ ახლა ამას მოვახსენებთ «ცისკრის» მკითხველთ, რომ ამ წიგნის გასყიდვის ფულებითგან დაიბეჭდება შემდგომი ტომი!.. ახლა გადავიდეთ ტფილისის შექცევებში: თეატრის გვერდზედ აშენეს ახლად მოსულებმა, უცხო. ქჳეყნის ორმა კაცმა, დიდი ფიცრის შენობა (ცირკი) ამ ცირკში გვირაში ორჯელ-სამჯერ ათამაშებენ სპილოს; ამას გარდა ერთი იმ კაცთაგანი არის თვალთმაქცი, ბამბას შაქრათ აქცევს, ფქვილს რძეთ, მშრალ ყავას თქჳენ თვალწინ სტაქანში ჩაჭყრის და აადუღებს, და სხჳა და სხჳა. მაგრამ ეს ოინბაზობა და იმისი თვალთმაქცობა ჩჳენ მაგდენს არ გაგვაკჳრვებს, ჩჳენი ახლა უფრო უკეთესს ოინებს გიჩჳენებთ, გრძელის ხის ფეხებზედ რომ დადის ყველიერებში, ოც ადლ სიმაღლეზედ. თუ გაგვაკჳრვებს, ისევე სპილო, რომელიცა პატრონის ბძანებით, თავისის გრძელის ხორთუმით მოქმედებს: ეს საშინელი უზარმაზარი, თჳთქმის სამი საჟენის სიმაღლე მხეცი, ხორთუმით აიყვანს პატრონს და შეისვამს ზურგზედ, ისევ წყნარა გადმოსჳამს ძირსა, მოიტანს გასაღებს, აღებს ყუთს, იქედან იღებს ფულს და აძლევს პატრონს; რეკავს ზარს, ვითომც ეძახის ბიჭს, მოუტა-

ნენ სტოლს, დაუწყობენ საჭმელს, ჩამოაფარებენ ყელზედ სალფეთქს, მიუჯდება, სჭამს, როცა შემოელევა კიდევ უწკარუნებს ზარს, იმის ნიშნად, რომ ხელახლა მიუტანონ და რა გაათავებს სადილს, ფულს აჩუქებს მოსამსახურეს. არ შეიძლება, არ განკჳრდეს მაყურებელი, როდესაც ხედავს ეს საშინელი მთასავით მხეცი დიდის ხის დიდროან, გრძელ ბოთლებზედ, და თავისს მსხჳლს ფეხებს როგორ აბიჯებს ზედ, ან როგორ მიბრუნდ-მობრუნდება. პატრონისავე ბძანებით, მღერის ბოხ ხმაზედ, თუ წვრილ ხმაზედ, როგორც უბძანებს, და როდესაც გაათავებს ყოველს ამას, დაუკრავს იქ მსხდომთ თავსა და შევა შიგნით! სწორეთ მოგახსენეთ, კაი სწავლაკი დასჭირდებოდა ამ სპილოს! აი მოთმინება?!.. ანბობენ ეს სპილო ჯერ კიდევ პატარა არისო, ექჳსის წლისა; კარგი პატარა ყოფილა! სპილო თურმე სცოცხლებს რამდენიმე ას წელიწადს, ექჳსის წლისა, რომ ეს არის, და რა იქნება ორმოცის და სამოცის წლისა!.. ახლა მივხედოთ ჩუჱნ ძმებს სომხებს, თუ რა ერთგულად იბრძვიან, თავიანთ ენისათჳს, რა თანხმობით აღასრულებენ თავიანთს საღმრთოს მოვალეობასა. ნურც ვახსენებთ იმათს ლიტერატურას, რომელიცა ახლა ძრიელ გაჩაღებული აქჳსთ, ნურც სხჳა ღირსებაებს შევეხებით, მხოლოდ ეს ვსთქჳათ, რომ გამოვიდნენ ტფილისში ყმაწჳლი კაცები, რომელნიცა არდგენენ თეატრში სომხურს პიესებს და ამ შემოსავლითგან, რასაკჳრველია მაახმარებენ საზოგადო სარგებლობას რასმე. ამ ახლოს ხანში, იმათ წარმოდგენაზედ ისეთი ხალხი იყო, რომ რაც უნდა ძჳრი

ფასი მიგეცათ ლოჟაში, თუ კრესლაში, წარმოდგენის დღეს, ვეღარ იშოვნიდით. ბილეთები დაიტაცეს ერთის კჳრის წინეთ. ვინცკი იყვნენ იქ, სომხობა, ყოველს სახეზედ აჩნდა მხიარულება შეერთებული მწუხარებასთან, რა აგონდებოდათ თავიანთი მამაპაპათ ხვე!... ამ 1 ტატიას ვათავებთ ამ მოკლეს მიმოხილვით, შემდგომში ვეცდებით, რაც რომ შესანიშნავი მოხდება ტფილისში, ვაცნობოთ «ცისკრის» მკითხველთ.

---

## გეტერია.

(რუსულით. საბერძნეთის ისტორიიდამ.)

საბერძნეთი, თუმცა დაიპყრეს თურქთა, მაგრამ ამათი დაპყრობა არ უნდა ყოფილიყო დიდის ხნისა ამიტომ, რომ **1**) საბერძნეთი თავის განათლებითა და ცოდნით შეუდარებლივ მაღლა იდგა თურქებზედ, **2**) საბერძნეთს ყოველთჳს ჰქონდა მხედველობაში თავის ძველი დიდება; **5**., ყოველი ხალხი, რომელიცკი ცოტათიც არის ჰგრძნობს თავის სამწუხარო მდგომარებასა და აქჳს იქამდის ცოდნა მიღებული—ცდილობს თავისუფლებასა და **4**) სხჳა კიდევ ბევრი მიზეზები.

საბერძნეთი ბევრჯელ შეეცადა ოსმალებიდამ თავის დაღწევას, მაგრამ სხჳა და სხჳა მიზეზებით ვერ მოიყვანეს ეს აზრი ასრულებაში. ეკატერინე მეორის დროს

პელოპონეზის ბერძნებმა სთხოვეს, რომ ეკატერინეს მიეშველებინა ცოტაც არა: რუსისჯარი იმათთჳს და ისინი ქუდზედ კაცი სულ აეშლებოდნენ ოსმალებსა. ეკატერინემ გაგზავნა მთელი ფლოტი ორლოვის განგებლობას ქუეშ, მაგრამ ორლოვის უჭიგო საქმის წარმოებამ უფროც წაახდინა ბერძნები, თორემკი არა უშველა რა: საცოდავი პელოპონეზის ბერძნები ვინცკი ჩაუვარდათ მძვინვარე თურქის ჯარებს--სულ ერთიანათ გაჟუჟეს ბევრმა ამ გვარმა მეტადინეობამ ჩაუარათ საცოდავს ბერძნებს ამაოთა.

**1813** წლის შესდგა ათინაში საზოგადოება განათლების მოყვარულთა (ფილომესები, გეტერია), რომელთაც უნდა დაეცვათ სწავლა საბერძნეთის ხალხისა, სასწავლებლების დაფუძნებით და ძველი ნაშთების დამარხვით ეს ამბავი არ იყო დამალული არა ვისთან და მეტადრე ევროპის ხალხთან, და ამის გამო თანდათან ძლიერდებოდა ამ საზოგადოების შედგენის მოთავე იყო სახელოვანი, თანასწორობისა და თავისუფლების მოყვარე გრაფ კაპოდისტრია.

კაპოდისტრია, რომელიც ასრე თავ-დადებული იყო საბერძნეთის განთავისუფლებაზედ, დაუახლოვდა გამოჩენილს ბერძნებსა, რომელთაც უფრო ატყობდა სამშობლო ქვეყნისა და მამულის სიყვარულს; იმათ გამოუცხადეს აზრი ამ ორის საზოგადოების შედგენისა. კაპოდისტრია ჰხედავდა დიდს წარმატებას ხალხში და ამისთჳს უფრო აჩქარებდა თავისის აზრის აღსრულებასა და ჰქონდა იმედი საქრისტიანო ევროპის დახმარებისა; მა-

გრამ ამაში კაპოდისტრია ძალიან მოსტყუვდა! მთელს ევროპაში გაისმოდა მეცადინეობა რესპუბლიკის დებულებისა და ყველა ხელმწიფე ჰხედავდა ბერძნებშიაც ამ საქმის დამწყობს და არა ვინ არ მისცა ხელი საშველათ, რადგანაც ამ საქმეში ჰხედავდნენ თავის დამხობას. მაშინ კაპოდისტრიამ გააფთხილა საზოგადოება და ურჩია ყოველის გაუმჟღავნელობა. ეს რჩევა კაპოდისტრიასი იყო მიზეზი მეორე საიდუმლო საზოგადოების შედგენისა, რომელსაც ეწოდა გეტერია. ამ საზოგადოებას შედგენის მოთავე იყო ნიკოლოზ სკუფოსი, პრიკაშჩიკი სავაჭრო კანტორისა ოდესაში. ეს იყო ერთი ერთგული მწევრთაგანი ფილომუზის საზოგადოებისა და რა გაიგონა გრაფ კაპოდისტრიას რჩევა, ჯერ დაეკითხა რამდენისამე სანდო და გამოცდილს სტამბოლელს და ოდესსელს ბერძნებს, რომელთაც მოუმართეს ხელი, შეუდგა მეორე საზოგადოების შედგენას, რომელსაც დაარქვა «მეგობრული საზოგადოება» ამ საზოგადოებაში ერივნენ ბევრი კეთილნი, მხნე და გამოცდილი კაცნი, რომელნიც ყოველს ღონის ძიებას ხმარობდნენ ამ საზოგადოების მრთელი ევროპიის ბერძნებში გავრცელებას.

ამ საზოგადოების პირველი საგანი ეს იყო, რომ მთელის საოსმალოს მართლმადიდებელი ქრისტიანები აეშალათ თურქებზედ ამ დროში ყველა საოსმალოს ქრისტიანები ჰგრძნობდნენ თავისუფლების საჭიროებას და ამისათჳს მეჰეთერებმა იწყეს ალაგების რჩევა სადაც, უნდა ყოფილიყო ყოველთჳს თავი და თავი დაწყობილება და, საიდამაც უნდა დაწყობილიყო აშლა. რომ საოსმალოს და იმის ერთ-

გულს მეგობარს ავსტრიის მმართებლობას არ შაეტყო ამ საზოგადოების დაწყობილება. ისინი ისე უჩჳენებდენენ ქჳეყანას თავსა, ვითომც ფილომუსის საზოგადოებისანი იყვნენ. ეს იყო მიზეზი, რომ, თუმცა ხუთსავე ევროპის პირველს საკელმწიფოში იყვნენ ამ საზოგადოების წევრნი, მაგრამ ვერავინ ვერ შეიტყო ამათი ყოფნა და ეგონათ, რომ ისინიც ფილომუსების საზოგადოებისანი იყჳნენ.

პირჳელივე დაწყობილება და საფიქრელი ამათი ეს იყო, რომ ამ საზოგადოებაში უბრალო და უნდო არავინ გაერია. უფრო ჩიჯიერებსა და სანდოებსა ნიშნავდნენ მოთავეთ სხჳა და სხჳა ალაგებში, სადაც უნდა შეკრებილ იყჳნენ ხოლმე მეჭეთურები. ამასთანავე სგუფოსის რჩევით გაიგზავნენ სხჳა და სხჳა ალაგებში სანდო კაცნი, რომელთაც უნდა ექადაგნათ ხალხისათჳს ერთ პირათ აშლა; ეს პირნი უნდა ყოფილიყვნენ გამოჩენილი თავისის მამულის მოყვარებით და უნდა ყოფილიყვნენ უფრო დაბალის ხალხიდამ, რომ მმართებლობას იჭვი არა შეეტანარა. ამავე შეკრებულებაში დააწყეს, რომ მაღალისა და საჭირო რჩევისათჳს უნდა ამ საზოგადოების მოთავენი შეკრებულიყვნენ ხოლმე სტამბოლში. როდესაც მქადაგებლებს ჰგზავნიდნენ, მაშინ გაჰყვეს რომ უფრო არავის სცოდნოდა ამ საზოგადოებისა ყოფნა, წევრნი რჳა ნაწილათ: **1**) ძმობილები, **2**) მინდობილნი, **3**) იერები, **4**) მწყემსნი, **5**) მწყემსთ-უპირატესნი, **6**) შეწირულნი, **7**) მოთავენი შეიწროებულთა და **8**) საიდუმლო, რომლითაც ატყუებდნენ ხალხსა, ვითომც ერთი

ევროპის ხელმწიფეთაგანი ყოფილიყვეს და არა ნდობოდეს თავის სახელის გამჟღავნებას; ეს უფრო იმიტომ მოიგონეს რომ, ხალხი უფრო გაბედვით შერეულიყო ამ საზოგადოებაში. და მართლაცა—ძალიან იმოქმედა ამან ხალხზედა. მმობილებს უნდა ჰქონოდათ ყოველთჳს მზათ იარაღი და ორმოც და ათი სროლა, რომ პირველსავე დაძახებაზედ მზათა ყოფილიყვნენ; მინდობილებს ეუბნებოდნენ, რომ სარწმუნოებისა და თავისუფლებისათჳს არ დაეზოგნათ არც თავი და არც მტერი სასიკვდილოთა. იერეებს უნდა შეეწირნათ და ეკურთხებინათ ჰეთერისათჳს პირველი ორი ხარისხი; ისეთ უპირატესთ უნდა ექადაგნათ ხალხისთჳს მხნეთ ყოფნა და თავისუფლებისათჳს გარდა უპირველესთ ჰეთერის წევრთ არავინ იცოდა თუ რა დონის ძიება და შეძლება ჰქონდა ამ საზოგადოების ბრძოლისათჳს. ამ დონის ძიებას ღრმათ შესულთ ამ საქმეში, რომელთა უნდა ეწინამძღვრათ მხედრობისათჳს არავის ატყობინებდნენ. შეწირულების მეუფროსეთ ხოლოდ ეს იცოდნენ, თუ რამდენი კაცია ჰეტერიის საზოგადოების წევრნი,რომელიც უნდა სცოდნოდა დიდს საიდუმლოების ქუეშ და იმათ ჩამოდაღმა არავის უნდა სცოდნოდა. ყოველმა ჰეტერისტმა იცოდა ხოლოდ ვინც ის შეიყვანა ამ საზოგადოებაში და ვინ იყო ამის უმფროსი.იერეებს შეეძლოთ ვინც უნდოდათ მიეღოთ და ვინც შემოერეოდა უნდა ყველას შეძლების დაგვარათ შემოეტანათ ფული.ფული ინახებოდა ჰეტერიის კასსაში.

1818 წლამდის ჰეტერიის საზოგადოება უფრო მარჯვეთა სწარმოებდა საბერძნეთს გარეთ.თითონ საბერძნეთიკი დიდს ხიფათში იყო და რამდენჯერმე გინაღამ შეუტყო მმართებლობამ; ამის მიზეზით იყვნენ აჩქარებული ყმაწვილი კაცნი, რომელთაც გული ებრძოდათ ამ საქმის აჩქარებისათჳს და თითქმის საქვეყნოთ აღარა

ჭმალავდნენ 1818 წ. სკუფასი წავიდა სტამბოლში და დაიწყო მხნეთ წარმოება ამ საქმისა; იქ გაიცნა და დაიახლოვა ბევრი გამოჩენილი კაცები, რომლების შემწეობით უფრო და უფრო ავრცელებდა ამ საქმეს მთელს საოსმალოში. და უფრო თანდათან მტკიცეთ მოჰყავნდა წესზედ ეს საზოგადოება. რადგანაც საბერძნეთის მატერიკზედ ეშინოდათ ალი ტებელენის ფაშისა, რომელიც ჯერ ისევ ერთგული იყო ოსმალებისა, ამისათვის ეს საქმე ვერა სწარმოებდა იქ რიგიანათ. პელოპონეზშიკი ძალიან ფერსვი გაიდგა, რადგანაც იქ უფრო ცოტანი იყვნენ ოსმალები და თითქმის მთელი ხალხი სულ ერია ამ საზოგადოებაში.

როგორც ზემოთა ვსთქვთ, ჰეტერიის მოთავეთა ყველა დაარწმუნეს რომ ამ საზოგადოების თავი იყო ერთი ძლიერი, ევროპიის ხელმწიფეთაგანი. ამ აზრმა ძალიან იმოქმედა პელოპონეზის ხალხზედ და ყველა სიხარულით და იმედით ეტანებოდა ამ საზოგადოების შეერთებასა, მაგრამ ბოლოს შევიდნენ იჭვში, რადგანაც ბევრის ხნის განმავლობაში არ იჩენდა მოთავე ხელმწიფე თავს. ამისგამო 1819 წელსა ბევრი პელოპონეზის ხალხი უპირებდა გადადგომას და სრულებით იმათთან ერთობისა და კავშირის მოსწყვეტას. ამ საქმის გულისათვის 1820 წელსა ტრიპოლისში შეიკრიბნენ პელოპონეზის უხუცესნი. ამ დროს ალი ფაშა იყო აშლილი საოსმალოზედ სხვა და სხვა შემთხვევების გამო და ამისგამო პელოპონეზის თათრები და ბერძნები დაიყვნენ ორს პარტიათ. აქ შეკრებილთ უხუცესთ დასდვეს პირობა და შეითქვნენ რომ ერთ პირათ ებრძოლნათ და უთუოთ განთავისუფლებულ იყვნენ თავის შემაწროებელთაგან; ამასთანავე უნდა დიდი რიდი ჰქონოდათ მაჰმედიელებთან; ჰქონოდათ ერთმანერთში მჭიდრო ერთობა

და ჩუმათ ეწარმოებინათ ეს საზოგადო თავისუფლების საქმე. ამათ ხალხის დასარწმუნებლათ გაგზავნეს რუსეთში ერთი თავის სანდო კაცი პოპორიუგოპულო ამ საქმის მოთავესთან.

უხუცესთ დააწყეს, რომ როდესაც პოპორიგოპულოსაგან პასუხი მოსლოდა გეთერის საზოგადოების თავისაგან, უნდა შეკრებილ იყვნენ და წარუდგინათ მაზრებში რჩევის საზოგადოებით, რომელნიც უნდა შეკრებილიყვნენ გეტერის დამკჳდრებისათჳს პელოპონეზში. პირველსავე შეკრებაზედ არჩიეს, რომ გეთერის მოთავე უნდა ყოფილიყო ბერძენი რადგანაც სხჳა ბერძენთ გარეისათ კაცი უფრო წაახდენდა და არ გააკეთებდა საქმეს. გეტერია მოთავობათ მისცეს ფრიად გამოჩენილსა ერთგულს ამ საქმისას და ღონიერს კაცს გრაფ კაპოდისტრიას. ამასთანავე ამოირჩიეს ორი სხჳა კაცი და გაგზავნეს პეტერბურღის კაპოდისტრიასთან დასაკითხავათ. ეს საქმე რომ აგრე სწარმოებდა პელოპონეზში, მოხდა ერთი ბერძნების სასარგებლო საქმე საოსმალოში.

სულთანი ჰხედავდა თავის ურიგო მდგომარეობას და უჭირდა გული, ხალხი იყო დატყავებული ხარჯისაგან და სხჳა შემოსავლები ნახევარზედაც არ აზდიოდა სულთანის უზომო ხარჯსა, დარჩენოდა ერთი ღონისძიება, რომ მდიდარი კაცები დაეხოცა და მთავრობასაგან სიკვდილით დასჯილის ქონება ოსმალების კანონით არის ხაზინისა, ანუ უკეთა ვსთქჳათ სულთანისა (ხონთქრისა) პირველი მდიდარი კაცი საოსმალოში იყო ალი ტებელენის ფაშა ხონთქრის მოადგილე ეპირში. დიდი ხანია სულთანს უნდოდა ამის ქონება მოეგდო ხელში და შემთხვევას ვერა ჰპოვებდა. ბოლოს მოუდო მიზეზები და დაიბარა სტამბოლში თავის მოსაჭრელათ, ალი ფაშა არ წავიდა, სულთანმა იპოვა უფრო მიზეზი იმის გაუ-

გონლობა და გაუსია კარები, ამაში გაიმართა ომი და ეს იყო ის კეთილი შემთხვევა, რომელიც მიეცათ ბერძნების თავის საქმის დაწყობისათვის. ახლა ისინი ელოდნენ კაპოდისტრიასთან გაგზავნილი კაცების დაბრუნებას. რომ აშლილ იყვნენ და დაეწყოთ ბრძოლა თავისუფლებისათვის,

მივიდნენ თუ არა გაგზავნილი კაცები პეტერბურღში კაპოდისტრიასთან და რა უამბეს ყოველივე, იმას დიდათ იამა, მაგრამ ჯერობით კი არ იკისრა ამ საზოგადოების მოთავეობა. კაპოდისტრიამ თავის მხრივ ამცნო იფსილონტის, რომელიც იყო ძალიან მიღებული ალექსანდრე 1 რუსის ჴელმწიფესთან და სთხოვა, რომ იმას ეთხოვნა ამ საქმეში ჴელმწიფის დახმარება, იფსილონტიმ სიხარულით იკისრა ეს. ეს ყოველივე გაგზავნილი კაცით შეატყობინეს საზოგადოებას და მას აქეთ უფრო გახშირდა მიწერ-მოწერა გეტერის საზოგადოებაში ყოველს მხარეს.

იფსილანტიმ რაკი იკისრა გეტერის საზოგადოების მოთავეობა, მაშინვე შეუდგა იმის რიგზედ მოწყობას და ჯერ პირველადვე მოშალა ის სხვა ხარისხი, რომელიც დასდეს ამ საზოგადოების დამწყებთა, შემდგომ დაეთხოვა რუსის მთავრობას ავათმყოფობის გამო და წავიდა ამ საქმისათვის ოდესაში. შეიტყეს თუ არა ეს საქმე რუსეთში მყოფთ ბერძენთა მაშინვე შეაწიეს ამ საზოგადოებას დიდ-ძალი ფული, მაგრამ ოდესსაში სხჳა და სხჳა კაცობრიობის შემარცხვენელთ პირთ თითქმის სულ შეჭამეს.

მოვიდა თუ არა იფსილანტი ოდესსაში, იმან ნახა პოპორიგოპულო. პოპორიგოპულომ უამბო იფსილანტის უფრო წვრილად პელოპონეზის მდგომარება და არჩიეს, რომ ბრძოლა დაეწყოთ დუნაიის სათავადოები-

დამ. ამავე დროს მოუვიდა წიგნი იფსილანტის ორი დუნაის თავადისაგან, რომელნიც იყვნენ ბეთერის საზოგადოების წევრნი რომ ისინი სრულებით მზათ არიან საომრათ თავისის ხალხით და ხმლით ელიან ბერძნე-ბის ნიშანს. ამასთანავე იფსილანტიმ იცოდა რომ ოსმალები იყვნენ შეკრულნი ტრახტატით, რომ რუსებს უთანხმოთ არ შეეძლოთ იმათ დუნაის სათაოდ ომებში ჯარების შეყვანა, ამისგამო უფრო დაამტკიცა რომ სწორეთ იქიდამა სჯობდა საქმის დაწყობა: თუ ოსმა-ლები შეიყვანდნენ ჯარსა, მაშინ რუსებსაც უნდა გამო-ეცხადებინათ ომი ტრახტატის დარღვევისათვის და ბერძ-ნებსაც ეს უნდოდათ; თუ შეატყობია და ბერძნები თავი-სას იქმოდნენ მაშინ იფსილანტი წავიდა ჯერ მოლდავი-აში და აშალა ხალხი; იქიდამ გაჰყვა და საბერძნეთამდის სულ ერთიანათ საქრისტიანო ერი აუშალა ოსმალებსა.

მორეიში **25** მარტს იფეთქა ბუნტმა და მოეფინა მთელს საბერძნეთში. მორეიში პირველათ აშალა ხალხი პატრასხის მიტროპოლიტმა ჰერმანმა. აქედამ აღარ იყო დამალული და საიდუმლო ბეთერის მყოფობა. ამათმა საკვირველმა მარჯვე მოქმედებამ და საქმის წარმოებამ იმდენს იწროს მდგომარებაში და საოსმა-ლოსა და ავსტრიის პოლიტიის სიფხიზლეში, უნდა გააკვირვოს შთამამავლობა და უნდა ჰქონდეს ყოველს შეიწროებულს ხალხს მხედველობაში და მაგალითათ.

ბოლო და ნაყოფი ამ საზოგადოების შრომისა და სიმხნევისა იყო საბერძნეთის თავისუფლება (*)

ან. ფურცელაძე.

---

(*) საბერძნეთში თითქმის ერთ პირათ ამოირჩიეს; ამ უკანასკნელს დროში, კოროლათ ანგლიის კოროლევას მეორე შვილი ალფრედი; მაგრამ რუსეთი და ფრანცია

არ ეთანხმა და აგრეთვე ანგლიჩნებიც ისე იჩენენ თავსა, ვითომც იმათაც არა ჰსურდეთ. როგორც საქმიდამა სჩანს, თუმცა ეხლანდელი საბერძნეთის მმართებლობის პირველი პირნი მონარხისტები არიან, მაგრამ უთუოთ რესპუბლიკას დააწესებენ, რომელიც რა საკვირველია თუ ევროპიის სახელმწიფოებში არ გაერევიან და არ დაუშლიან—ურჩევნია საბერძნეთსა. საბერძნეთი ყოველ-თვის რესპუბლიკის დროს ყოფილა უკეთესს მდგომა-რეობაში.

---

## **1865** წლის

## «ცისკარზედ» ხელის-მომწერთა სია.

ქ. ტფილისს:

**1**. იასე ანდრონიკოვი.
სემონ ზუბალოვი.
ივანე როტინიანცი **2** წ.
თ. გიორგი მუხრანსკი.
თ. მამუკა ორბელიანი.
ბარბარე თერგუკასოვისა
ივანე მირზოევი.
თ. გრიგოლ ორბელიანი.
**10**. თ. გიორ. რ ერისთავი.
თ. ირაკლი მუხრანსკი.
თ. რევაზ თარხანოვი.
თ. ირაკლი გრუზინსკი.
გრიგოლ აივაზოვი.
იაკობ ზუბალოვი.
ელისაბედ ხიზანოვისა.
დიმიტრი ბერიევი.
კნ. თამარ მელიქოვისა.
ქეთევან დალინსკისა.
**20** კნ. ნინა ორბელიანისა
თ. გიგო ბარათოვი.
თ. ლუარსაბ ჩოლოყაევი.
თ. იოსებ თუმანოვი.
ანტონ მამულოვი
კონსტანტინე ბალდანოვი.
ლავრენტი არდაზიანი.
მელიტონ მურადოვი.
თ. ალ. დავ. ორბელიანი.
თ. ალ. ვახ ორბელიანი.
**30** კნ. ბარბარე ქობულო-ვისა.
ანტონ ფურცელაძე **3** წ,
თ. გიორგი მაჩაბელი,
პეტრე ბეზირგანოვი.
თ, ივანე მუხრანსკი.
ნიკოლაოზ ბერძენოვი.
გიორგი გასპაროვი.
დიმიტრი მგალობლოვი.

40 ალექსანდრე გრუზინსკი
სტეფანე ბასტამოვი.
ივანე სურებრიაკოვი,
თ. ივანე. მალხ, ანდრონიკოვი.
თ. ზაალ ბარათოვი.
დავით გრიგორიევი,
თ. კონსტანტინე ფალავანდოვი
მიხეილ კოლიუბაკინი.
სჳმონ კობიევი.
სოფრონ ნატიევი.
50 თ დავით ერისთავი.
თ. ქვბენ ბებუთოვი.
თ. ამირბარ მალალოვი.
მიხეილ ყაზიბეგი.
პეტრე ჟმიგოვი.
თ. ვახტანგ მაჩაბელი.
თ. გიორგი ანდრონიკოვი.
დიმიტრი ჯანაევი.
თ სჳმონ ჯორჯაძე.
კონსტანტინე ოსიტაშჳლი.
60 ივანე ბორძელი.
ნოშრევან ზუმბულიძე.
მიხეილ ბარათოვი.
ალექსანდრე ქლივიძე.
თ. ისონ მაჩაბელი.
ალექსანდრე მანდენოვი.
ნიკოლაოზ ყაჩაელი.
ივანე მახჳლაძე.
70 თ. კიკო ორბელიანი,
ბერნშტამის მაგაზია,
დავით ჩაჩიკოვი,
ალექსანდრე ნატიევი,
კნ. მარიამ ჭავჭავაძისა,
თ. გიორგი ჯავახოვი,
კნ. ქეთევან ორბელიანისა,
სოლომონ ყორღანოვი
დავით თაზიევი
ალექსანდრე გაბაევი
ალექსანდრე შერგილოვი
80 მიხეილ ყიფიანი
დიმ. ბაქრაძე
ივანე ბაქრაძე
დავით აგალოვი
ქრისტოფორე მამაცოვი
კნ. სალომე ანდრონიკოვისა

იმერეთში:

დავით ქვინიხიძე
ლუკა ისარლოვი
უფ. კალენდარიშჳლი
გაბრიელ ანდრონიკოვი
90 ეპისკოპოზი გაბრიელ
მღჳდელი გაბაძე
გენ. მონ. მოსა თ. ერისთავი
თ. ნიკოლაოზ სჳ. აბაშიძე
თ. ოტია დადიანი
თ. ბარნაბა ლორთქიფანიძე
ქუთ. გენერალ გუბ. კანცელიარია
დიმიტრი კიკვაძე
მღჳდელი აბაშიძე
თომა მაჭავარიანი
100 სფარდონ დვალი

გურიაში:

თ. მამნია გურიელი
თ. დიმიტრი ნაკაშიძე
თ. გრიგოლ გურიელი
ივანე ქუთათელაძე
ანტონ გლონტი
არჩილ თოფურია

მეგრელიაში:

თ. რაფიელ ერისთავი

კნ. ფეოდოსია ერისთავისა
**110** სპირიდონ მაჭავარიანი
თ, ქეზეხ დგებუაძე
თ. ლასა ლორთქიფანიძე
ნიკოლაოზ მარჯანოვი
ანდრონიკე სალაყაია
ლუარსაბ ჩიჩინაძე
თ. ელიზბარ დადიანი
თ. პეტრე დადიანი
თ. პეტრე მხეიძე
თ. დავით ჩიქოვანი
**120** თ. სჳმონ ამირაჯიბოვი
თ. ა[illegible] დადიანი
ივანე [illegible]ელია
იოსებ მიქაბერიძე
თ. მელიტონ დადიანი
როსტომ ტატიევი
გიორგი ჯიჯიხია
კონსტანტინე ალშიბაია
დიმიტრი ყიფიანი
კნ. ეფემია ნიჟარაძისა.
**150** პეტრე ჩარექოვი
თ. ლევან შარვაშიძე.
ზურაბ ჩკოტუა
თ. ალექსანდრე ჩიქოვანი
თ. ბატა შარვაშიძე
გიორგი ბებურიშვილი
თ. დიმიტრი წულუკიძე
გიორგი გჳნიხიძე:

რუსეთის მხარეზედ.

თ, კონსტანტინე დადიანი
თ, მიხეილ ერისთავი
პეტ. უნივ. ბიბლიოთეკა
თ. გიორგი ციციანოვი
თ. ჭავალოვი
მიხეილ ფურცელაძე

თ. ნიკოლოზ ამილახვაროვი

ახალციხეს:

ალექსანდრე სულხანოვი

ქართლში:

თ. დავით მაჩაბელი.
თ. ელიზბარ ერისთავი.
თ. რევაზ შ. ერისთავი
დავით ზუბალოვი.

კახეთში:

**150** კნ. ანნა ჭავჭავაძისა
კნ. ევდოკსია მალიკოვისა
თ. იოსებ ჯორჯაძე
თ: გიორგი ჯორჯაძე
თ. ალექსანდრე ვახვახოვი
თ. ლევან ჩოლაყაევი
თ. დავით ჭავჭავაძე **3** წ.
გრენადერის ბიბლიოთეკა
**160** არხიმანდრიტი მაკარი
გურგენ გოდერძოვი
თ. დიმიტრი აფხაზოვი
თ. ილია აფხაზოვი.
თ. რევაზ იოს. ვაჩნაძე.
თ, რევაზ ვაჩნაძე **5** წ.
თ. სოლ. ანდრონიკოვი
თ. ილია თარხნოვი
მიხეილ ჯობინოვი
კნ. ბარბარე ჯორჯაძისა
თ. იოსებ ორბელიანი
**176** ზაქარია გულ. ჭავჭავაძე (*)

---

(*) რამდენიც კელის მომწერნი მოგვემატებიან, იმედნი ყოველს თვეს მოხსენებულნი იქნებიან ამ ჩვენს სიაში.

# ცისკარი

**1863**

იანვარი.

## წელიწადი მეჱ~

წოდება თხზულე


I. — სიტყუა ოც და მეოთხესა კვირიაკესა ზედა . . . . . გაბრიელ ეპისკოპოზისა.

II. — 1, საბრალონი. (რომანი ვიკტორ ჰიუგოსი). . . . . ბ. დიდებულიძისა.

2, თურქმენული ცხენი (ანბავი). ბაქარ ქართველისა.

3, რუსთაველ და იმის ცოლი. (ლეგენდა) . . . ანტ. ფურცელაძისა.

III — ლექსები: მუშური. . . თ. აკ. წერეთელისა.

მუხამბაზი. — ჩემი ეპიტაფია. თ. გრ. ორბელიანისა.

IV — ისტორიისათჳს მასალები: დავით აღმაშენებელის ანდერძი. მეფე დავითისა.

V. — გარიბალდის ცხოვრება. . ანტ. ფურცელაძისა.

VI — სურამის ციხე. თხზ. ჭონქაძისა. (კრიტიკა.). . . . ქრელი ბექასი.

VII — სხუა და სხუა ანბავი. (იხილე მეორე გვერდზედ.)


---


ტფილისს.

კერესელიძის ტიპოგრაფიაში.